პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ივლისი **შაბათი** 2009

№ 172 (12 851) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# კოლასონია მოხსნეს

## მსხვერპლშეწირვა დაიწყო. ოლიმპზე ადგილი ცარიელია





## ოლიმპში კორდალიძე, სიონში მახარაძე

» გვერდი 2



## მანუ და კანტუ არის კონტრაქტი

» გვერდი 12

## არის თუ არა ჯანო ანანიძე სლავა მეტრეველი?

» გვერდი 5



## ამ ქვეყანაში მეგოლე არ სჭირდებათ

ინტერვიუ გია მეგრელაძესთან » გვერდი 4



დავით მოძმანაშვილი

## მაჭიდავეთ!

» გვერდი 13



დიდი სამწვრთნელო გადაადგილებები

# კორღალიძე ოლიმპში, მახარაძე სიონში

## დარჩება თუ არა კილასონია ოლიმპში? ახალ მწვრთნელს კი ჩემპიონობას სთხოვენ

ქვემო ქართლის გუბერნიაში დღეს საფეხბურთო საკითხები მაღალ დონეზე წყდება. რეგიონისთვის პრესტიჟის საქმედ იქცა ამ სფეროში წარმატების მიღწევა. ამაზე მიუთითებს პროექტი „ბრაზილია" და ეკონომიკურ გაჭირვებაში გუნდების დაფინანსების შენარჩუნება.

ამბიციური კლუბის ამბიციურ მმართველებს მხოლოდ გამარჯვება აკმაყოფილებთ და ვარშავის „ლეგიასთან" წაგებისა და ევროპის ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ, რუსთავის „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი ვარლამ კილასონია თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კილასონია ამბობს, რომ გადაწყვეტილება კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ბადრი ქარქაშაძემ აცნობა:

### არავის არაფერი უთქვამს...

- თამაშის შემდეგ დამიკავშირდა ქარქაშაძე, გათავისუფლებული ხარო. რას ვიზამთ, ასეთია მწვრთნელის ხვედრი. ალბათ, მიზეზი „ლეგიასთან" წაგება გახდა, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ „ოლიმპში" დაბრუნების შემდეგ, თორმეტმატჩიანი წაუგებელი სერია ჩავატარეთ და თასის ფინალი მხოლოდ პენალტების სერიით წავაგეთ, ცხრილის ბოლოში მყოფი გუნდით კი, სამეულში გასვლა მოვახერხე. ასე რომ, ვფიქრობ, გუნდში ტყუილად არ მიმუშავია.

**- თავიდან იყო ლაპარაკი ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნასა და ამავდროულად, თქვენს დარჩენაზეც.**

- ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. მეც გავიგე, რომ კორღალიძეს ჩემი დატოვება სურს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რას მთავაზობს. ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ გამათავისუფლეს.

საკმაოდ უცნაურად მოგეჩვენებათ ვიცე-პრეზიდენტ **ზურაб ჯაფარიძის** კომენტარი: *„სიმართლე გითხრათ, ზუსტად არც ვიცი, რა მოხდა. არ გამოვრიცხავ, კორღალიძემ და კილასონიამ ერთად იმუშაონ. მეტს ვერაფერს გეტყვით".*



### სიახლე ჭანტურია და ფოფხაძეა, ხუბუაც ბრუნდება

ოთარ კორღალიძე მუშაობას განახლებულ „ოლიმპში" დაიწყებს. რუსთაველთა ახალ მთავარ მწვრთნელს მოსალოდნელ ცვლილებებზე ველაპარაკეთ.

**- ბატონო ოთარ, თქვენი დანიშვნა უკვე გადაწყვეტილია?**

- დიახ, შევთანხმდით და მალე კონტრაქტს გავაფორმებთ.

**- „ოლიმპში" რადიკალურ საკადრო ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

- რადიკალურის რა გითხრათ, ცვლილებები აუცილებლად მოხდება. „სიონიდან" ორ ფეხბურთელს მოვიყვან, გია ჭანტურიას და მარჯვენა მცველ დაჩი ფოფხაძეს, ხუბუას კი დავაბრუნებთ.

**- „ოლიმპიდან" „სიონშიც" ბევრი ფეხბურთელი წავიდა. ამ სიას ვინმე დაემატება?**

- არა მგონია. „სიონში" ბოლოს ზუგდიდის „მგლებიდან" ბოლოს გიორგი ჭედია დავიმატე და მერე წამოვედით.

**- სამწვრთნელო შტაბში რა ცვლილებებს გეგმავთ?**



- დეკემბრამდე ცვლილება არ მოხდება. სეზონის დაწყებამდე დარჩენილ მცირე დროში კი ურეკში ხანმოკლე შეკრებას ჩავატარებთ.

**- მართალია, თითქოს კილასონიას დარჩენა გსურთ?**

- დიახ, გვსურს დარჩეს და ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

**- ბრაზილიელ ფეხბურთელებზე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- საინტერესო მოთამაშეები არიან, მაგრამ ძირითადში მხოლოდ ბრაზილიელობის გამო ვერ დავაყენებ. ვათამაშებ იმას, ვინც დაიმსახურებს. წელს ხელმძღვანელობა ჩემპიონობას მთხოვს და ძირითადი შემადგენლობის შერჩევისას, მკაცრი მოთხოვნები მექნება. თუმცა, სამი მათგანი ძალიან მომეწონა და მათ აუცილებლად ვათამაშებ, ცენტრალურ მცველ ფრაგას, ცენტრალურ ნახევარმცველ აკინოს და თავდამსხმელ ჟონათასს.

### მახარაძე სიონს დაუბრუნდა

უცნაური ბედი აქვს **თემურ მახარაძეს**: ორჯერ დააბრუნეს თბილისის „მერანში" და თბილისის „ლოკომოტივში", „ზესტაფონში" კი - სამჯერ.

ახლა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მწვრთნელი მეორე წრეს ბოლნისის „სიონში" შეუდგება. ექვსწლიანი განშორების შემდეგ, მახარაძე ბოლნისურ გუნდში დააბრუნეს.

ბატონი თემური ბოლოს „ზესტაფონის" დირექტორატის წევრი გახლდათ. გია გეგუჩაძის მიწვევა მისი იდეა გახლდათ, თავად კი სპორტული დირექტორის როლს ითავსებდა. ეს აწყობილი „სამაია" კლუბისა და მისი ყოფილი მეკარის, **გია ჭანტურიას** დავამ დაშალა. ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ განხილვაზე მახარაძემ მეკარის მხარე დაიკავა და **კოკაიამ** კლუბიდან გაუშვა.

მახარაძის დახმარება მისმა კოლეგა ოთარ კორღალიძემ გადაწყვიტა. ბოლნისის „სიონის" ყოფილ მთავარ მწვრთნელს გამოცდილი მწვრთნელის გვერდში დაყენება სურდა, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამო, „სიონს" ფინანსური პრობლემები შეექმნა და დამატებითი სახსრები ვერ გამოინახა. თუმცა, „ოლიმპში" გადასულმა კორღალიძემ კლუბის მესვეურეებს მახარაძის დანიშვნა შესთავაზა.

*„მახარაძე ძალიან კარგი სპეციალისტია. მისი ხელმძღვანელობით აბსოლუტურად ყველა კლუბი გაიზარდა. ჩემთვის გულდასაწყვეტი იყო, უგუნდოდ რომ დარჩა. როდესაც რუსთავში გადასვლა შემომთავაზეს, შემცვლელად მახარაძის კანდიდატურა შევთავაზე და მიხარია, „სიონის" ადმინისტრაციამ ჩემი აზრი რომ გაითვალისწინა"*, - გვითხრა კორღალიძემ.

დანიშვნა თავად მახარაძემაც დაგვიდასტურა, მაგრამ ლაპარაკი არ ისურვა: *„ვითარებაში ჯერ ვერ გავრკვეულვარ. „სიონის" ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკო და ჩემი თხოვნა იქნება, ინტერვიუ ამის შემდეგ ჩავწეროთ. ახლა კი ვერაფერს გეტყვით, ჯერ მხოლოდ ერთ ვარჯიშს დავესწარი. მხოლოს ის შემიძლია გითხრათ, რომ მიხარია ძველ მეგობრებთან, ბესო უგულავასთან და გიორგი ყიფშიძესთან მუშაობა, ჩემთვის საყვარელ კლუბში დაბრუნება და კლუბის ნდობა. ხელმძღვანელობას მალე შევხვდები და საფუძვლიანად დაველაპარაკებით".*

დაბოლოს - რუსთავის „ოლიმპიდან" უკვე ბევრი მოთამაშე გაუშვეს, მათ შორის, მთავარი მეგოლე **გია მეგრელაძე**, კიდევ ორი თავდამსხმელი, **კოკა მიკუჩაძე და ირაკლი სირბილაძე**, მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე**, ნახევარმცველები **გიორგი ჭელიძე, გელა ხუბუა და გოგი ფიფია.**

მეგრელაძის გარდა, ყველა მათგანი კარიერას ბოლნისის „სიონში" გააგრძელებს. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, ქვემო ქართლში ორი გუნდი ერთ ორგანიზმად გადაიქცა და ფეხბურთელებს საჭიროების მიხედვით ინაწილებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

სამწვრთნელო საკითხი



# ვიდრე ჟოზე

**...გარდაცვლილ** ადამიანზე ცუდი არასდროს უნდა თქვა. ან კიდევ - საერთოდ არ ახსენო; მაგრამ, აბა, შეიძლება მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილი პრეზიდენტის ხესუს ხილის დავიწყება? ღმერთმა აცხონოს სენიორ ხილი, ვინც ლამის ნახევარი საუკუნე პატრონობდა მადრიდის „ატლეტიკოს" და ერთი უცნაური ზნეც სჭირდა: სეზონი არ გავიდოდა, გუნდში მთავარი მწვრთნელი... სამჯერ ან ოთხჯერ რომ არ შეეცვალა! ეგ კი არა, ერთხელ, ერთი თვის განმავლობაში, თუ არ ვცდებით, სამი მწვრთნელი გამოცვალა - ანუ, ლამის ყოველი კალენდარული მატჩის მერე ფეხბურთელებს ახალ-ახალი სპეციალისტის გაცნობა უხდებოდათ. ხესუს ხილის „დონეზე" ჯერ მთლად ვერ არის, მაგრამ მისი ტრადიციების „ღირსეული" გამგრძელებელია იტალიური „პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინიც; ამ კაცსაც უყვარს მწვრთნელების ხშირ-ხშირი ჩანაცვლება და გამონაკლისი, ალბათ, გასული სეზონი იყო, როცა მთავარმა მწვრთნელმა დავიდე ბალარდინიმ „პალერმოში" სრული ჩემპიონატი ჩაატარა. ჰო, იქ, „ნალდ" ევროპაში, ყველაფერი ხდება და საერთოდაც: ნებისმიერი მწვრთნელი, ახალ სამსახურს რომ იწყებს, შინაგანად ყველაფრისათვის მზად უნდა იყოს. თუმცა, მთლად „ატლეტიკოსა" და „პალერმოს" მსგავსი „ტემპები" არ არის, მაგრამ ერთ პოპულარულ ქართულ გუნდს არც არაფერი უკლია ამ ორ ცნობილ ევროპულ კლუბთან: ალბათ, ხვდებით, რომ ფეხბურთის დონეს, საკლუბო ინფრასტრუქტურას, სტადიონს, დაფინანსებასა თუ ბიუჯეტის მსგავსებას არ ვგულისხმობთ. უბრალოდ და მარტივად რომ ვთქვათ, ერთ-ერთ ჩვენებურ გუნდში მეტისმეტად ხშირად უყვართ მწვრთნელების შეცვლა! თავად განსაჯეთ: სრული სამი წელიწადიც არ არის გასული, რაც ამ სახელწოდების გუნდი გამოჩნდა და უკვე რვაჯერ(!) შეიცვალა მთავარი მწვრთნელი!

### უცნაურობა დაებედა...

ახლა კი, ალბათ, დროა, რომ რებუსებით და რთული ალგებრული გამოცანით მკითხველი არ გადავღალოთ და... ნელ-ნელა „შევაპაროთ" ამ გუნდის სახელი. ჰო, იმედია, ბევრი გამოიცნობდა; ან კი, რა გამოცნობა სჭირდებოდა? რუსთავის „ოლიმპზე" მოგახსენებთ; ძალიან, ძალიან უცნაურ გუნდზე - სამი წლის განმავლობაში მუდამ რომ ქართული საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრშია (თანაც - არა მარტო სპორტული შედეგებით). უცნაური შემთხვევით არ გვიხსენებია: ამ გუნდში ყველაფერი კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება! დღეს რომ მწვრთნელს ეთაყვანებიან და ხელისგულზე ატარებენ, შეიძლება, მეორე დილასაც არ დაელოდონ და ისე მიუთითონ კარისკენ; და, რა, მარტო მწვრთნელებს? ფეხბურთელზე რომ „მზე და მთვარე ამოსდით" და ლამის არის, ნებისმიერი კაპრიზი შეუსრულონ, უცბად, ერთ მშვენიერ დღეს... შეიძლება გუნდიდან ასევე უცერემონიოდ გაუშვან და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობთ იმ , მართლაც, უნიკალურ მოვლენაზე, ვიპ-ლოჟიდან თუ ტრიბუნიდან მწვრთნელების საქმეებში ჩარევა (რბილად ვამბობთ) რომ ჰქვია.

ეტყობა, ფეხბურთი ყველას სხვადასხვაგვარად ესმის: ერთ ხელმძღვანელს მავანი ფეხბურთელის ქმედება არ მოსწონს და „ზემოდან" ხმამაღლა ითხოვს მის გამოცვლას; მეორე - პირიქით, სხვა მოთამაშით არის უკმაყოფილო და არანაკლები ემოციურობით, ასევე საპატიო სტუმართათვის განკუთვნილი ლოჟიდან „დეტალურად" (თან - ომახიანი გინების თანხლებით) ცდილობს „აუხსნას", რომ ფლანგზე გადმოვიდეს და თამაში ასე გაამწვავოს; ხშირად კურიოზული სიტუაციების მომსწრენიც ვყოფილვართ: როგორი საქმეა, ფეხბურთელს „ზემოდან" ურთიერთგამომრიცხავი „დარიგებები" რომ ესმის?!..

... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მართლაც უცნაური გუნდია „ოლიმპი"; ჰო, ქართულ საფეხბურთო სამყაროში დაარსება-გამოჩენიდან უცნაურობები დაებედა და ასეა დღემდე. აქედან გამომდინარე, ამ კლუბის ხელმძღვანელთა ნებისმიერი საკადრო გადაწყვეტილებაც აღარ უნდა გვიკვირდეს; თუმცა, იმასაც ვაღიარებთ, რომ მაინც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა გუშინდელი ამბავი: ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ვარშავის „ლეგიასთან" განმეორებითი მატჩის მერე „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** თანამდებობიდან გაათავისუფლეს!

>> მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
ბარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონი

## სამწვრთნელო კარუსელი

2006 წლის ზაფხულში, ყველასათვის საყვარელი და ერთობ თვალსასეიროდ მოასპარეზე „თბილისის" ნაცვლად ახალი გუნდი მოგვევლინა - რუსთავის „ოლიმპი". მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი **ნოდარ აკობია** დაინიშნა; თუმცა XVIII ჩემპიონატი დაწყებულიც არ იყო, რომ... აკობია გუნდიდან წავიდა! არადა, „ოლიმპში" ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელები (უმრავლესობა - ახალგაზრდები) იყვნენ შეკრებილნი - **გიორგი სეთურიძე, ლადო დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი, გოჩა ხოჯავა, რეზო გეწაძე, ლაშა ქებაძე, მიხეილ ალავიძე.** ოსტატობა არც მათზე ოდნავ უფროსებს დაეწუნებოდათ: **მიხეილ მახვილაძეს, გიორგი ონიანს, თორნიკე აფციაურს, მირზა მერლანს, ლევან სილაგაძეს, დავით ჭიჭველიშვილსა** თუ სხვებს. აი, სწორედ მაშინ იყო ყველასათვის მოულოდნელი, როცა „ოლიმპის" გაძღოლა სრულიად ახალგაზრდა და დებიუტანტ მწვრთნელებს ანდეს - **გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე** 30 წლისანი არც იყვნენ. თუმცა, ასევე ყველასათვის მოულოდნელად, „ოლიმპმა" ჩინებული სტარტი აიღო და საერთოდაც: ზამთრის პაუზას გუნდი ერთპიროვნული ლიდერის რანგში შეხვდა!

ჰოდა, ვის არ გაუკვირდებოდა ის ფაქტი, როცა პირველი წრის დასრულების შემდეგ... ახალგაზრდა და პერსპექტიული მწვრთნელების „დუეტი" გუნდიდან წავიდა. ნამდვილ მიზეზს ხმამაღლა არავინ ამბობდა, თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, მოულოდნელი კი ნამდვილად იყო მათი წასვლა თუ გათავისუფლება. არანაკლებ უცნაური იყო მათ მაგივრად გუნდის მთავარ მწვრთნელად ქართული სამწვრთნელო სკოლის დამსახურებული ვეტერანის **რევაზ ძოძუაშვილის** დანიშვნაც; ბოლოს და ბოლოს, ქართულმა საფეხბურთო სამყარომ კარგად იცოდა, რომ „მიხიჩა" საკუთარ საქმეში ცხვირს არავის ჩააყოფინებდა (იმაზე არც არის ლაპარაკი, ვინმეს ტრიბუნიდან ან ვიპ-ლოჟიდან კონკრეტული ფეხბურთელის გამოცვლის „ბრძანება" გაეცა). ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით „ოლიმპის" თამაშის სანახაობრივმა მხარემ აშკარად მოიკლო, მაგრამ გუნდმა ხომ უმთავრეს მიზანს მიაღწია - სადებიუტო სეზონშივე საქართველოს ჩემპიონი გახდა!

თუმცა, ექვსი არასრული თვის განმავლობაში გუნდის მთავარ მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის არაერთი დაპირისპირება მოხდა. საბოლოოდ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ძოძუაშვილიც გაათავისუფლეს და ევროტურნირების წინ „ოლიმპის" გაძღოლა **ვარლამ კილასონიას** მიანდეს. ეს უკანასკნელი ძოძუაშვილის თანაშემწედ მუშაობდა, თუმცა, მანამდე, სხვადასხვა დროს სამჯერ იყო რუსთაველი გუნდების მთავარი მწვრთნელი. კილასონიას ხელმძღვანელობით „ოლიმპმა" მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა (ორი - ყაზახურ „ასტანასთან", ერთი - „დინამოსთან" და XIX ჩემპიონატის მეორე ტურის წინ გუნდს უკვე ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავდა! თანაც, კლუბის ხელმძღვანელობამ ამჯერად მზერა უცხოეთს მიაპყრო და ჩვეულებრივი სამწვრთნელო ბიოგრაფიის მქონე უკრაინელი სპეციალისტი **ანატოლი პისკოვეცი** ჩამოიყვანა.

სხვის ჯიბეში ჩახედვა ნამდვილად არ არის კარგი საქმე, და არც არასდროს დავინტერესებულვართ კონკრეტული ფეხბურთელისა და მწვრთნელის ანაზღაურებით. თუმცა, „ბოროტი ენები" ირწმუნებოდნენ, რომ პატივცემულ პისკოვეცს ერთობ მსუყე ჯამაგირ-პრემია და არანაკლებ კომფორტული პირობები ჰქონდა. სამწუხაროდ, როგორც მწვრთნელი, პისკოვეცი დიდი ვერაფერი გამოდგა - ჩემპიონატშიც არასტაბილურად ათამაშებდა გუნდს, ფეხბურთელებს მუდამ ამპლუებს უცვლიდა (ერთადერთი, **დავით დევდარიანის** დაწინაურებისათვის შეიძლება მადლობა ვუთხრათ) და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მისი კვალიფიკაციაც ეჭვქვეშ დადგა.

ამას მერე სუპერთასზე „ამერთან" მტკივნეული მარცხი (0:4) მოჰყვა და 2008 წლის გაზაფხულზე უკრაინელსაც „თბილად" და „კეთილი სურვილებით" დაემშვიდობდნენ. ისე, **ანატოლი პავლოვიჩი**, პიროვნულად ცუდი ადამიანი ნამდვილად არ იყო...



...XIX ჩემპიონატი ფინიშისკენ მიდიოდა, თუმცა „ოლიმპს" მოტივაცია დაკარგული ჰქონდა; ამის მიუხედავად, გუნდმა ახალი მთავარი მწვრთნელის - **ხვიჩა ქასრაშვილის** ხელმძღვანელობით ყველა დარჩენილი მატჩი მოიგო. ანუ, საიუბილეო XX ჩემპიონატს რუსთავში ყველა დიდი იმედით ელოდა: მითუმეტეს, რომ გუნდი, ფაქტობრივად, ხელახლა დაკომპლექტდა და ჩვენი პირველობის კვალობაზე ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები ჩაირიცხნენ. ამიტომაც იყო, რომ წინა სეზონის დაწყების წინ არა მარტო რუსთავში, არამედ ქართულ სპორტულ მედიაშიც ხმამაღლა საუბრობდნენ XX ჩემპიონატის ნომერ პირველ ფავორიტზე - რუსთავის „ოლიმპზე"!

## აშკარა დაუჯერებელი

...საიუბილეო ჩემპიონატი დაიწყო და საწყისი ტურების მერე, ერთი და იგივე კითხვა ჩნდებოდა: რუსთავის „ოლიმპს" რა სჭირს? ჰო, მართლაც, საჩემპიონო შემადგენლობის მქონე გუნდი ხუთი ტურის შემდეგ 3 ქულით ბოლო ადგილზე აღმოჩნდა! რა თქმა უნდა, ახალი ფეხბურთელების ერთმანეთთან შეუთამაშებლობის პრობლემაც იყო, ნურც უიღბლობას დავივიწყებთ (თუნდაც, - „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო მატჩში); მაგრამ, ფაქტი ფაქტად რჩებოდა - გამარჯვება-მონატრებული გუნდი ცხრილის ფსკერზე დაილექა! ასეთ შემთხვევაში კი, როგორც წესი, ბევრი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდებოდა იმას, თუ რა უნდა მომხდარიყო; და, აი, 2008 წლის ოქტომბერში, „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად კვლავ ვარლამ კილასონია დანიშნეს.

როგორ გგონიათ, რუსთავული გუნდის ახალ მწვრთნელს რა მიზნებს დაუსახავდნენ? კონკრეტულზე, საერთოდ, ლაპარაკიც არ ყოფილა - უპირველეს ყოვლისა, მთავარი და გადამწყვეტი, რალა თქმა უნდა, სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება იყო. სხვათა შორის, მშობლიურ ქალაქის გუნდში მთავარ მწვრთნელად მეხუთედ (!) მოსულმა კილასონიამაც „მძიმედ დაიწყო": არცთუ ძლიერ მეტოქეებთან ორი მატჩი ფრედ დაასრულა. თუმცა, ადრე თუ გვიან, „ოლიმპის" უიღბლობას წერტილი უნდა დასმოდა და ასეც მოხდა: სულ მალე გუნდმა 19(!)-მატჩიანი წაუგებელი სერია „გამოაცხო"! ეს წარმატება კი ფეხბურთელებთან ერთად, რალა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის დამსახურებაც იყო - ვარლამ კილასონიას ხელმძღვანელობით „ოლიმპი" უკვე ანგარიშგასაწევ კი არა, ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტ გუნდად გადაიქცა. „ლოკომოტივთან" და „ზესტაფონთან" სტუმრად გამარჯვება, „დინამოსთან" საშინაო მოგება (ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი რუსთავში დამარცხდა) პლუს სხვა წარმატებებიც და... „ოლიმპმა" სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა! ეგ კი არა, გუნდი საქართველოს თასის ფინალშიც გავიდა, სადაც დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა (პენალტების სერიაში) თბილისის „დინამოსთან". ამის გამოც და, საერთოდაც, ლოგიკურადაც ჩანდა, როცა ვარლამ კილასონია ხშირად იყო დასახელებული „ლეოს" ტრადიციულ ნომინაციებში (ნოემბერში, სულაც „თვის მწვრთნელად" მივიჩნიეთ).

... და აი, ახალი სეზონი გუნდმა ევროპის ლიგაზე ასპარეზობით გახსნა. რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე ფარერების გუნდთან ყველა „დაგეგმილ" გამარჯვებას ველოდით და ასეც მოხდა; მაგრამ, მეორე ეტაპზე ხომ ვარშავის „ლეგია" გველოდა! სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩვენ კი ნამდვილად არ გვქონდა იმის ილუზია, რომ ამ უდიდესი ისტორიისა და ტრადიციის მქონე გუნდს „გადავყლაპავდით". რალა თქმა უნდა, ამ საქმეში კლუბის ფართოდ რეკლამირებული და ძვირფას შენაძენად მიჩნეული ერთდროულად ოთხი ბრაზილიელიც (მეხუთე იმ დროს გზაში იყო) ვერ დაგვეხმარებოდა; ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ ცოტა არ იყოს, ძნელიც არის, შენზე 20-ჯერ (!) მეტი ბიუჯეტის მქონე მოწინააღმდეგესთან რაიმე შანსებზე ილაპარაკო...

... „ოლიმპმა" პოლონელებთან ორივე მატჩი წააგო; თანაც, პირველსა და მეორე შეხვედრას შორის (ანუ, ერთკვირიან შუალედში) გუნდის დატოვება ხუთ (!) ფეხბურთელს მოუხდა. საერთოდ, ამ ფაქტმა ბევრი კითხვაც დაბადა, ისე, როგორც ამ ხუთიდან ერთი კონკრეტული ფეხბურთელის (ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, „ოლიმპის" ლიდერად რომ მივიჩნევდით) გაშვება-გათავისუფლებამ. თუმცა, „მთავარი" სიახლე წინ გველოდა: „ოლიმპი"-„ლეგიას" განმეორებითი მატჩიდან რამდენიმე საათი იყო გასული, როცა კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი გადაწყვეტილება მიიღო!

...არა, მართლაც, უცნაური გუნდია; თუმცა, თუ ამდენ უცნაურობას ვიხსენებთ, მაშინ ეს ყველაფერიც რალატომ გვიკვირს?!

**გია ტუხაშვილი**

მეზერაპი — ინტერვიუ ნებოშა მილოშევიჩთან

# ამ ყველაფერს პეტროვიჩს მოვახსენებ...

## მილოშევიჩი დინამოს შანსს აძლევს

თბილისის „დინამოსა" და ლიეპაიას „მეტალურგსის" ხუთშაბათის მატჩს ერთი უცხოელი გაფაციცებით ადევნებდა თვალს და დიდ დავთარში რალაც ჩანაწერებს აკეთებდა. ეს გახლდათ სახელგანთქმული „ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელ-სელექციონერი ნებოშა მილოშევიჩი. „ცრვენა ზვეზდა" კი ის გუნდია, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს" რომ გადაეყარა...

ბატონ მილოშევიჩს მატჩამდე გავეცანი და მატჩის შემდეგომ ინტერვიუზე დავითანხმე. ცხადია, იმ მომენტისთვის „ცრვენა ზვეზდა"-„რუდარის" წყვილის გამარჯვებული გარკვეული არ იყო...

**- მოკლედ, გაირკვა, რომ თქვენი მეტოქე თბილისის „დინამოა", თუ, რა თქმა უნდა, „ცრვენა ზვეზდა" სლოვენიური „რუდარის" ბარიერს დაძლევს** *(ბელგრადულმა გრანდმა სლოვენიური „რუდარი" ორივე შეხვედრაში დაამარცხა - 1:0, 4:0 - ავტ.).* **მატჩამდე ფიქრობდით, რომ „დინამო" გაიმარჯვებდა?**

- ლატვიურ ფეხბურთზე არაფერი ვიცი. თუმცა დიდად ვერც ქართული ფეხბურთის ცოდნით მოვიწონებ თავს, მაგრამ იმდენი კი გამიგია, რომ საქართველოში ფეხბურთს გაცილებით მდიდარი ტრადიციები აქვს, ვიდრე ლატვიაში. „მეტალურგსი" ახალი გუნდია, ალბათ 10-12 წელიწადს თუ ითვლის, „დინამოს" კი საბჭოურ პერიოდში ევროპის ერთ-ერთი საკლუბო თასი აქვს მოგებული, სადღაც 25 წლის წინათ, თუ არ ვცდები... ასე რომ, ველოდი „დინამოს" გამარჯვებას.

**- მატჩზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- საინტერესო და დაძაბული თამაში იყო, განსაკუთრებით მეორე ტაიმი მომეწონა. გუნდებმა საკმაოდ კარგი ფეხბურთი გვაჩვენეს, ინდივიდუალური ოსტატობის დემონსტრირებაც ვიხილეთ... ჩემი აზრით, დღეს ძლიერმა მოიგო, „დინამოს" გამარჯვება აბსოლუტურად ლოგიკური იყო და მინდა მივულოცო თქვენს გუნდს მომდევნო ეტაპზე გასვლა... იმედი მაქვს, „ცრვენა ზვეზდა" დღეს საკუთარ მოედანზეც მოიგებს და თბილისში მოგვიწევს თამაში.

**- რას ეტყვით პეტროვიჩს ქართულ გუნდზე?**

- სუსტი გუნდები გათამაშებას პირველივე ეტაპიდან ეთიშებიან, „დინამო" კი მეორე რაუნდშია. ეს კი უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. ასე რომ, თბილისში რთული თამაში გველის... ისე, ერთი კითხვა მეც მაქვს...

**- გისმენთ...**

- მაინც რამდენი მაყურებელი დაესწრო ამ შეხვედრას?

**- დაახლოებით 5 ათასი. რატომ მეკითხებით?**

- ...არა, უბრალოდ მაინტერესებდა, რა დონის ქომაგობა შეიძლება დაგვხვდეს თბილისში...

**- თუ თბილისში „ცრვენა ზვეზდა" ჩამოვა, გარწმუნებთ, გაცილებით მეტი მაყურებელი მოვა და თავის გუნდს გულმხურვალედაც უქომაგებს...**

- აჰა, გასაგებია.

**- „რუდარი" სტუმრად 1:0 დაამარცხეთ და ისე ლაპარაკობთ, თითქოს, უკვე გასულები იყოთ. თბილისში სასტუმროც ხომ არ დაჯავშნეთ?**

- არა, ჯერ არა... ჩვენ შეგვწევს საამისო ძალა, რომ სლოვენიური ბარიერი გადავლახოთ. მით უმეტეს, მეტოქე სტუმრადაც დავჯაბნეთ, ერთი კი არა, 5 გოლი მაინც უნდა გაგვეტანა, მაგრამ... არა უშავს, შინ სოლიდური ანგარიშით მოვიგებთ... სასტუმროს კი ხვალ-ზეგ ტელეფონითაც დავჯავშნით.

**- „დინამოში" რომელი სათამაშო რგოლი მოგეწონათ?**

- ოო, ეს ინფორმაცია თქვენთვის არ არის. ამ ყველაფერზე „ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელ პეტროვიჩს მოვახსენებ.

**- კარგი, რა შანსი ექნება „დინამოს" „ცრვენა ზვეზდასთან"?**

- შანსი ყოველთვის არსებობს, ნებისმიერი გუნდისთვის, გააჩნია დოზას. ასე რომ, გამონაკლისი არც „დინამოა". მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს ამ შანსს.

**- „ცრვენა ზვეზდაზე" რას გვეტყოდით?**

- მთვარი მწვრთნელია ჩინეთიდან დაბრუნებული ვლადიმირ პეტროვიჩი.



ცრვენა ზვეზდას წარმომადგენელი ნებოშა მილოშევიჩი

**- „დინამოდან" რომელ ფეხბურთელებს გამოყოფდით?**

- ყველა ფეხბურთელზე გარკვეული რალაცები ჩავინიშნე, მაგრამ მომიტევეთ და, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ამ კითხვის პასუხზე ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელ ვლადიმირ პეტროვიჩთან მექნება საუბარი. მხოლოდ ერთს გეტყვით - იმას, რაც აშკარად გამოჩნდა. თქვენი გუნდის 10-მა ნომერმა (გიორგი მერებაშვილი - ავტ.) დღეს ორი გოლი გაიტანა. ის საკმაოდ აქტიურობდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელია.

**- რისი თქმა შეგიძლიათ, მაინც გვინდა, ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ და საამისოდ ფეხბურთელებიც დავიმატეთ. გასულ სეზონში ბრინჯაოს მედლებს დავჯერდით. ჩვენი მიზანია, ევროპის ლიგაში რაც შეიძლება მეტი რაუნდი გადავლახოთ.**

**- მაინც რამდენი ახალწვეული გყავთ?**

- საბოლოო ჯამში 8 ფეხბურთელი დავიმატეთ და იმედი მაქვს, ყველა მათგანი გამოგვადგება.

**- თუ „რუდარს" გაივლით, „დინამოსთან" პირველი თამაში თბილისში გექნებათ. რას ელით ამ მატჩისგან?**

- იმედი მაქვს, თბილისში არ წავაგებთ.

**,დავით ცაბაძე**

ფორვარდი



გია მეგრელაძე

## ამ ქვეყანაში მეგოლე არ სჭირდებათ

რატომ წავიდნენ რუსთავული კლუბიდან თავდამსხმელები, გია მეგრელაძე და ირაკლი სირბილაძე? ამის თაობაზე გათავისუფლებამდე, „ლეგიასთან“ მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე ვარლამ კილასონიამ ისაუბრა, ფეხბურთელებს კლუბი პირობებზე ვერ შეუთანხმდნენო.

ამ დროს არსებობს ვარაუდი, რომ „ოლიმპის“ ხელმძღვანელობასა და მეგრელაძეს შორის კონფლიქტი ფარერებთან რუსთავულ მატჩის შემდეგ მოხდა, ზურაბ ჯაფარიძემ ტრიბუნიდან რამდენჯერმე უხეშად მიმართა, რამაც თავდამსხმელი გაანაწყენა და კლუბი დატოვა. ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ პირველ შეხვედრაში ორივე გოლის გამტანი მეგრელაძე განმეორებით შეხვედრას თვალს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა.

მოკლედ, ჭორ-მართალში გასარკვევად „ლელო“ გია მეგრელაძეს გაესაუბრა.

**- გია, გუნდიდან რატომ წამოხვედი?**

- ხელმძღვანელობასთან ვილაპარაკე და თანხაზე ვერ შევთანხმდით. ამას ბრაზილიელების ჩამოყვანაც დაემატა და წამოსვლა გადავწყვიტე.

**- ეს როდის მოხდა?**

- „ლეგიასთან“ პოლონეთში წაგების შემდეგ.

**- საუკეთესო ფორვარდს ასე იოლად არ ელევიან. საკითხავი სწორედ ისაა, მისაღები კონტრაქტი რატომ არ შემოგთავაზეს?**

- ამაზე მე ვერაფერს გეტყვით.

**- გაჩნდა ვარაუდები, რომ „ბ 36 ტორსჰავნთან“ მატჩის შემდეგ, „ოლიმპის“ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოგივიდა.**

- არა, რა კონფლიქტი, უბრალოდ, ვერ მოვილაპარაკეთ.

**- კი, მაგრამ მანამდე „ლეგიასთან“ მატჩის განაცხადშიც ვერ მოხვდი!**

- ტრავმა მქონდა და როგორ ვითამაშებდი?

**- „ოლიმპიდან“ გაშვებულები „სიონში“ გადავიდნენ. შენც ბოლნისში ხომ არ მიგიწვიეს?**

- შემომთავაზეს, მაგრამ საქართველოში არც ერთ გუნდში არაა ნორმალური პირობები. ოჯახი რომ არ მყავდეს, „სიონში“ ვითამაშებდი, მაგრამ ელემენტარული პირობები მაინც ხომ უდა იყოს?

**- მოკლედ, საქართველოში ვერავინ დაგაინტერესა?**

- ეტყობა, აქ გოლის გამტანი არ სჭირდებათ.

**- ახლა არსად არ ვარჯიშობ?**

- დროებით ქუთაისში ვარ, მაგრამ არაა გამორიცხული, სადმე წავიდე. გადასვლას უზბეკეთისა და ისრაელის უმაღლესი ლიგის კლუბში მთავაზობენ, მაგრამ მოლაპარაკება მენეჯერების შუამავლობით მიმდინარეობს და ჯერ არც ვიცი, ტრანსფერი რამდენად რეალურია.

**მერაბ მამულაშვილი**

ჰელსინგბორგის შემდეგ

გია გეგუჩაძე

# მე მომავალზე გავაკეთე გათვლა...

როგორც იქნა, ევროტურნირებზე კვლავ ვიხილეთ ქართული გუნდი, რომელმაც შემტევი და კარგად ორგანიზებული თამაში აჩვენა. „ზესტაფონმა“ „ჰელსინგბორგთან“ დაპირისპირებაში დასანანი მარცხი იწვნია, არადა, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე სულ რამდენიმე წამი რჩებოდა...

საინტერესოა, თუ რას ფიქრობს „ოლიმპიას“ მატჩზე ზესტაფონელთა თავკაცი გია გეგუჩაძე. მას გუშინ დავუკავშირდით...

**- ცივი გონებით რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ „ჰელსინგბორგთან“ მატჩის შემდეგ?**

- სამწუხაროა, რომ მომდევნო რაუნდში ვერ გავედით, არადა, ჩემი აზრით, ჩვენი გუნდი ამას ნამდვილად იმსახურებდა. თუმცა რა გაეწყობა, წარსულს ველარ შევცვლით და სჯობს, შევაფასოთ ის, თუ რა მოგვცა ევროტურნირებზე წლევანდელმა ასპარეზობამ. რა თქმა უნდა, უმთავრესად ეს არის გამოცდილება, რომელიც ასე საჭიროა ქართველი ფეხბურთელებისთვის... გარდა ამისა, მათ ირწმუნეს, რომ ნებისმიერ გუნდთან შეუძლიათ ტოლსწორი თამაში. ბუნებრივია, „ნებისმიერ გუნდში“ არ ვგულისხმობ „ბარსელონას“, „მანჩესტერს იუნაიტედსა“ და ასეთი რანგის კლუბებს, საშუალოევროპულ გუნდებზე ვლაპარაკობ.

**- საინტერესოა, რა უთხარით მატჩამდე ფეხბურთელებს? როცა შინ 2:1 გაქვს წაგებული, არ არის ადვილი საპასუხო თამაშზე გასვლა ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე... თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება გაჩნდეს დამატებით მოტივაციაც...**

- ფსიქოლოგიურად გუნდის განწყობა არანაკლებ მიშვნელოვანი იყო. ბიჭებს ვუთხარი, რომ მეტოქეზე არანაკლებ კარგად შეეძლოთ თამაში. „ჰელსინგბორგს“ თავისი დადებითი მხარეები აქვს, ჩვენ - ჩვენი. ფეხბურთში მხოლოდ სახელი და გვარი არაფერს ნიშნავს, თუ მოედანზე სათანადოდ არ გაისარჯე. ამიტომაც მივუთითე ბიჭებს, რომ მოწინაალმდეგის ცნობილ ფიგურებს არ უნდა მორიდებოდნენ. მივიჩნიე, რომ მთავარი იყო, სწორედ ეს ფაქტორი მომეხსნა. ამან შებოჭა ჩვენი ფეხბურთელები პირველ მატჩში. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ეს გარკვეულწილად შევძელი. საკუთარი ძალების რწმენა თანამედროვე ფეხბურთში ბევრს ნიშნავს.

**- ეტყობა, ამიტომაც ითამაშა „ზესტაფონმა“ შემტევი ფეხბურთი. თუმცა სხვა გზა არც გქონდათ...**

- პირველი მატჩის შემდეგ ბიჭები საკუთარ თავზე გაბრაზებულები იყვნენ და ჰქონდათ კიდეც საამისო საბაბი... ერთ მნიშვნელოვან დეტალსაც გეტყვით - შვედებთან პირველი მატჩის ჩანაწერის ნახვისა და ანალიზის შემდეგ თავად ფეხბურთელებმა თქვეს, რომ სტუმრად შემტევი ტაქტიკა უნდა აგვერჩია. რა თქმა უნდა, მეც ამ აზრის ვიყავი და როგორც ნახეთ, ამან გაამართლა კიდეც, თუმცა ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა...

**- პირველი ტაიმი 2:0 მოიგეთ. შესვენებისას რა დავალება მიეცით ფეხბურთელებს?**

- არაფერი შეგვიცვლია. ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ შემტევი თამაში უნდა გაგვეგრძელებინა, რათა ანგარიშის განმტკიცებაზე ზრუნვას ნიშნავდა, და ამავე დროს, არ უნდა დაგვეკარგა ბურთზე კონტროლი...

**- მატჩის ბოლოს წამებზე, როცა შვედებმა გოლი გაიტანეს და თამაში დამატებით დროში გადავიდა, დაუშვილი, ძარია და გელაშვილი უკვე გაყვანილი გყავდათ მოედნიდან. შეცვლები იძულებით იყო?**

- დიახ, ძარია და დაუშვილი დაშავდნენ. გარდა ამისა, ცვლილებებს ტაქტიკური მოსაზრებითაც მივმართე.

**- შვედების საგოლე შეტევამდე რამდენიმე წამით ადრე, ფრიად უცნაური ეპიზოდი ვიხილეთ. არბიტრმა ეგრეთ წოდებული სადავო ბურთი არა მეტოქეებს, არამედ შვედ ფეხბურთელებს შორის ჩააგდო. ეს წესების დარღევა არ იყო?**

- არა, წესების დარღვევა არ ყოფილა. მასპინძლები ბოლო შეტევას ავითარებდნენ, მოულოდნელად, მოედანზე მეორე ბურთი გამოჩნდა და ბუნებრივია, არბიტრმა თამაში შეაჩერა. ბურთის სადავო გდებისას, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, რომელიმე ჩვენი ფეხბურთელიც მისულიყო ახლოს და ბრძოლაში ჩართულიყო... დიახ, მართალია, ბურთი მეტოქეს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ დროს, იქვე მდგომ ჩვენს ნებისმიერ მოთამაშეს სრული უფლება ჰქონდა, ბურთისთვის ებრძოლა. სწორედ ასეთ სიტუაციებშია საჭირო გამოცდილება.

**- თითქოსდა, 94-ე წუთზე ეკსტრანდმა ჩვენს კარში ბურთი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა...**

- არა, არ ყოფილა თამაშგარე, თორემ ამას ნამდვილად არ დავმალავდი.



გია გეგუჩაძე

**- ჩვენს კარში მეორე გოლი გიორგი ცხადაიას შეცდომას მოჰყვა. ალბათ, ეს ევროდებიუტითაც იყო გამოწვეული. საერთოდ, როგორ შეაფასებდით მის თამაშს?**

- სხვათა შორის, არჩევანი მქონდა - ცხადაია დამეყენებინა თუ გორგიაშვილი. ცხადაიასგან განსხვავებით, გორგიაშვილს ევროთასებზე უკვე მოუწია თამაშმა... მე მომავალზე გავაკეთე გათვლა და ასეთ დროს წაგებული არასოდეს დარჩები. მიუხედავად ყველაფრისა, საერთო ჯამში ცხადაიათი უკმაყოფილო არ ვარ.

**- სუნდინის გოლის შემდეგ კი ალბათ ვა-ბანკზე წახვედით...**

- რა თქმა უნდა, როცა უპირატესობა მეტოქის მხარესაა, ძნელია თამაშში გარდატეხის შეტანა, მით უმეტეს, ჩვენნაირი გუნდისთვის, რომელსაც, თუნდაც „ჰელსინგბორგივით“, ხშირად არ უწევს გამორჩეულ გუნდებთან თამაში. დასანანი შეცდომის გამო მივიღეთ მეორე გოლი... მიუხედავად ამისა, დამატებით დროში შეტევაზე გავაკეთეთ აქცენტი. გვინდოდა, კიდევ ერთი გოლი გაგვეტანა და მომდევნო ეტაპზე გავსულიყავით...

**- ფაქტია, რომ „ზესტაფონმა“ კარგად ორგანიზებული, შემტევი ფეხბურთი ითამაშა. ქართული გუნდისგან ასეთ თამაშს ნაჩვევი არ ვართ. მოკლე დროში ეს როგორ შეძელით?**

- წმინდა საფეხბურთო გაგებით შეგნებულ ადამიანებთან მიწევს მუშაობა. ეს კი თანამედროვე ფეხბურთში ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს. ზესტაფონში მართლაც კარგი კონტინგენტი შევკრიბეთ. ბიჭებს კარგად ესმით თანამედროვე ფეხბურთი, ნიჭიერები არიან და იოლად ითვისებენ დავალებებს. ასე რომ, ეს მათი დამსახურებაა. ჩვენ ახლა ვაყალიბებთ გუნდს, კარგი თამაში კმაყოფილებას იწვევს, მაგრამ უკეთესი ნამდვილად სჯობს. ასე რომ, წინსვლა არ უნდა შევწყვიტოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ გუნდი.

**- დაბოლოს, „ზესტაფონში“ რამდენჯერმე ივარჯიშა ლევან კორლალიძემ. მისი აყვანის საკითხი ხომ არ გადაწყვეტილა?**

- მისით ნამდვილად ვართ დაინტერესებულნი და ვნახოთ, ყველაფერი ამ დღეებში გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერები

# ლონლაძე ნაკრებში მიიწვიეს და სიმურგში ჩაირიცხა

## გაანათხოვრებს ტავრია გიგიაძეს?



თემურ ლონლაძე

ევროპის ლიგიდან გამოვარდნილი ზაქათალის „სიმურგის“ მთავარმა მწვრთნელმა რომან პაკორამ გუნდის გადახალისება დაიწყო. მან ოთხიდან ორი ქართველი, მიხეილ მახვილაძე და ირაკლი დოლიძე გაუშვა. სამაგიეროდ, კიდევ ერთი - რუსთავის „ოლიმპის“ მარჯვენა მცველი თემურ ლონლაძე დაიმატა და არაა გამორიცხული, მალე კონტრაქტი სიმფეროპოლის „ტავრიას“ თავდამსხმელ ვასილ გიგიაძესაც გაუფორმოს.

ინფორმაცია აზერბაიჯანული კლუბის ქართველმა მენეჯერმა, დავით გენძეხაძემ გაგვიმხილა: „ლონლაძემ „სიმურგთან“ კონტრაქტი დღეს გააფორმა. დიდი ხანია აზერბაიჯანელები მას აკვირდებიან, დარწმუნდნენ, რომ ძლიერი მოთამაშეა და ვფიქრობ, თემური „სიმურგისთვის“ დიდი შენაძენი იქნება. მისი ფასი საქართველოშიც კარგად გაიგეს, „ოლიმპს“ გაშვება არ სურდა, მაგრამ საბოლოოდ ფეხბურთელის სურვილს გაუწიეს ანგარიში“.

კომენტარისთვის რომან პაკორას დავუკავშირდით:

- დიახ, ლონლაძე უკვე დავიმატეთ და ბათუმის შეკრებაზე წავიყვანეთ. მას დიდი ხანია ვაკვირდები, ძალიან მომწონს და ვფიქრობ, „სიმურგს“ გააძლიერებს.

**- ვასილ გიგიაძის დამატებაც გადაგიწყვეტიათ.**

- სიმფეროპოლის „ტავრიას“ ერთწლიან არენდაზე ველაპარაკებით. ვნახოთ, აქედან რა გამოვა. თუკი თანხმობა მივიღეთ, თავდასხმაში პრობლემას მოვაგვარებთ.

**- „ტავრია“ ტრანსფერის წინააღმდეგია?**

- ასე ვერ ვიტყვი, კლუბთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და იმედი გამოჩნდა, რომ გიგიაძე ჩვენი ფეხბურთელი გახდება.

**- თქვენთან რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი მეკარე ზვიად სტურუაც ვარჯიშობდა.**

- მისი დატოვება მსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. საქმე ისაა, რომ სეზონის შემდეგ, მეკარე ტარას ჩოფიკი კარიერის დასრულებას აპირებდა და სტურუა მოვიწვიე. თუმცა, ჩოფიკმა ახლახან გვითხრა, რომ კიდევ ერთი წელი ითამაშებს და ქართველი მეკარე ველარ დავტოვე, მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან მომწონს.

**... თემურ ლონლაძე** ახალ კლუბში გადასვლით კმაყოფილია და მიაჩნია, რომ ტრანსფერი წინსვლაში დაეხმარება:

- აზერბაიჯანში თამაში ჯერ კიდევ გასული 2008 წლის დეკემბერში შემომთავაზეს, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა.

**- მაშინ ვერც „ზესტაფონში“ გადახვედი - დანამდვილებით ვიცი, შენი აყვანით გია გეგუჩაძე იყო დაინტერესებული.**

- ეს მიმზიდველი წინადადება გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ ისევ „ოლიმპში“ დავრჩი, რადგან „ზესტაფონთან“ პირობებზე ვერ შევთანხმდი.

**- მართალია, თითქოს ლენქორანის „ხაზარიც“ გიწვევდა?**

- მითხრეს, მაგრამ არ ვიცი, რამდენად რეალური წინადადება იყო. საბოლოოდ იმ კლუბში წავედი, რომელმაც კონტრაქტი შემომთავაზა.

**- ექტორ რაულ კუპერი ეროვნულ ნაკრებში შენს გამოძახებას აპირებს. აზერბაიჯანში წასვლით სანაკრებო კარიერაში ხელი არ შეგეშლება?**

- იმედია, პირიქით მოხდება. აზერბაიჯანის ჩემპიონატი უკეთესი ტურნირია და ეს მაიმედებს. ეროვნული ნაკრები 9 აგვისტოს იკრიბება და ფედერაციაში პასპორტი უკვე მიმატანინეს. საბოლოოდ, 26 ფეხბურთელიდან ნაკრებში 21 მოთამაშეს დატოვებენ. იმედია, საბოლოო სიაში მეც მოვხვდები.

**მერაბ მამულაშვილი**

U 21. საერთაშორისო ტურნირი

# ფრეც შეიძლებოდა

**ბულგარეთი–საქართველო 2:1**

1:0 პეტკოვი (45), 1:1 შონია (71), 2:1 კრაჩანოვი (81)

საქართველო: თევდორაძე, ადამაძე, თოთაძე, გამრეკლიძე, კილაძე, შონია, თარხნიშვილი, მაისურაძე (82. ხუციძე), ბოლქვაძე (85. ჩიმაკაძე), პავლიაშვილი, ჭედია.

გაძევება: ადამაძე (82)

ბულგარულ სლივენში 21-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. გუშინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა. პირველი იყო „შავი" კონტინენტის დერბი, რომელშიც სამხ. აფრიკამ ზიმბაბვე 2:0 დაამარცხა. მოგვიანებით კი ჩვენმა 21-წლამდელებმა ითამაშეს. სამხრეთაფრიკელებთან სასტარტო ფრის (1:1) შემდეგ, **ოთარ გაბელიას** გუნდი ტურნირის მასპინძელ ბულგარეთთან გუშინ 2:1 დამარცხდა.

როგორც ბულგარეთში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა **კოკა ხურციამ** გვითხრა, მატჩის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით, საერთო ჯამში კი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. უმეტესად, ბურთი მოედნის ცენტრში ტრიალებდა. ბულგარელთა ათლეტური გუნდი ხშირად უხეშობდა. ვითარებას ისიც ართულებდა, რომ არბიტრი ადგილობრივი იყო. გასაგებია, რომ მსაჯებს თანამემამულეთა მიმართ ყოველთვის აქვთ სიმპათია, მაგრამ როგორც ირკვევა, გუშინდელი მატჩის მსაჯობა მხოლოდ სიმპათიის გამოხატულება არ ყოფილა...

მეტოქეებმა თითო რეალური საგოლე მომენტი გაცვალეს. ჯერ იყო და, ბულგარელთა ჩინებული შეტევის ბოლოს მეკარე **რევაზ თევდორაძემ** რთული დარტყმა მოიგერია, მერე კი მასპინძელთა კიპერმა სასწაულებრივად აულო **გიორგი ჭედიას**.

პირველი ტაიმი თითქოს უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ... ბულგარელებმა ფლანგზე ჯარიმა გაითამაშეს, მერე საჯარიმოშიც ჩაანოდეს და იქ **პეტკოვმა** თავურით ანგარიში გახსნა.

გაბელიას გუნდი მეორე ტაიმში უკეთ ათამაშდა. ქართველები უპირატესობას დაეუფლნენ და არბიტრის მიერ არაერთგზის შეფერხების (გამოგონილი ოფსაიდებითა და ჯარიმებით) მიუხედავად, ბულგარელთა კარის სიახლოვეს არაერთხელ დაარლვიეს სიმშვიდე. აქტიურობდნენ ჭედია და **ილია პავლიაშვილი**, რასაც მათ ზურგსუკან მოქმედი **შონია-თარხნიშვილი-მაისურაძე-ბოლქვაძის** კვარტეტი განაპირობებდა.

როგორც იტყვიან, ჩვენებმა გოლი მოამწიფეს. **თემურ შონიამ** სოლორეიდი განახორციელა და 71-ე წუთზე წონასწორობაც აღადგინა. სხვათა შორის, ეს შონიას მეორე გოლია ამ ტურნირზე.

მასპინძლები გამოფხიზლდნენ და თამაში გაათანაბრეს, თუმცა ამით ჩვენებსაც მიეცათ შანსი. ერთ-ერთი კონტრშეტევისას **თორნიკე თარხნიშვილს** ჩვენი გუნდის დაწინაურება შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს.

...და დადგა 81-ე წუთიც, როცა **კრაჩანოვის** (რომელმაც ზიმბაბვესთან დუბლი გაახერხა) ზუსტ დარტყმას მასპინძელთა დაწინაურება მოჰყვა. ერთ წუთში კი არბიტრმა მცველ **გურამ ადამაძეს** მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გააძევა. როგორც გვითხრეს, მეორე შემთხვევაში ადამაძე გაფრთხილებას არ იმსახურებდა...

ასე იყო თუ ისე, თამაშის მიწურულს შონიას ქულის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ ბულგარელები გოლისგან მეკარემ იხსნა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| სამხ. აფრიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| საქართველო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| ზიმბაბვე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

**26 ივლისი**

საქართველო-ზიმბაბვე

ბულგარეთი-სამხ. აფრიკა

დავით ცაგაძე

ლეგიონი

# არის თუ არა ჯანო ანანიძე სლავა მეტრეველი?



ჯანო ანანიძეს მძიმე ტვირთი აწევს

ვფიქრობთ, თუკი ჯანო ანანიძეს ან მისი ოჯახის წევრებს თუნდაც ოდნავ მაინც ეპარებათ ეჭვი, რომ საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ სწორი არჩევანი მიიღეს, მათ რუსულ ინტერნეტ-საიტებზე გულშემატკივართა გამოხმაურებები უნდა ვაჩვენოთ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართველების მიმართ იმხელა სიძულვილით არის გამსჭვალული, რომ... მოკლედ, ქართულ პრესაზე დაყრდნობით მოსკოვის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობის ნახევარმცველ ჯანო ანანიძეს რუსულ მედიაშიც გაუვრცელდა ხმები, რომ მან რუსთა ნაკრებში თამაშის პერსპექტივას საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურა ამჯობინა, ამას კი რუს ფანთა რეაქცია მოჰყვა.

სანამ ამ თემაზე გადავალთ, შემოგთავაზებთ „სპარტაკის" მწვრთნელთან და სპორტულ დირექტორთან ვალერი კარპინთან ინტერვიუს ერთ ეპიზოდს, რომელშიც საუბარი ჩვენებურზეა:

**- როგორ ფიქრობთ, „კრასნოდართან", რომ სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანეთ რისკზე წახვედით?**

- გარკვეულწილად, კი. თასის თამაშებს ჩვენ ისევე სერიოზულად ვუდგებით, როგორც ჩემპიონატისას.

**- ანანიძე, რომ რუსეთის მოქალაქე იყოს, ის ჩემპიონატის მატჩებშიც მოხვდებოდა განაცხადში?**

- არამგონია, ასე იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქეა - მთავარია, ფეხბურთელი მატჩისთვის მზად იყოს.

**- ანანიძე მზად არ არის?**

- ადრეა ჯერ მისთვის. დიდი შანსია, ანანიძე ძალიან კარგი ფეხბურთელი დადგეს. მაგრამ ის ხომ ჯერ 16 წლისაა, ყველაფერს მშვიდად უნდა შევხვდეთ. თორემ რა გამოდის, ვინმე გაიტანს ერთ მაგარ გოლს და ატყდება ხმაური მედიაში, ვარსკვლავი დაიბადაო. ეს რაც ვთქვი ყველაზე ნაკლებად ანანიძეს ეხება, უფრო კი სხვა დანარჩენებს, უმთავრესად - ჟურნალისტებს.

ეს ინტერვიუ კარპინმა „სპორტ-ექსპრესს" მისცა, მეორე სახელოვანმა გამოცემამ, „სოვეტსკი სპორტმა" ქართულ პრესაზე დაყრდნობით, რუსეთში გაავრცელა, რომ ანანიძემ საქართველოს ნაკრებში თამაში გადაწყვიტა. ახლა კი გაგაცნობთ იმ კომენტართა ნაწილს, რაც ამ ცნობამ გამოიწვია რუს გულშემატკივართა შორის. ერთს ვიტყვით, შევეცადეთ ყველაზე კორექტული და ოდნავ არგუმენტირებული გამონათქვამები მოგვეყვანა, აშკარა ფაშისტურებს (დაახლოებით ასეთებს - „ოხ, ეს პატარა ანანიძე - გააგდეთ ქვეყნიდან") კი ყურადღებას არ მივაქცევთ, არადა, აბსოლუტური უმრავლესობა ასეთია.

*„ასეთი ტალანტი ჩვენს ნაკრებს ერთი ვაგონი მოუგროვდება. აი, სპარტაკს" კი ლეგიონერთა ლიმიტთან ისედაც პრობლემები აქვს და ჯანოს ქართული პასპორტით ძირითადში მოხვედრის შანსი აღარ აქვს"*, - წერს ერთ-ერთი გულშემატკივარი, სხვა კი ამატებს:

*„გაიზრდება ჯანო და მიხვდება ყველაფერს, მანამდე კი ითამაშოს საქართველოს ნაკრებში, იქ კონკურენცია არ არის".*

„ზენიტის" ერთ-ერთი ფანი სწერს „სპარტაკის" რამდენიმე გულშემატკივარს, რომლებმაც „გაბედეს" ანანიძის დაცვა:

*„სხვათა შორის, ერთხელ ჩვენი ნაკრები ეთამაშა საქართველოს და იქ ჩვენს ჰიმნს უსტვინეს, ავტობუსს კი ქვები დაუშინეს, ხოდა გააგრძელეთ ახლა „თქვენი" ანანიძის დაცვა".*

აი, რას წერს „სპარტაკის" ერთ-ერთი გულშემატკივარი: *„ძალიან კარგი ბიჭუნაა, ამ განცხადების შემდეგ კი მას უფრო ვაფასებ! სეზონის ბოლომდე ხშირად გამოჩნდება ძირითად გუნდში, გაისად კი მისი უცვლელი წევრი იქნება. ყველას ვინც მისი გვარის გამო ქირქილებს, ჯანო გატანილი გოლებით და საგოლე პასებით უპასუხებს".*

*„დასანანია, რუსეთი დიდ ტალანტს კარგავს, თავად კი ახლა ერთი ორჯერ გაუჭირდება ძირითადში მოხვედრა"*, - წერს მეორე.

სამწუხაროდ, ასეთი ნააზრევი რუსულ ფორუმებზე უმცირესობაშია. აი, სხვათა კომენტარებიც: *„ანანიძე, თორემ ეგეც არ იყოს ბორის პაიჭაძე ან სლავა მეტრეველი! ჩვენი პირველი დივიზიონი სავსეა ეგეთი ანანიძეებით", „თავად ბიჭს არ შევეხები, ცხადია, მამას უჯერებს და მის აზრს პატივს სცემს. აი, სპარტაკის" მენეჯმენტი რომ ნაგავია უკვე ფაქტია - რაზეა საუბარი, კარპინიც ხომ ესტონეთის მოქალაქეა, მასაც ფეხებზე ჰკიდია რუსეთი". „წავიდეს ეს საკაშისტი და ითამაშოს ბენდერებთან „კარპატიში", ან ლიახებთან „ლეგიაში", აქ თავისი გვარით ხალხს აცინებს მხოლოდ".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

## რევიშვილმა მშრალად შეინახა

რუსული პრემიერლიგის დუბლშემადგენლობათა პირველობაში ყაზანის „რუბინი" „ზენიტს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. „პეტროვსკის" მცირე არენაზე სტუმრებმა პირველი ტაიმი 0:1 წააგეს. მწვრთნელმა შესვენებაზე კოზკოს ნაცვლად კარში **ნუკრი რევიშვილი** ჩააყენა, რომელმაც ტაიმი მშრალად შეინახა და რამდენიმე სახიფათო ეპიზოდში საიმედოდაც ითამაშა. „რუბინის" დუბლები 20 ქულით მე-4 ადგილზეა. ნუკრი რევიშვილმა 8 თამაშში 4 გოლი გაუშვა.

## ჯაკობია სკამზე დარჩა

გუშინ უკრაინის ვიშალიგის მე-2 ტურის ერთი მატჩი გაიმართა. კიევის „არსენალი" „ჩერნომორეცს" ესტუმრა და 3:1 დაამარცხა. ამ შეხვედრაში „არსენალის" ფორვარდი **ლაშა ჯაკობია** სათადარიგო იყო, მას მოედანზე შესვლა არ მოუწია. პირველ ტურში ჯაკობიამ მხოლოდ ბოლო წუთებში ითამაშა, არადა სეზონის წინ სპარინგებში ჯაკობია მუდმივად თამაშობდა და გოლებიც გაჰქონდა. ტურის სხვა მატჩები დღეს-ხვალ გაიმართება უკრაინაში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფელეტონი

# ამბავი ტომისა, ჯერისა და BMW-სი

გადავა თუ არ გადავა „ჩიფსის" კაპიტანი ტომ ჯერი „კოლჩესტერ უინაიტედში"? აი, საკითხი, რომელსაც ბოლო კვირების განმავლობაში დიდი მონდომებით არჩევდა ჩვენი გულშემადგენელი... უკაცრავად, გულმაშემტკივანი... არა, რაღაც ვერ გამოდის, გულშემკვდარივარი... არა, არა, გულშიმკვდარიარი... ფუ, რა ჯანდაბაა, ერთი უბრალო სიტყვა ვერ გამომითქვამს: გულშიშეკავშირი...

თითქმის, ცეკავშირი...

ჯანდაბა და დოზანა, როგორც არის! როგორც ჩანს ამ საქმიდან არაფერი გამომივა. საზღვარგარეთულ სიტყვას „ფანი", კარგად ვამბობ. თუ გინდათ, მაგის მსგავს სიტყვებს სხვებსაც ვიტყვი: ფენი, ფონი, ფუნა... მაგრამ, ჩვენებურად რაღაც აღარ გამომდის. თუმცა, თავის მოკვლასაც არ ვაპირებ. თემა, რომლითაც მიმოხილვა დავიწყეთ იქაურია და აქაური სიტყვებით რატომ უნდა გავაწყო?

მოკლედ, იმას გეკითხებოდით, გადავა ტომ ჯერი „კოლჩესტერში" თუ „ვინჩესტერში"... უკაცრავად, „ჩიფსში" დარჩება? სატრანსფერო პირობები ასეთია: კლუბი კლუბს 124 მილიონ ფუნტს უხდის, ზედ ფრედის ლამპას და ნეტო'ო შენს დაამატებს, ფეხბურთელის ხელფასი კი კვირაში 509 ათასი ფუტი იქნება. სხვა სიტყვებით, მივა, ყოველ პარასკევს ტომ ჯერი სალაროში და იქაური მოლარე „ვოლარე კანტარეს" სიმღერით 509 ათასს ფუტს გამოატანს.

ჰოდა, რას იტყვით, გადავა? მე მგონი არა, იმიტომ, რომ ტომ ჯერიმ ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში თქვა, მას მერე, რაც კვირაში 98 ათასი ფუთი დამინიშნეს მივხვდი, რომ ბედნიერება ფულში არ არისო. გულწრფელად რომ გითხრათ, თქვენი მონა მორჩილი ამდენს ვერ ფიქრობს, მაგრამ როგორც ჩანს ცხოვრებაც სწორედ იმითაა საინტერესო, რომ მასზე ყველა თავისი შეხედულება აქვს.

და, რამდენადაც ცნობილია, ცხოვრებაზე თავისი განსხვავებული შეხედულება აქვთ ქართველ ფეხბურთელებსაც. აუცილებელი განმარტება: ქართველ ფეხბურთელებზე რომ ვლაპარაკობთ, წამით არ ვითვალისწინებთ ამ კვირაში ჩატარებული ევრომატჩების შედეგებს - უბრალოდ, მიმოხილვაში, გულდამწვარი ხალხის პოზიციიდან მივყვებით საუბრის უკვე დაწყებულ ხაზს. მაშ ასე, როგორია ქართველი ფეხბურთელების დამოკიდებულება ცხოვრებისადმი? თუმცა, პასუხისთვის რაღა შორს წავიდეთ, თუ ქართველი ხართ, წარმოიდგინეთ, რომ სადმე, კარგ გუნდში კვირაში რამდენიმე ფუთი დაგინიშნეს და რასაც თქვენ იზამთ, ქართველი ფეხბურთელის დამოკიდებულებაც ის იქნება.

„ჩესნად", რა მოდის უპირველეს ყოვლისა თავში? რა და BMW. შემდეგ? BMW და გვერდით ერთი გრძელფეხება გოგო. და კიდევ უფრო კარგად თუ დავაკვირდებით? BMW ოღონდ გვერდით ერთი და უკანა სკამზე მეორე გრძელფეხება გოგო. და კიდევ, კიდევ უფრო კარგად თუ დავაკვირდებით? ნუ, მაშინ უკვე BMW და ფეხების მთელი კოლექცია. ამის გარდა, ძვირი ჯინსი და ფეხსაცმელი. მობილური. მეორე ჯინსი და ფეხსაცმელი. მერე კიდევ ფეხსაცმელი და მერე რაღა თქმა უნდა კარგი ფეხსაცმელი. ნუ, რესტორნის ხარჯებს აქ არ ვანგარიშობთ. და კაზინო? „ბლექ ჯეკი"? „რულეტკა"? პოკერი? ჯოკერი? სეკა? დუ შაში კამათელო? კუში და კუშნახევარი? და მერე კიდევ ის? ან, ის, ყველამ რომ გავიფიქრეთ და არ ვთქვით? და ცოტა ოჯახსაც ხომ უნდა? მამას რა არ უნდა გრძელფეხება გოგოები და ის, ყველამ რომ გავიფიქრეთ და არ ვთქვით? დედას კიდევ კარგი სარეცხის მანქანა, რომ არ ძიგძიგებს ისეთი.

და უიმე, ბიჭო, ამასობაში ვარჯიშზე დაგვაგვიანდა... რომელი საათია, ე? რა? უკვე მაგდენია? დაიცა და რომ ცხელა, რა, უკვე ზაფხულია? რას ამბობ... შარშან თითქოს ასე ძალიან არ ცხელოდა. წვიმდა კიდეც. რა? ის რამდენიმე წლის წინ იყო? დაიცა, ტო, რას ლაპარაკობ, რომელი წელია? ორიათას?.. აუ, ერთწუთს სარკე მოატრიალე... ჭალარა და რატომღა ვარ, ტო?..

...ნუ, ეს ყველაფერი, რასაკვირველია ხუმრობა იყო. არარსებული სამყარო გამოვიგონეთ, ასე ვთქვათ თემას გადავუხვიეთ. ჩვენი მთავარი სასაუბრო თავიდან ხომ სულ სხვა იყო, აი, ის: გადავა თუ არ გადავა ტომ ჯერი „ჩიფსიდან" „კოლჩესტერ უინაიტედში"? ნაღდი სამყარო ისაა და მოდი ამაზე აღარ გავაგრძელოთ.

***პატივისცემით, ფერდინანდ კუთხურსკი იგივე კუთხურეიშვილი, იგივე მეკუთხურეთუხეცესი, რომლის ფიქრებიც***

ჩაიწერა

ილია ბაბუნაშვილმა

ბაიერნი

# ლუისმა ხმა აიმაღლა

## ვან გაალი დირიჟორს ვერ პოულობს



ლუის ვან გაალს გუნდის დასაწყობად ცოტა დრო დარჩა

კარგი დრო წარსულს ჩაბარდა, მიუნხენის „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** ფეხბურთელებზე დაკვირვება დაასრულა და შეტევაზე გადავიდა. რეკორდმაისტერი წინასასეზონო სამზადისს ახლა დონაუეშინგეში გადის და ერთ-ერთი უკანასკნელი ვარჯიშის შემდეგ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჯერ ახალგაზრდა მცველი **ჰოლგერ ბადშტუბერი** დატუქსა ტაქტიკური შეცდომის გამო, მერე კი მიუნხენური გრანდის ახალწვეულ **ედსონ ბრააფჰაიდსაც** შეუტია.

შემოდგომაზე ეგვიპტეში 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს და „ბაიერნს" ბადშტუბერის ამ ტურნირზე გაშვება არაფრისდიდებით არ უნდა. ცხადია იმის გამო, რომ ეგვიპტეში გამგზავრების შემთხვევაში, 20 წლის უკანახაზელი ბუნდესლიგასაც დააკლდება და ჩემპიონთა ლიგასაც. რამდენიმე თვის წინ „ბაიერნისთვის" ბადშტუბერის არყოფნა სერიოზული დანაკლისი არ იქნებოდა, მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა - ვან გაალი ამ ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებს და არ უნდა, რომ ეგვიპტეში გაუშვას. *„ფიფას ასეთი რანგის ტურნირი ასეთ დროს არ უნდა დაენიშნა. ჩვენ ჰოლგერს დაველაპარაკებით და ავუხსნით, რომ ძალიან გვჭირდება,"* - ამბობს „ბაიერნის" სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი**.

თუმცა ფეხბურთელის გადარწმუნება საკმარისი არ იქნება. „ბაიერნს" არ აქვს იმის უფლება, რომ მოთამაშეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში აუკრძალოს და თუ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ძალიან გაჯიუტდებიან, გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ექნებათ საქმე. საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** კი ამბობს, ეგვიპტეში საუკეთესო შემადგენლობით უნდა წავიდეთ და არ დავუშვებთ იმას, რომ რომელიმე კლუბმა რომელიმე ფეხბურთელი არ გამოუშვასო.

ვან გაალს კი სხვა პრობლემებიც აქვს. მაგალითად, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჯერ ვერ იპოვა გამთამაშებელი, რომელსაც მომავალ სეზონში თავდამსხმელების უკან ათამაშებს. არადა, ლუისი ჯიუტად ითხოვს, რომ „ბაიერნმა" ფლეიმეიკერით ისპარეზოს. **ფრანკ რიბერი** ტრავმირებულია და ჯერ ვერ ასპარეზობს, თანაც, მისი მიუნხენური მომავალი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა. მართალია, სატრანსფერო დავიდარაბა ცოტათი ჩაცხრა მას მერე, რაც **ული ჰიონესმა** თქვა, მორჩა, რიბერი მიუნხენში რჩებაო, მაგრამ მაინც არავინ იცის, რა მოხდება სექტემბრამდე. სანამ სატრანსფერო ფანჯარა ღიაა, ყველაფერი შესაძლებელია. რიბერის არყოფნაში კი ვან გაალმა ვერ იპოვა იდეალური ფეხბურთელი, რომელიც თავდამსხმელების უკან კარგად ითამაშებს.

*„რიბერის გარდა, ამ პოზიციაზე რამდენიმე ფეხბურთელი გამოვცადე: ხოსე სოსა, ბაუმიოჰანი და მიულერი. უახლოეს მომავალში უნდა გადავწყვიტოთ, ვინ ითამაშებს ფლეიმეიკერის პოზიციაზე და ფაქტია, რომ ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა,"* - ამბობს „ბაიერნის" ჰოლანდიელი დამრიგებელი.

ცნობილი ამბავია, რომ დირიჟორის პოზიციაზე თამაში ძალიან უნდა **ბასტიან შვაინშტაიგერს** და მან ვან გაალს თვითონვე შესთავაზა, თავდამსხმელების უკან ერთხელ მეც მათამაშეო. შვაინისაც ტრავმა ჰქონდა და გუნდს ამ კვირაში შეუერთდა. სავარაუდოდ, ვან გაალი გამთამაშებლის პოზიციაზე მასაც გამოცდის.

უკვე თვეზე მეტია, რაც ვან გაალი რეკორდმაისტერს ავარჯიშებს და დასკვნების გარკვეული ნაწილი უკვე გაკეთებული აქვს. „ბილდმა" იმ ათი ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომლებითაც ვან გაალი ამ ეტაპისთვის კმაყოფილია ან არ არის კმაყოფილი.

### მოგებულები

**მარიო გომესი** - „შტუტგარტიდან" 30 მილიონ ევროდ შეძენილი თავდამსხმელი რეკორდმაისტერის ფორვარდებს შორის ყველაზე კარგ ფორმაშია. გომესმა **ლუკა ტონიც** ჩრდილქვეშ მოაქცია. გომესმა ტესტმატჩებში უკვე 4 გოლის გატანა შეძლო.

**დანიელ ვან ბუიტენი** - აყლაყუდა ბელგიელი მცველი **იურგენ კლინსმანის** ხელში რეზერვისტი იყო და ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მას „ბაიერნში" მომავალი აღარ ჰქონდა. დღეს კი ვან ბუიტენი „ბაიერნის" ნომერ პირველი მცველია. ვან გაალს ის **მარტინ დემიკელისზე** მეტად მოსწონს. ბელგიელი უდიდეს მონდომებით ვარჯიშობს და ახალი სეზონი დღეს რომ იწყებოდეს, ჰოლანდიელი მწვრთნელი მას აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდა.

**ივიცა ოლიჩი** - ჯერჯერობით, გომესის შემდეგ, თავდამსხმელებიდან ყველაზე მეტად „ჰამბურგიდან" გადაბირებული ფორვარდი ივიცა ოლიჩი გამოირჩევა. „შტუტგარტერ კიკერსთან" ტესტმატჩში მან ჰეთ-ტრიკი შეასრულა. ოლიჩი მიროსლავ კლოზეს ადგილისთვის იბრძვის და ამ ეტაპზე გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი სასტარტო შემადგენლობიდან ამოგდებული ჰყავს. გუშინ ოლიჩმა მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ „ბაიერნის" ექიმების ცნობით, ივიცა ბუნდესლიგის სტარტამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

**ჰოლგერ ბადშტუბერი** - ვან გაალმა ყველასათვის მოულოდნელად, ბევრისთვის უცნობი 20 წლის მცველი ძირითადი შემადგენლობის წევრად აქცია. არადა, გასული სეზონი ბადშტუბერმა მესამე ბუნდესლიგაში, „ბაიერნის" მოყვარულთა გუნდთან ერთად გაატარა.

**მარკ ვან ბომელი** - მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნშია" **ანატოლი ტიმოშჩუკიც**, რომლის სანაცვლოდაც მიუნხენელებმა 11 მილიონი ევრო გადაიხადეს, მარკ ვან ბომელი ვან გაალის გუნდში მაინც შეფ-ჩამჭრელია. ვან ბომელს საუკეთესო შანსი აქვს, რომ თანამემამულე მწვრთნელმა ისევ გუნდის კაპიტნად აირჩიოს.

### წაგებულები

**ფრანკ რიბერი** - მის გარშემო ატეხილმა დავიდარაბამ მიუნხენში ყველას ნერვები მოუშალა, პირველ რიგში კი ვან გაალს. ფრანკს ტრავმა აწუხებს და ამის გამო სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს.

**ლუკა ტონი** - იმის გამო, რომ იტალიელმა კონფედერაციათა თასზე იასპარეზა, ერთი კვირაა, რაც თანაკლუბელებთან ერთად ვარჯიშს შეუდგა, ახლა კი მცირე ტრავმა აწუხებს. ტონის ძირითად შემადგენლობაში თამაში უნდა, ვან გაალი კი ამბობს, სასტარტოში თამაშის გარანტიას ვერავის მივცემო. მიმომხილველების მტკიცებით, დღეისათვის ტონი „ბაიერნის" რიგით მეოთხე ფორვარდია - გომესის, ოლიჩის და კლოზეს შემდეგ.

**ედსონ ბრააფჰაიდი** - ეს ფეხბურთელი „ბაიერნმა" თვითონ ვან გაალის თხოვნით, დაცვის მარცხენა ფლანგისთვის შეიძინა. ლუისი მას ჯერჯერობით რეგულარულად ამ პოზიციაზე ათამაშებს და აშკარაა, რომ ბრააფჰაიდი ტემპში ვერ თამაშობს, სისწრაფე აკლია. დიდი შანსია, რომ ამის გამო მომავალ სეზონში დაცვის მარცხენა ფლანგზე მაინც **ფილიპ ლამმა** ითამაშოს.

**ბასტიან შვაინშტაიგერი** - გერმანიის ნაკრების აზიური ტურნეს შემდეგ ტრავმა ჰქონდა და ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. შვაინშტაიგერს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის საფრთხე ემუქრება.

**მიხაელ რენზინგი** - ჯერჯერობით ვან გაალის პირველი მეკარე ჰანს იორგ ბუტია. თუმცა რენზინგს საკუთარი შესაძლებლობების სჯერა და იმედი აქვს, რომ ახალ სეზონში ვან გაალი რეკორდმაისტერის კარს სწორედ მას ანდობს.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## მართალი ხარ, სტივ!

**სტივ ჯერარდის** სასამართლო პროცესი დასრულდა. „ლივერპულის" 29 წლის კაპიტანი, როგორც მოსამართლემ ბრძანა, ცამდე მართალი ყოფილა კონფლიქტში, რომელიც გასული წლის ბოლოს საუთპორტის მუსიკალურ ბარში მოხდა. ჯერარდსა და მის ხუთ მეგობარს მავანი ბიზნესმენის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება ბრალდებოდათ. „ლივერპულის" კაპიტანს დაუმტკიცდა ის, რაც სასამართლოზე თქვა - ჩემი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვით იყო ნაკარნახევიო.

მერსისაიდელთა თავკაცი **რაფა ბენიტესი** კი აღფრთოვანებას ვერ მალავს - ბოლოს და ბოლოს, ჯერარდს შეუძლია, „ლივერპულთან" ერთად სეზონისთვის მზადება გააგრძელოს. სასამართლო გარჩევების გამო მას შორეული აღმოსავლეთის ტურნე გაუცდა. მოსალოდნელია, რომ „წითლების" შემადგენლობაში ჯერარდი 2 აგვისტოს, „ესპანიოლთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშებს.



## ნაპოლიმ დე სანქტისი იყიდა

**მორგან დე სანკტისი**, რომელმაც ბოლო წლები „სევილიასა" და „გალათასარაიში" გაატარა, „ნაპოლის" მეკარე გახდა. 32 წლის კიპერს **რობერტო დონადონი** კარგა ხნის წინ შეუჩნდა. საბოლოოდ, ნეაპოლიტანელებმა ესპანურ მხარესთან შეთანხმებას მიაღწიეს და გამოცდილი გოლკიპერი 1.5 მილიონ ევროდ შეიძინეს.

დე სანკტისი უკვე დაადგა თურმე ავსტრიის გზას, სადაც ერთ-ერთ მაღალმთიან კურორტზე „ნაპოლი" ახალი სეზონისთვის ემზადება. როგორც ამბობენ, მისი ყიდვა ავტომატურად მოასწავებს მეკარე **ნიკოლას ნავაროს** გასხვისებას - „რიველ პლეიტი" მისი იჯარით აყვანაში 600 ათას ევროს იხდის.



შალკე

# შტრაიტ KAPUTT, კურანი OUT

## მაგათს ალთინთოფი-ფარფანის დუეტი ურჩევნია

**ფელიქს მაგათის** სიმკაცრე და დესპოტიზმი ყველასათვის კარგად არის ცნობილი. მის ვარჯიშებს ბევრი ფეხბურთელი ვერ უძლებს. „რამშაიდთან" 7:0-ზე მოგებული მატჩის დროს, რომელშიც **ლევან ყენიამ** დუბლი შეასრულა, მაგათს სათადარიგოთა სკამიდან **ალბერტ შტრაიტი** გაექცა. „დესპოტმა ფელიქსმა" ჰამბურგიდან გელზენკირხენში დაბრუნებული შემტევი ნახევარმცველი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა და ნაცვლად იმისა, რომ შტრაიტი წესისამებრ სათადარიგოთა სკამზე დამჯდარიყო, მან გუნდის ავტობუსს მიაშურა, რისთვისაც ფელიქსისგან მორიგი სასჯელი არ ასცდება.

ალსანიშნავია, რომ მაგათმა შტრაიტი მანამდე სერიოზულ ტესტმატჩებში საერთოდ არ ათამაშა და იმის გამო, რომ ნახევარმცველი ცუდ ფიზიკურ ფორმაში იყო, ცალკე ვარჯიში დაავალა. შტრაიტამდე მაგათმა ორი ფეხბურთელი დასაჯა: „ტვენტესთან" ამხანაგურ შეხვედრაში ახალგაზრდა ახალწვეული **ემინ იალინი** მოედანზე შეშვებიდან 6 წუთში ისევ გამოიყვანა, ხოლო ვენის „რაპიდთან" კი, კიდევ ერთი ათვალწუნებული ფეხბურთელი **კარლოს გროსმიულერი** მხოლოდ 17 წუთი ათამაშა.



ალბერტ შტრაიტი და კევინ კურანი

შესაძლებელია, მაგათის მორიგი მსხვერპლი **კევინ კურანი** აღმოჩნდეს. „რამშაიდთან" შეხვედრაში მაგათმა კევინი საერთოდ არ ათამაშა და ეს უკანასკნელი იძულებული იყო, სათადარიგოთა სკამიდან ეყურებინა, როგორ შეასრულა მისმა კონკურენტმა **ჰალილ ალთინთოფმა** პოკერი. ფაქტია, რომ ფელიქსი კურანით უკმაყოფილია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ჰალილი და ჯეფერსონ ფარფანი მასზე უკეთეს ფორმაში არიან.

*„მიხარია, ომ მწვრთნელი 4-4-2 სქემას ანიჭებს უპირატესობას. ასეთ სქემაში ცენტრფორვარდის რანგში თავს ყველაზე უკეთ ვგრძნობ. იმედი მაქვს, რომ ამ სეზონს უმაღლეს დონეზე ჩავატარებ,"* - აცხადებს ჰალილ ალთინთოფი.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ამბები



# მორატიმაც დაადასტურა: იბრა კატალონიელია

როგორც ჩანს, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** „ბარსელონაში“ გადასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ამაზე „ინტერის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ნათლად მეტყველებს. „ნერაძური“ ამჟამად ამერიკაშია, სადაც მომავალი სეზონისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს გადის. პორტალის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იბრაჰიმოვიჩი მზადების პროცესს გამოაკლდა და გეზი ევროპისკენ აიღო. ზლატანი ჯერ შვედეთში ჩაფრინდება, შემდეგ კი, სავარაუდოდ, ბარსელონისკენ აიღებს გეზს. კატალონიის დედაქალაქში იბრა ალბათ კონტრაქტს მოაწერს ხელს და „ასულგრანას“ წევრი ოფიციალურად გახდება. ჯერჯერობით, მხარეები ამ ამბავს ასე ლიად არ ახმაურებენ, მაგრამ ყველაფერი რომ სწორედ აქეთ მიდის, ცხადზე უცხადესია.

თავის მხრივ, **სამუელ ეტოო** იბარგება კატალონიიდან და ახალ საცხოვრებელს მილანში ეძებს. იტალიური პრესა ამტკიცებს, რომ კამერუნელმა საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღო და მომავალი სეზონიდან ის „ნერაძურისთვის“ გაირჯება. ზემოთქმულის დასტურია **მასიმო მორატის** სიტყვებიც, რომელმაც ფაქტობრივად ბეჭედი დაასვა პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს:

*„მოურინიო ყველა იმ ტრანსფერის საქმის კურსშია, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ. ასე რომ, ჩათვალეთ, ყველა დეტალი მასთან არის შეთანხმებული. სამუელ ეტოოს თამაში ჩვენი გუნდის თავკაცს ძალიან მოსწონს და არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ მას „ინტერში“ დიდი სიამოვნებით იხილავდა. სამუელი მეც ძალიან მომწონს და მიხარია, რომ საერთო ენა გამოვნახეთ. რაც შეეხება ტრანსფერს, უმჯობესია ჯერ მოვაწეროთ ხელი და შემდეგ ვილაპარაკოთ, როგორც შემდგარ ფაქტზე. იბრაჰიმოვიჩის ყიდვას თუ ვინმე შეძლებდა, არ მეგონა, თუმცა დღეს ცოტა სხვა თვალით ვუყურებ ყველაფერს. შვედს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მივიჩნევ, მაგრამ შეუცვლელი მაინც არავინ არის. დარწმუნებული ვარ, მოურინიო მის ხელთ არსებული შემადგენლობით მაქსიმუმ შედეგს მოიმკის. ტროფეები მომავალშიც უნდა მოვიპოვოთ, ზლატანის წასვლით ჩვენი მიზნები არ შეიცვლება“.*

როგორც ხედავთ, მორატი თან ამბობს, თან არა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი უკვე გარკვეულია. გუშინ, გვიან საღამოს გავრცელებული ინფორმაციით, იბრას სანაცვლოდ „ინტერი“ 40 მილიონ ევროს, სამუელ ეტოოს და **ალექსანდრ გლებს** მიიღებს.

**ლაშა წიკლაური**




ჩელსი

# ანჩელოტის პირველი დიდი გამარჯვება

## ...მაგრამ ჯერ მოედანს მიღმა. ტერი სტემფორდ ბრიჯზე რჩება

ამბობენ, რომ **კარლო ანჩელოტიმ** თავის ახალ გუნდს, „ჩელსის“, პირველი დიდი წარმატება უკვე მოუტანა - გუნდის კაპიტანი, „მისტერ ჩელსიდ“ წოდებული **ჯონ ტერი** აღარსად მიდის. მოგეხსენებათ, არაბული ფულით გამდიდრებული „მანჩესტერ სიტი“ ლონდონელთა და ინგლისის ნაკრების კაპიტნის გადაბირებას ლამობდა, რისთვისაც უზარმაზარი თანხის შეთავაზებასაც არ ერიდებოდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ისტლენდელებმა ტერის ხელფასად კვირაში 250 ათასი ფუნტი შეუთვალეს, მაგრამ ანჩელოტიმ იგრძნო, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო და, ვიმეორებთ, როგორც ამბობენ, საკითხი მოაგვარა კიდეც.

პირველი, რაც ანჩელოტიმ გააკეთა, ამერიკულ შეკრებაზე გამგზავრების წინ ტერისთან პირისპირ შეხვედრა გახლდათ. ამის შემდეგ, იტალიელი მწვრთნელი და ინგლისელი ფეხბურთელი უკვე იქ, ოკეანის გადაღმა, „სიეტლთან“ ამხანაგური შეხვედრის შემდეგ დაელაპარაკნენ ერთმანეთს და ამ ორი შეხვედრით ანჩელოტიმ მის წინაშე დასმული ამოცანის ამოხსნა იპოვა: მწვრთნელმა გაიგო, რომ ტერის „ჩელსიდან“ წასვლა არ სურდა, მაგრამ შეურაცხყოფილი რჩებოდა, რადგან მაშინ, როდესაც სხვები მასზე ასე ნადირობდნენ, მისი საყვარელი კლუბი ყურსაც არ იბერტყავდა და გახელებული „მანჩესტერ სიტის“ საპირწონედ ხელფასის ცოტათი მომატებასაც არ აპირებდა. ნეტავ, მონა ხომ არ ვგონივართო, ფიქრობდა ერთგულებით ცნობილი ვარსკვლავი.

...და ანჩელოტიმ დირექტორატს ზუსტი სამოქმედო გეგმა მიუტანა: ისტლენდერებთან ხელფასში გაჯიბრება არ იყო საჭირო, საკმარისი გახლდათ არსებული გასამრჯელო, კვირაში 130 ათასი ფუნტი, 150 ათასამდე გაეზარდათ.

იტალიელი მწვრთნელის მავანმა ახლობელმა ინგლისურ ტაბლოიდებს კულისების ფარდა გადაუწია: *„კარლოსთვის საქმეში ჩარევა და მდგომარეობის განმუხტვა არავის უთხოვია. მას თავად მოუნდა გაეგო, რა აწუხებდა ფეხბურთელს, რომელიც არა და არ აცხადებდა ოფიციალურად, რომ „ჩელსიში“ აპირებდა დარჩენას“.*

გაირკვა, რომ ამერიკაში გამგზავრებამდე შეხვედრის დროს ტერის ანჩელოტისთვის გულწრფელად უთქვამს, რომ კარიერის „ჩელსიში“ დამთავრებაზე ოცნებობდა: *„განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის პირველი შეხვედრა გამოდგა. სწორედ მაშინ მიხვდა ანჩელოტი, თუ რაში იყო საქმე და რა უნდა ეთქვა დირექტორატისთვის. მაგრამ დირექტორატი თავის მხრივ ფხუკიანობდა და ფეხბურთელისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმას თაკილობდა. შესაბამისად, კარლოს დროის მოგება და სიტუაციის დამატებით შესწავლა დასჭირდა“* - განმარტა მწვრთნელის ახლობელმა.

ანჩელოტიმ კი კიდევ ერთი ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა - გუნდის წამყვან ფეხბურთელებს დაელაპარაკა და მათი მხარდაჭერაც მოიპოვა. მოთამაშეებს შეხვდა ანჩელოტის მარჯვენა ხელი, სპორტული ფსიქოლოგი **ბრუნო დე მიკელისიც**, რომელიც ინგლისურად სრულყოფილად ლაპარაკობს. შედეგად, გაკეთდა კოლექტიური დასკვნა, რომ ჯონ ტერის წასვლის შემთხვევაში „ჩელსის“ გუნდური სულისკვეთება ძალიან დაზარალდებოდა. ამის შემდეგ (ანუ, როგორც გითხარით, „სიეტლთან“ მატჩის მერე) ანჩელოტი ტერის ხელმეორედ დაელაპარაკა და როდესაც ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ თუ არ აიძულებენ, ისე გუნდიდან წასვლა არ უნდა, სასწრაფოდ გადაურეკა დირექტორატის ერთ გავლენიან წევრს. ეს გახლდათ **რომან აბრამოვიჩის** მარჯვენა ხელი **ევგენი ტენენბაუმი**, რომელთანაც უკვე სრულიად გულახდილი და როგორც გვარწმუნებენ, შედეგიანი ლაპარაკი გაიმართა.



კარლო ანჩელოტის ტერი ძალიან სჭირდება

**ილია ბაბუნაშვილი**

პრემიერლიგური ბიზნესი

# ლივერპულის გასაჭირი



ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი

**ჯორჯ ჯილეტი**, რომელიც, მოგეხსენებათ, **ტომ ჰიკსთან** ერთად „ლივერპულის“ მეპატრონეა, ტყავიდან ძვრება, რათა მერსისაიდული კლუბი ვალებში დახრჩობისგან იხსნას. არადა, ვალი სერიოზულია. 2007 წლის მერე, რაც ამერიკელ ბიზნესმენთა ამ წყვილმა „ენფილდზე“ ბინა დაიდო, არც მეტი არც ნაკლები, 350 მილიონი ფუნტი დაგროვდა. და აი, მისტერ ჯილეტს გამოსავალი მოუძებნია, თავის ჰოკეის გუნდს „მონრეალ კანადიენსს“ ლუდსახარშ „მოლსონს“ 340 მილიონად აძლევს - NHL-ის ეს გიგანტი ჯილეტს 2001 წელს ნახევარ ფასად აქვს ნაყიდი.

ამ ცნობამ „ლივერპულს“ სულზე მოუსწრო. თანხის გადახდის ვადა ჯილეტსა და ჰიკსს 24 ივლისს უწევდათ და როგორც გუნდის ვიცე-კაპიტანმა **ჯეიმი კარაგერმა** თქვა, დღე-დღეზე ის უკვე საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვასაც კი ელოდა.

*„ჩვენი ვარაუდით, კლუბის ახალი მეპატრონისთვის გადაფორმება ერთიორი თვის ამბავია“* - თქვა „მონრეალ კანადიანსის“ პრესატაშე **დონალდ ბუშამპმა.**

აღსანიშნავია, რომ ჯილეტი მონრეალში ძალიან უყვართ, რადგან ის საუკეთესო ჰოკეისტების საყიდლად ფულს არასდროს იშურებდა. სხვა საქმეა, რომ ამ ბიზნესმენმა ინგლისში, კერძოდ კი „ლივერპულის“ ქომაგებს შორის, ასეთივე სახელი ვერ დაიგდო.

ასე და ამგვარად, „ლივერპული“ წვალობს, რაც ხსენებულ ქომაგებს, ბუნებრივია, გულზე არ ეხატებათ და ამიტომაც გადაწყვიტეს ერთ ძველ ხრიკს მიმართონ - გულშემატკივართა კლუბებმა, ShareLiverpoolFC-მ და „სპირიტ ოფ შენკლიმ“ (გუნდის ლეგენდარულ მწვრთნელზე, ბილ შენკლიზეა ლაპარაკი) გადაწყვიტეს, ჯილეტისა და ჰიკსის წყვილი თავიანთი კლუბიდან გააგდონ. ტექნიკურად ეს ასე უნდა მოხდეს: 100 ათასმა ფანმა ხუთ-ხუთი ათასი ფუნტი რომ დადოს, სულ 500 მილიონი დაგროვდება და თავის საყვარელ გუნდს ხალხი თავად გამოისყიდის. თუმცა, კაცისგან 5 ათასი ცოტა გადაჭარბებულად ჟღერს და ამიტომ არის სათადარიგო ვარიანტიც: არა 5 ათასი, არამედ 500. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ლივერპულელ ქომაგებს ბიზნესპარტნიორი სჭირდებათ...

**ილია ბაბუნაშვილი**

საშაბათო

# ფეხბურთი და სინემა

მართალია, ბულგარელ ფეხბურთელს, დიმიტარ ბერბატოვს, „მანჩესტერ იუნაიტედში“ ერიკ კანტონას ლეგენდარული შვიდი ნომერი არ აცვია და, პირდაპირ რომ ვთქვათ, ვერც ნიჭით შეედრება დიდ ფრანგ ვარსკვლავს, მაგრამ მასთან მაინც აქვს რაღაც, საერთო. კერძოდ, ისევე როგორც კანტონას მასაც არ ასვენებენ კინორეჟისორები. კანტონას, მოგეხსენებათ, უკვე მრავალ ფილმში აქვს ნათამაშები, ბერბატოვი კი ჯერ ყოყმანობს. სწორად გაგვიგეთ, ბერბატოვი იმიტომ კი არ იკავებს თავს, რომ საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება ან განიცდის, რომ როლი არ გამოუვა, არამედ იმიტომ, რომ ფეხბურთელია და არ უნდა თავის მთავარ პროფესიას დრო მოაკლოს.

*„რასაც მთავაზობდნენ ყველაფერი წავიკითხე, ყველაფერმა დამაინტერესა, მაგრამ ჯერჯერობით კინოში გადაღებაზე უარს ვაცხადებ“*, - ამბობს ბულგარელი თავდამსხმელი.

მაგრამ, მსოფლიო კინემატოგრაფი ფეხბურთელთა დახმარების გარეშე მაინც არ რჩება. ცნობილმა ესპანურმა გაზეთმა as-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სულ მალე გადასაღებ მოედანზე ვიხილავთ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონ რონალდოს. დიდ რონალდოს ირანულ ფილმში იღებენ. გადაღებები სექტემბერში, ლიბანში დაიწყება. ფეხბურთელსა და ფილმის პროდიუსერს შორის წინასწარი კონტრაქტი უკვე გაფორმებულია.

## რონალდოს ფილმში გადაიღებენ




დავიდ ბელიონი


დიეგო ფორლანი

# სერ ალექსის

ალექს ფერგიუსონმა გარისკა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა მაიკლ ოუენი აიყვანა. მართალია, ამ საქმეში კაპიკი არ გადაუხდია, მაგრამ კაცისთვის, რომლის ჯანმრთელობაც დაუსრულებელი ტრავმების გამო ისე შეირყა, რომ ბოლო წლებში მოედანზე იშვიათად გამოდიოდა, კვირაში 50 ათასი ფუნტის დანიშვნა თამამი საქციელია. თუმცა, ვინ იცის...

მეორე მხრივ, „იუნაიტედის“ ბოსს კარიერაში ჩაფლავებული ტრანსფერებიც ჰქონია და „სანი“ სწორედ მათ იხსენებს. გაზეთმა ფერგის ათი ყველაზე სულელური შენაძენი ჩამოთვალა და ზედაც კითხვა დასვა: როგორ ფიქრობთ, ემუქრება მაიკლ ოუენს ამ ათეულში მოხვედრა? გამოაგდებს „ლივერპულისა“ და „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი და 2001 წლის „ოქროს ბურთის“ ლაურეატი ამ ათეულიდან ვინმეს? ეს, ალბათ, ყველაფერი ბედზე, სხვა სიტყვებით კი, ოუენის ტრავმებზე იქნება დამოკიდებული. სხვა მხრივ, აბა, ამხელა ვარსკვლავმა ის მაინც როგორ ვერ უნდა მოახერხოს, რომ სულელური ტრანსფერების ათეულს აარიდოს თავი. თუმცა, გვეყოფა მკითხაობა, სჯობს ინგლისელი კოლეგების ჩამოწერილ ათეულს გავეცნოთ.

### 10. დავიდ ბელიონი

ფერგიუსონს ეს ფრანგი თავდამსხმელი „სანდერლენდიდან“ რომ მოჰყავდა, მას 20 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა შეგდებული. ეს იყო 2003 წელს და რა იყო ამაში მოსაწონი, კაცმა არ იცის. გავიდა ორი წელიწადი და, 2005-ში, ბელიონმა „ოლდ ტრეფორდი“ ისე დატოვა, რომ 24 თამაშში ოთხზე მეტი არ ჰქონდა გატანილი - იგი „ვესტ ჰემში“ გაასესხეს. ლონდონში ბელიონმა რვა მატჩში კარს საერთოდ ვერ დაუმიზნა და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც უკეთესი შედეგი აქვს. მაგალითად, 2007-ის შემდეგ „ბორდოს“ შემადგენლობაში 59-ჯერ ითამაშა და 16 გოლი შეაგდო.

### 9. ვილიამ პრუნიე

მეცხრე ადგილზეც ფრანგი გავიდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ინგლისში ლა მანშის გაღმიდან წამოყვანილ ხალხს საგანგებო ეჭვის თვალით უყურებენ. „სანი“ წერს, რომ ეს ფეხბურთელი „იუნაიტედის“ ქომაგთაგან ბევრს ალბათ აღარც ახსოვს, ხოლო ვისაც ახსოვს, ცდილობს დაივიწყოს. ის იყო ცენტრალური მცველი, რომელიც ფერგიუსონმა სულ ორჯერ ათამაშა და ვაი, იმ თამაშს. პირველ შეხვედრაში, „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ თუ კიდევ არა უშავდა, მეორეში, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ მეტოქეს ოთხი გოლის გატანის საშუალება მისცა. ეს 1996 წლის 1 იანვრის ამბავია.

### 8. ოუენ ჰარგრივზი

ამ კანადური წარმოშობის ინგლისელის ჩაფლავება ტრავმებმა განაპირობა. როდესაც ფერგიუსონს ის თვალში მოუვიდა, ჰარგრივზი გახლდათ მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი, რომელმაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩინებულად ითამაშა. კაცმა რომ თქვას, მაშინ მის შემჩნევას ფერგიუსონობა არც სჭირდებოდა. ჰოდა, გადაიხადა კიდეც სერ ალექსმა ჰარგრივზში 18 მილიონი ფუნტი, მაგრამ შეცდა. 2007 წლის შემდეგ, ფეხბურთელი მოედანზე ხშირად ექიმთან არის. ამწუთას, ოუენ ჰარგრივზის მომავალი ბუნდოვანია.

### 7. ლაიამ მილერი

ლაიამ მილერის საქმე ასე იყო: როდესაც **როი კინმა** „მანჩესტერ იუნაიტედი“ დატოვა, ფერგიუსონმა მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო. და ვის ნახავდა ბებერი ირლანდიელის შემცვლელად ირლანდიელ ახალგაზრდაზე უკეთესს? მაგრამ, პრობლემამ წამოყო თავი - მსუბუქად რომ ვთქვათ, მილერი კინის ბადალი არ აღმოჩნდა...

ამ ზაფხულს, უკვე 28 წლის ირლანდიელი პრემიერლიგური „სანდერლენდიდან“ ჩემპიონატში მოასპარეზე „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გადავიდა.

### 6. ერიკ ჯემბა-ჯემბა

მეექვსეზე, მეშვიდეს დარად, როი კინის კიდევ ერთი შემცვლელი გავიდა. კამერუნელმა ჯემბა-ჯემბამ „იუნაიტედის“ მაისურით, ორი წლის განმავ-


კლებერსონი


მასიმო ტაიბი


ერიკ ჯემბა-ჯემბა


ხუან სებასტიან ვერონი

# ჩაფლავებულები

ლობაში 20 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მკაფიოდ დაამტკიცა, რომ კინს არაფრით ჰგავდა. ის, ფერგიუსონმა 2003 წელს „ნანტიდან" მიიყვანა. მაშინ ჯემბა-ჯემბა ყველასთვის უცნობი ფეხბურთელი იყო. დღეს იგი დანიურ „ოდენსეში" თამაშობს, სადაც 2008-ში ყატარიდან გადავიდა.

## 5. მანუჩო

2008 წლის იანვარში ნაყიდ ანგოლელზე იმთავითვე ამბობდნენ, რომ ფრიად საეჭვო ნიჭისა და უნარის ვინმე ბრძანდებოდა. „იუნაიტედმა" ისე იყიდა, რომ კაცი ანგოლის ჩემპიონატის გარეთ შემოწმებული არ იყო. ანგოლის ნაკრებს თუ არ ჩავთვლით. მოკლედ, იყიდა მანუჩო ფერგიუსონმა და... იმავე წელიწადს ბერძნულ „პანათინაიკოსს" მიაქირავა. შემდეგ, ცოტა ხნით „ჰალმა" ისესხა და ინგლისურ ფეხბურთში თავის გამოჩენის კიდევ ერთი შანსი მისცა, მაგრამ იქ ორ გოლზე მეტი ვერ შეაგდო და შედეგად, ამ ზაფხულს, „ვალიადოლიდის" ფეხბურთელი გახდა - ფერგიუსონმა უკვე კი აღარ გააქირავა, არამედ გაყიდა.

## 4. კლებერსონი

არადა, „მანჩესტერ იუნაიტედში" რომ გადავიდა, კაცი მსოფლიო ჩემპიონი იყო. 2002 წლის მუნდიალზე გამოსვლით ფასი დაიდო, 6 მილიონი ფუნტი... უყურა, უყურა ფერგიუსონმა კლებერსონს და 2005 წელს სტამბოლის „ბეშიქთაშში" გაუშვა.

## 3. მასიმო ტაიბი

იტალიელმა მეკარემ „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ოთხად ოთხი თამაში ჩაატარა, მაგრამ მას არასდროს დაივიწყებენ. ისეთი გოლი გაუშვა, რომ... ეს იყო მისი მესამე მატჩი ფერგიუსონის ხელში. 4,4 მილიონ ფუნტად ნაყიდი მეკარე „საუთჰემპტონის" თავდამსხმელებს უნდა გამკლავებოდა. პირველი ტაიმის შემდეგ მანჩესტერელები 2:1-ს იგებდნენ, მაგრამ შესვენების შემდეგ „საუთჰემპტონის" შემადგენლობაში მეტ ლე ტისიე გამოჩნდა, რომელმაც... ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად დაურტყა ტაიბის. კაცმა რომ თქვას, ტაიბიმ ბურთი დაიჭირა კიდეც, მაგრამ ვაი, რომ დაჭერილი ბურთი გაძვრა და კარში შეგორდა.

და როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ ტაიბი გუნდიდან გაუშვეს? რა თქმა უნდა ასე არ ფიქრობთ, რადგან ზემოთ მოგახსენეთ, რომ მან „მანჩესტერის" შემადგენლობაში ოთხჯერ ითამაშა. მეოთხე თამაში გახლდათ „ჩელსისთან", რომელიც ლონდონელთა გამარჯვებით, 5:0 დასრულდა.

## 2. დიეგო ფორლანი

ურუგვაელი თავდამსხმელი თავის საქმეში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამის დასამტკიცებლად ბოლო სტატისტიკა მოვიხმოთ: 2007 წლიდან მოყოლებული თავდამსხმელმა მადრიდის „ატლეტიკოს" შემადგენლობაში, 69 შეხვედრაში 48 გოლი გაიტანა, მაგრამ „იუნაიტედში"...

არგენტინული „ინდეპენდიენტედან" 7 მილიონად ნაყიდმა თავდამსხმელმა ფერგიუსონს სრულად გაუცრუა იმედი. „ოლდ ტრაფორდზე" ორწლიანი წვალების შემდეგ (63 თამაშში 10 გოლი) ფერგიმ ფორლანი „ვილიარეალში" გაუშვა და დახეთ შედეგს: 106 თამაშში 50 გოლი! მოკლედ, ამ ფორვარდს ან თავად ფერგიუსონმა ვერ უპოვა გასაღები, ან ის ვერ შეეწყო ინგლისს და სანამ მზიან, ესპანურენოვან გარემოში არ გადავიდა, ნიჭი ვერ გამოამჟღავნა.

## 1. ხუან ვერონი

არგენტინელი ვარსკვლავი „სანის" ჟურნალისტებმა პირველ ადგილზე იმიტომ კი არ ჩაწერეს, რომ ზოგადად მის ნიჭსა და ოსტატობაში შეაქვთ ეჭვი, არამედ იმიტომ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" მასში დიდძალი თანხა გადაიხადა, ვერონს კი ეს თანხა აშკარად არ აუნაზღაურებია. დიახ, „იუნაიტედმა" „ლაციოს" 28 მილიონი ფუნტი მისცა, რაც 2001 წელს ენით აუწერელი ფული გახლდათ. არგენტინელმა „ოლდ ტრეფორდზე" თავისი ნიჭი ორი სეზონის განმავლობაში ვერ გამოამჟღავნა და შედეგად, ფერგიუსონმა ის 15 მილიონად „ჩელსის" მიჰყიდა. დღეს ვერონი არგენტინაში, „ესტუდიანტესში" თამაშობს და ახლახან, ივლისში სამხრეთ ამერიკის უდიდესი თასი, „კოპა ლიბერტადორესი" მოიგო.


ლაიამ მილერი


ოუენ ჰარგრივზი

● საშაბათო

# კაცია და გუნება. კრისტიანოს ოაზისი ურჩევნია



# რონალდოს მწარე ოაზისი

მორჩა და გათავდა! სულ ყირაზე რომ დადგეს, კრისტიანო რონალდო ლივერპულელების გულს ველარ მოიგებს. სამაგიეროდ, მანჩესტერში მისაბრუნებელი პირი აქვს, თან, განა მარტო „იუნაიტედში"? „სიტიშიც"! მოკლედ, თუკი ოდესმე მადრიდის „რეალიდან" ინგლისში დაბრუნებას მოინდომებს, კარგად ნაცნობი მანჩესტერის ნებისმიერ უბანს შეუძლია მიაკითხოს.

ახლა კი გვეყო ეს დამაბნეველი ლაპარაკი და განვმარტოთ: რონალდომ, რომელიც ამ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „რეალში" 80 მილიონ ფუნტად გაიყიდა (ბარემ, ეს ამბავიც აქვე გავიხსენოთ), ბრძანა - როკჯგუფი „ოაზისი" „ბითლზს" სჯობიაო. ციტატა:

*„ლივერპულს „ბითლზი" ჰყავს, მანჩესტერს კი „ოაზისი" და მე თუ მკითხავთ, ლივერპულელებს ამაშიც ვჯობივართ (ძველი ინტერვიუ არ გეგონოთ, „რეალში" გადასვლის შემდეგაა მიცემული). სახლში „ოაზისის" ყველა ალბომი მაქვს. ცხადია, მაქვს ჩემი საყვარელი სიმღერაც - Champagne Supernova. ნაღდი კლასიკაა. მოკლედ, ერთ-ერთი, რაც მანჩესტერიდან წამოსვლის გამო აშკარად დამაკლდება, „ოაზისია". გამოგიტყდებით, მანჩესტერში პირველად რომ ჩავედი ეს ჯგუფი გაგონილიც არ მქონდა, მაგრამ შეუძლებელია ამ ქალაქში იცხოვრო და „ოაზისით" არ ისუნთქო. ჩვენი გუნდის ბიჭებს, განსაკუთრებით ინგლისელებს, „ოაზისზე" ჭკუა ეკეტებოდათ".*

ხოლო ის, რომ „ოაზისის" ლიდერები - ძმები ლაიამ და ნოელ გალაჰერები „მანჩესტერ სიტის" ფანები არიან (დიდი გაჭირვების პერიოდში, პატრონობდნენ კიდეც გუნდს) რონალდოს საერთოდ არ ადარდებს.

*„რას იზამ, იდეალური არავინ არის, მათ რიცხვში არც გალაჰერები. სამაგიეროდ, იდეალურ მუსიკას წერენ. ძმებს ქალაქში რამდენჯერმე გადავყრივარ, მაგრამ ლაპარაკით მათთან არასდროს მილაპარაკია. რაღაც უკარება ხალხი ჩანს, თუმცა ხელოვანები ხშირად ასეთები არიან. დარწმუნებული ვარ, ახლოდან თუ გაიცნობთ, ძალიან კარგ ადამიანებს აღმოაჩენთ. ვიცი, ახლა გასტროლებზე არიან, მაგრამ ჩემი გრაფიკი მათი კონცერტების ადგილს ვერ დავამთხვიე. იქნებ, „რეალ"-„ბარსელონაზე" დავპატიჟო და მათაც მადრიდში ერთი კერძო კონცერტი დაუკრან. ვაფრენ მათ აქცენტზე, ნაღდი მანკუნიანური აქცენტი აქვთ".*

საინტერესოა, რომ ნოელ გალაჰერს ფეხბურთის ვარსკვლავის ამ ინტერვიუზე საკმაოდ უკმეხი რეაქცია ჰქონდა. მან თქვა, შესაძლოა ეგ რონალდო დიდ ფულს აკეთებს და თუგინდ მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანიც იყოს, მაგრამ იმდენი, რომ ჩეკი გამოწეროს და „ოაზისმა" მადრიდში მაგის გულისთვის დაუკრას, არასოდეს ექნებაო - რას იზამ, „სიტი" „სიტია"!

გვერდები მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ემანუელ ებუე

სატრანსფერო ამბები

# ებუე თითქმის ფლორენციელია

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომავალი სეზონიდან **ემანუელ ებუე** „ფიორენტინაში" იასპარეზებს. კოტდივუარის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს ლონდონის „არსენალთან" ხელშეკრულება მომავალ ზაფხულს ეწურება და როგორც თვითონ აცხადებს, ნავსაყუდელის გამოცვლის დიდი სურვილი აქვს. აფრიკელს ერთი წლის თავზე ლონდონიდან აბარგება თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია და ასე რომ არ მოხდეს, „არსენალის" მესვეურებმა მისი გასხვისება გადაწყვიტეს. ფეხბურთელს ფასიც დადეს, თუ ვინმეს ებუეს შეძენა სურს, ათი მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს.

ფლორენციელებს „არსენალის" მარჯვენა მცველის გადაბირება უკვე დიდი ხანია უნდათ. სატრანსფერო ფანჯრის დაწყებამდე იმასაც კი ამბობდნენ, რომ ებუე ბარტერის წესით გადავიდოდა „ვიოლაში", **ფელიპე მელო** კი „არსენალს" მიაშურებდა. თუმცა, მელო „იუვენტუსში" გადავიდა და „ფიორენტინამ" აფრიკელის შეძენის მეორე ვარიანტს მიმართა. ფლორენციელები ლონდონელებს ებუეს სანაცვლოდ რვა მილიონ ევროს სთავაზობენ, ანუ ევაჭრებიან. თუ „კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, „არსენალის" მესვეურები მზად არიან წავიდნენ დათმობაზე და ფეხბურთელი იტალიურ კლუბს სწორედ რვა მილიონად დაუთმონ. როგორც ავტორიტეტული გამოცემა ვარაუდობს, უახლოეს დღეებში ტრანსფერი შედგება და მხარეები გარიგებას ოფიციალურად დაადასტურებენ. საუბარია ოთხწლიან ხელშეკრულებაზე, რომლის განმავლობაში ფეხბურთელი ყოველწლიურად მილიონნახევარ ევროს მიიღებს.

**ლაშა ნიკლაური**

# ლავეცი მილანს მოუნდა

**ესეკილ ლავეცის** „ნაპოლის" მესვეურებთან რომ კონფლიქტი აქვს, ძველი ამბავია. გასული სეზონის დასრულებისთანავე, არგენტინელმა შემტევმა ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტს ხელფასის მომატება მოსთხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ლავეციც ადგა და სამშობლოში ისე გაემგზავრა, კლუბისთვის არაფერი შეუტყობინებია. შემდეგ იყო „ლივერპულის" ვარიანტი, თუმცა ჩაიშალა და ფეხბურთელი კვლავ სიახლის მოლოდინშია. **აურელიო დე ლაურენტისი** კი ურჩ შეგირდს დასჯას უპირებს და როგორც აცხადებს, მას დუბლშემადგენლობაში უკრავს თავს. მოკლედ, სიტუაცია ჩიხშია შესული და გამოსავალიც არ ჩანს.

ამ დროს ავანსცენაზე **ადრიანო გალიანი** გამოჩნდა და ლავეცის გადაბირების სურვილი გამოთქვა. არადა, აქამდე სენიორ ადრიანო სულ იმას გაიძახოდა, სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აღარ ვაპირებთო. ეტყობა, კონფლიქტის პირობებში, გალიანის კვალიფიციური შემტევის იაფად შეძენის სურვილი გაუჩნდა. მოკლედ, თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, უახლოეს დღეებში „მილანი" „ნაპოლის" ოფიციალური წინადადებით მიმართავს და ფეხბურთელის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას შესთავაზებს. ჯერჯერობით, ზუსტი რიცხვი არ სახელდება, თუმცა ჟურნალისტები კულუარულ ინფორმაციას გვაწვდიან: ოცი მილიონი ევრო. ეს ის თანხაა, რომლის გადახდაც „მილანის" მესვეურებმა **ლუიშ ფაბიანოში** არ ისურვეს. ეტყობა, ბრაზილიელის ასაკმა (28 წელი) თავისი გაიტანა, ლავეცი კი მხოლოდ 24 წლის გახლავთ და მთელი კარიერა წინ აქვს.

**ლაშა ნიკლაური**




რომა

# სპალეტიმ ბირთვი შეინარჩუნა

„რომა" ახალი სეზონისთვის დიდ მიზნებს ისახავს და გამალებითაც ემზადება. გუნდის წარმომადგენლები და ფეხბურთელები ერთხმად აცხადებენ, რომ „ჯალოროსი" სკუდეტოსთვის იბრძოლებს. ამავე აზრზეა გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი**. გუშინ სპალეტი მასმედიის წარმომადგენლებს ესაუბრა და სატრანსფერო პოლიტიკაზე საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა:

*„ძალიან მიხარია, რომ დაცვის ცენტრის ძირითადი ფეხბურთელები გუნდში რჩებიან. ჟუანთან და მექსესთან ბევრი ვიმუშავე, ძალიან სტაბილურად, მძლავრად თამაშობენ და არ მინდოდა, ეს წყვილი დაშლილიყო. ფრანჩესკო ტოტი „რომაში" რჩება, მან ხელშეკრულება გაახანგრძლივა, თუმცა ამაზე სანერვიულო არც არასდროს მქონია. ტოტი ჩვენი გუნდის სიმბოლოა და დარწმუნებული ვარ, კარიერას სწორედ „რომაში" დაასრულებს. არ დავმალავ, ძალიან დიდი მოთხოვნაა დანიელე დე როსიზე, თუმცა მისი გაყიდვა თავში აზრადაც არ მოგვსვლია. ასეთი მოთამაშეების გუნდიდან გაშვება არაფრის დიდებით არ შეიძლება. დანიელეზე უდიდეს იმედებს ვამყარებთ, ის გუნდის ლიდერი, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. ამ ეტაპზე, არც სხვა ფეხბურთელების გაყიდვას ვაპირებთ და ეს ძალიან მახარებს. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ რომელიმე მოთამაშემ დაგვტოვოს. ასეთ შემთხვევაში, აღებული თანხით უმალ მისი შემცვლელის შეძენაზე უნდა ვიფიქროთ. ეს არ ეხება შეუცვლელ ფეხბურთელებს და მათზე ზემოთ უკვე ვისაუბრე. მომავალ სეზონში ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოპოვება იქნება. ვერ ვხედავ მიზეზს, რომ უმაღლესი მიზნები არ დავისახოთ. ჩვენს გუნდს ნამდვილად შესწევს ძალა იტალიური საკლუბო ფეხბურთის გრანდებს კონკურენცია გაუწიოს. თანაც, მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ გვიწევს თამაში, რაც ეროვნულ ჩემპიონატში ჩვენს შანსებს ერთი-ორად ზრდის. რაც შეეხება კონკურენტებს, თითოეულ მათგანს პატივისცემით ვეკიდებით. „ინტერი" კვლავ ფავორიტი იქნება, ამ გუნდს ჯერ წამყვანი ფეხბურთელები არ გაუყიდია, სამაგიეროდ გაძლიერდა და თანაც, საგრძნობლად. „მილანის" ჩამოწერა ნამდვილად არ შეიძლება, რატომღაც მგონია, რომ ლეონარდოს ხელში „როსონერი" ძალიან სანახაობრივ და ეფექტურ ფეხბურთს ითამაშებს. „იუვენტუსი" რომ ძალიან გაძლიერდა, ამას ჩემი თქმად არ სჭირდება. ყველა ვხედავთ, თუ რა გუნდი კეთდება ტურინში. ერთი სიტყვით, კონკურენტები ძალიან ძლიერი გვყავს, მაგრამ ეს არამც და არამც არ გვაშინებს. პირიქით, ენთუზიაზმით ვართ აღსავსე და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ".*

აქვე დავძენთ, რომ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სულ მალე **ხულიო რიკარდო კრუსი** ოფიციალურად გახდება „რომას" წევრი. „ინტერის" თავდამსხმელთან დედაქალაქელები დაახლოებით ათი დღეა მოლაპარაკებებს აწარმოებენ და როგორც ჩანს, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა. კრუსი „ჯალოროსისთან" სავარაუდოდ ერთწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, გახანგრძლივების პერსპექტივით.

**ლაშა ნიკლაური**



ინტერვიუ

რომან ვაიდენფელერი



რომან ვაიდენფელერი

# მხოლოდ ერთ შანსს ვითხოვ!

## დორტმუნდის მეკარე ლიოვს დანაპირების შესრულებას სთხოვს

**28 წლის რომან ვაიდენფელერი დიდი ხანია, გერმანიის ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობს. მასზე ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდნენ და იყო დრო, როცა გერმანიის პირველი გუნდისთვის სერიოზულ კანდიდატადაც განიხილავდნენ, მაგრამ არასტაბილურობა დასჩემდა - ერთ თამაშს უმაღლეს დონეზე ჩაატარებდა, მეორეში კი უპატიებელ შეცდომებს უშვებდა. გასული სეზონი დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარემ ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და კვლავ გაუჩნდა გერმანიის ნაკრებში მოხვედრის ამბიცია. ვაიდენფელერს „ბილდის" კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვა დაუსვა.**

**- ჰერ ვაიდენფელერ, ბუნდესლიგის გასულ სეზონში თქვენ საუკეთესო შედეგი გქონდათ იმ მხრივ, რომ ყველაზე მეტ შეხვედრაში შეინახეთ კარი მშრალად. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ეს სეზონი თქვენს კარიერაში ერთ-ერთი საკუეთესო იყო...**

- ცხადია, ძალიან მიხარია, რომ ასეთ შედეგს მივაღწიე. სხვათა შორის, ჩემი კარგი თამაში უკვე ბევრმა დააფასა და ბევრმა მითხრა, შესანიშნავ ფორმაში ხარო. მაგრამ კარგი იქნებოდა, ჩემი კარგი თამაში იმ პიროვნებას დაენახა და დაეფასებინა, ვისი მოსაზრებაც მე ყველაზე მეტად მაინტერესებს.

**- გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს გულისხმობთ?**

- ამის მიხვედრა რთული არ არის. დიახ, გერმანიის ნაკრების თავკაც იოახიმ ლიოვს ვგულისხმობ, რომელიც რატომღაც ისევ იგნორირებას მიკეთებს. არადა, ფაქტია, რომ ერთ შანსს მაინც ვიმსახურებ.

**- ადრე თქვით, იმედი მაქვს, რომ ლიოვი აზიურ ტურნეზე წამიყვანსო, მაგრამ სულ ტყუილად. როგორ ფიქრობთ, ბრძოლის გაგრძელებას აზრი აქვს?**

- ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს და რომ შევწყვიტო, პროფესიონალი არ ვიქნები. მიმაჩნია, რომ მეკარისთვის იდეალურ ასაკში ვარ და მინიმუმ კიდევ ათი წელი უნდა ვითამაშო უმაღლეს დონეზე. გერმანიის ნაკრებში თამაში ნებისმიერი გერმანელი კიპერის ოცნებაა. მაგრამ მე სხვებზე უკეთესი შანსი მაქვს, რადგან დორტმუნდის „ბორუსიას" ღირსებას ვიცავ. თუმცა, რაც დრო გადის, იმედები სულ უფრო და უფრო ხშირად მიცრუვდება. ვერ ვხვდები, რატომ არ მაძლევენ თუნდაც მხოლოდ ერთ შანსს.

**- ანუ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედი აღარ გაქვთ?**

- გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელები შემპირდნენ, რომ შანსს მომცემენ. მეც მოთმინებით ველოდები და იმედი მაქვს, რომ ჯერ არ დავიწყებიათ.

**- ცნობილია, რომ რობერტ ენკეს, რენე ადლერს, მანუელ ნოიერსა და ტიმ ვიზეს თქვენზე უკეთესი შანსები აქვთ...**

- სხვათა შორის, თავის შანსს ტიმ ვიზეც ძალიან დიდხანს ელოდა. ჩემი აზრით, ზედმეტად დიდხანს, რადგან ტიმი ისეთი მეკარეა, რომელიც გერმანიის ნაკრებში გამოჩენას გაცილებით ადრე იმსახურებდა. თუკი ბუნდესილგის მომავალ სეზონშიც მინიმუმ ისე ვითამაშებ, როგორც გასულ სეზონში, ვფიქრობ, პირობას შეასრულებენ და თუნდაც ერთ ამხანაგურ შეხვედრაში მათამაშებენ. ეს შანსი რომ მომცენ, მერე მე ვიცი - ყველას დავუმტკიცებ, რომ არავისზე ნაკლები არ ვარ.

**- „დორტმუნდი" ევროტურნირებზე არ თამაშობს და ეს ხელის შემშლელი ფაქტორია...**

- მართალია, მაგრამ ეს არ არის მთავარი, რაც ენკეს მაგალითიდანაც ძალიან კარგად ჩანს.

**- რისი მიღწევა შეუძლია „ბორუსიას" მომავალ სეზონში?**

- ჩვენმა კონკურენტებმა საკმაოდ ბევრი ფული დახარჯეს და ძალიან გაძლიერდნენ. მიუხედავად ამისა, არა მგონია, რომ ბევრმა გვაჯობოს. ვფიქრობ, ჩვენ შარშანდელზე უკეთ ვითამაშებთ და უკეთესი სეზონიც გვექნება. მიზანი მინიმუმ საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაა. მე მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლოთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლიმპიური ფესტივალი

# და დავრჩით უჩემპიონოდ

## ოქროს ბირჟაზე ჩაგვაჩოჩეს

კახა ბერიძე,
ტამპერედან
სპეციალურად ლელოსთვის

EYOF 2009 Tampere Finland

როგორც წინა რეპორტაჟებში ავღნიშნე, საქართველოს გუნდმა ანალოგიურ სპორტულ ღონისძიებაში, რომელსაც მაშინ ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები ერქვა, პირველად 1993 წელს ვალკენსვაარდში (ჰოლანდია) იასპარეზა. სწორედ მაშინ იყო, რომ ჩვენმა ჭაბუკმა ოლიმპიელებმა ოქროს მედლის მოპოვება ვერ მოახერხეს. მას მერე არც ერთი ახალგაზრდული ფესტივალიდან უჩემპიონოდ არ დავბრუნებულვართ და ყოველთვის გვწამდა, რომ ვალკენსვაარდის თამაშები ჩვენთვის იქნებოდა პირველი და უკანასკნელი, სადაც ოქროს მედლის აღება ვერ მოხერხდა.

ფინურ ტამპერეში მიმდინარე ბებერი კონტინენტის ახალგაზრდული ზაფხულის ფესტივალის დასკვნითი საშეჯიბრო დღე იყო ქართული დელეგაციის უკანასკნელი შანსი, ოქროს მედალს შევწვდომოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ ვერ მოხერხდა ქართველი ძიუდოისტის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. 90კგ წონით კატეგორიაში **ალექსანდრე მილდიანმა** სტარტზევე დათმო შეხვედრა უნგრელ **ბოტონ ჰეგედუსთან** და, ვინაიდან, უნგრელმა მომდევნო ბრძოლის მოგება ველარ შეძლო, ქართველსაც რეპეშაჟში გადასვლის შესაძლებლობა მოესპო. +90 კილოში ახლო წარსულში სახელოვანი ქართველი ძიუდოისტის **დავით ხახალეიშვილის** ვაჟი ასპარეზობდა. **როსტომი** საკმაოდ იმედიანად იყო განწყობილი, ბრძოლის ჟინიც არ აკლდა. პირველ წრეში ისლანდიელ **ტორსონს** იოლად კი გაუსწორდა, თუმცა შემდეგ ჩვენთვის ამ ტურნირზე გადაულახავ ბარიერად ქცეული რუსი ძიუდოისტი **სულიმ დოვტუკაევი** ელოდა. თუ შარშან პეკინის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენები რუსებს, სადაც გადაეყარნენ ყველგან ბრლდვინი ადინეს, ამჯერად პირიქით მოხდა და როსტომიც თავის რუს კოლეგას დაეჩაგვრინა. დამამშვიდებელში აზერბაიჯანელ **ანდრეი ფატიევს** კი მოუგო, მაგრამ ბულგარელ **ატანას კოსტადინოვთან** ველარაფერს გახდა.

პარალელურად ქალთა შორის +70 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ელენე ქებაძეს** მცირედი დააკლდა დიდ სასწაულამდე. გახსოვთ ბოლოს როდის მოიპოვეს მედალი ქართველმა ძიუდოისტმა გოგონებმა ასეთი მაღალი რანგის რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრზე? თუ მეხსიერება არ მღალატობს, მსგავსი წარმატებისთვის ქალთა ძიუდოში დამოუკიდებელ საქართველოს, საერთოდ, არ მიუღწევია. ტამპერეში კი ელენე ქებაძეს ერთი ნაბიჯი დააკლდა ბრინჯაოს მედლის მოგებამდე. სტარტზე **ესმე სტოლენთან** ბოლომდე იბრძოლა და მხოლოდ დამატებით დროში კოკათი დამარცხდა, რეპეშაჟში კი ჯერ პოლონელს, შემდეგ თურქ ძიუდოისტებს სძლია და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. აქ კი ელენე ნერვებს ველარ მოერია და ფრანგ **მირიტი ლენუართან** დამარცხდა. თუმცა ენა ვერავის მოუტრიალდება ელენე ქებაძის და მისი მწვრთნელის **გია თენაძის** მისამართით აუგის სათქმელად. ის, რაც ქებაძემ მოახერხა, ნამდვილად დასაფასებელია.

საბოლოოდ საქართველოს ძიუდოს გუნდმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით მე - 11 ადგილი დაიკავა. პირველ-მეორე ადგილები კი რუსეთისა (4 ოქრო) და აზერბაიჯანის (2 ოქრო) გუნდებს ხვდათ წილად. 23 ივლისის მონაცემებით საქართველოს გუნდი 27-ე პოზიციაზეა.

გუშინ, რიგით X საიუბილეო ზაფხულის ახალგაზრდული ფესტივალის ოფიციალური დახურვის ცერემონიალი გაიმართა. იყო დიდი ჟრიამული და სევდის ცრემლებიც, რადგან ფესტივალი 2 წლით გვემშვიდობება.

საქართველოს დელეგაცია ტამპერედან დღეს დილით მოემგზავრება და სამშობლოში სტამბოლის გავლით კვირას გამთენიისას დაბრუნდება.

„ტამპერე 2009" უკვე ისტორიის კუთვნილებაა. 2011 წელს ტრაპიზონში შეხვედრამდე!

საპარლამენტო კომიტეტში

# კანონი გვიახლოვდება



არცთუ ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც „სპორტის შესახებ" საქართველოს კანონის ახალ რედაქციაზე მუშაობა დაიწყო და შემოქმედებითი გზით თანდათან უახლოვდება სრულყოფას.

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გუშინ მთლიანად ამ კანონპროექტზე მუშაობას მიეძღვნა. განიხილეს როგორც საბჭოს წევრების, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის, საქართველოს და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის, სპორტულ გაზეთ „ლელოს" რედაქციის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები. განხილვაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან მონაწილეობდნენ თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია გალდავა** და იურისტი **დავით ქვრივიშვილი.**

როგორც სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, **ვაჟა შუბლაძემ** განაცხადა, კანონის ახალმა რედაქციამ საქართველოს სპორტულ სამყაროში დიდი დაინტერესება გამოიწვია და, შესაბამისად, ფართო გამოხმაურებაც მოჰყვა. დღეისათვის საბჭოში 80-მდე შენიშვნა და წინადადებაა შემოსული, რომელთა დიდი ნაწილი კანონპროექტის ავტორებმა უპირობოდ გაიზიარეს. გარდა ამისა, როგორც სხდომაზე აღინიშნა, მართალია, ნაწილი წარმოდგენილი წინადადებებისა მიუღებელია, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე მუშაობა შეიძლება. საბჭოს სხდომის არსიც სწორედ ეს იყო.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე,** რომელმაც განაცხადა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი სპორტის სფეროს საკანონმდებლო უზრუნველყოფის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად და მისი მიღება პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე იგეგმება.

"ლელოს" კორ.

ჩოგბურთი

# ისევ ისინი და სავიჩი

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი „კოკა-კოლას" თასზე (საპრიზო ფონდი 15 ათასი $). შეჯიბრებას ისეთი პირი უჩანს, რომ ერთეულთა თანრიგის ფინალში, შესაძლოა, ისევ უკრაინელი **ივან სერგეევი** (309) და იტალიელი **მატეო მარაი** (338) ვიხილოთ, რომლებიც გასულ უქმეებზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თასის გათამაშების გადამწყვეტ პაექრობაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ისინი, შესაბამისად, პირველ და მეორე ნომრებად არიან განთესილები. გუშინ მეოთხედფინალში სერგეევმა უზბეკი **მურად ინოიატოვი** (603) დაამარცხა ძალების დაუძაბავად — 6:2, 6:2. არც მარაის დასდგომია დიდი ჯაფა ირლანდიელი **ბარი კინგის** (7943) წინააღმდეგობის დასაძლევად — 6:3, 6:1.

კერკეტი კაკალი გამოდგა დიდი ბრიტანელი **ჯეიმს პივერი** (879), რომელმაც წარმატებით განვლო ორი წრე. მე-4 ნომრად განთესილ ტუნისელ **მალეკ ჯაზირის** (406) პირველ სეტში ძალიან გაუჭირდა მისი დამარცხება — 7:5, მეორეში კი უფრო იოლად მოუგო მეტოქეს — 6:3 და, წინა ტურნირის მსგავსად, ნახევარფინალში გავიდა.

სერბ **დევიდ სავიჩს** (446) გასულ კვირას თბილისში არ უასპარეზია. „კოკა-კოლას" თასის გათამაშების პირველ-მეორე წრეში კი შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებს სძლია. მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილ უკრაინელ **არტიომ სმირნოვს** (397) დაუპირისპირდა, რომელიც რეიტინგში სერბზე 49 საფეხურით მაღლა დგას. თუმცა სავიჩისთვის ამას ხელი არ შეუშლია, ორ სეტში მიეღწია წარმატებისთვის — 6:4, 8:5.

ამდენად, დღეს ნახევარფინალში 12 საათიდან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან სერგეევი და ჯაზირი, შემდეგ კი კორტზე სავიჩი და მარაი გავლენ.

დღესვე გულშემატკივრები 15 საათიდან წყვილთა გადამწყვეტ პაექრობასაც იხილავენ. მთავარი პრიზისთვის უკრაინელთა ორი დუეტი იასპარეზებს: წინა ტურნირის ფინალისტებმა — **ივან ანიკანოვმა** და **არტიომ სმირნოვმა** გუშინ **პაველ კატლიაროვსა** (ბელარუსი) და **ბოგდან-ვიქტორ ლეონტეს** (რუმინეთი) აჯობეს — 6:3, 6:2, ხოლო **ალექსანდრ აგაფონოვმა** და **ივან სერგეევმა** ქართველთა ტანდემი (**ნოდარ ითონიშვილი, ლაზარე კუხალაშვილი**) დაჯაბნეს — 7:6(4), 6:1.

ძიდაობა

# თემურ აფხაზავას პრიზზე

ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, მსოფლიოს სუპერთასის მფლობელის, ევროპის ორგზის ჩემპიონისა და სსრკ-ის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის **თეიმურაზ აფხაზავას** სახელობის მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 1993-95 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. საქართველოს სხვადასხვა ქალაქის გუნდებთან ერთად ტურნირში მეზობელი სომხეთის წარმომადგენლებმაც იჭიდავეს. შეჯიბრება 15 წონით კატეგორიაში გაიმართა. სამდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები:

20 კგ: 1. გივი ლოლაძე (ქუთ.), 2. ბაჩუკი ჯომიდავა (აფხ.), 3. ალექსანდრე ზალიკიანი (ქუთ.), 3. ირაკლი ასტონიანი (წყალტ.)

23 კგ: 1. გია ირემაძე (ბათ.), 2. ნიკა არძენაძე (ბათ.), 3. დათო ფუტკარაძე (ბათ.), 3. გურამ ვარდანიძე (წყალტ.)

26 კგ: 1. გიორგი ლვალაძე (ქუთ.), 2. ასადურ გრიგორიანი (სომხ.), 3. ირაკლი აბულაძე (ბათ.), 3. მუხრან გაგნიძე (ჭიათ.)

29 კგ: 1. ირაკლი შავაძე (ბათ.), 2. დავით ჩავჩიძე (ქუთ.), 3. შოთა ლლონტი (ოზურგ.), 3. უჩა ტურაბელიძე (ქუთ.)

32 კგ: 1. გრიგორ სერაგიანი (სომხ.), 2. დავით ხარაბაძე (ქუთ.), 3. ბესიკ ზალიკიანი (ქუთ.), 3. დურმიშხან გუდაძე (წყალტ.)

35 კგ: 1. არმენ აკობიანი (სომ.), 2. გიორგი ბანძელაძე (ქუთ.), 3. გოგიტა ცუცქირიძე (ჭიათ.), 3. ზაურ გიორგაძე (სამტრ.)

38 კგ: 1. ბექა ბალანჩივაძე (წყალტ.), 2. რამაზ კვეტენაძე (ქუთ.), 3. არტურ ეკიმიანი (სომხ.), 3. დათო ირემაძე (ბათ.)

42კგ: 1. გიორგი მელია (სამტრ.), 2. თენგო კიკნაძე (ჭიათ.), 3. უჩა ნიგნაძე (ჭიათ.), 3. თორნიკე გეგეჩკორი (წყალტ.)

47 კგ: 1. გიორგი ცხადაძე (ქუთ.), 2. დავით სანიკიანი (ქუთ.), 3. ოთარ შეყილაძე (ჭიათ.), 3. ლაშა საკინჭელაშვილი (ჭიათ.)

53 კგ: 1. თორნიკე ჯანელიძე (ქუთ.), 2. ლაშა ჩაჩანიძე (ქუთ.), 3. დავით გოგიძე (ქუთ.), 3. გიორგი ჩაჩანიძე (ქუთ.)

59კგ: 1. კარაპენ ჩალაიანი (სომხ.), 2. აგანეს ტონოიანი (სომხ.), 3. ბიქტორ სალდაძე (ქუთ.). 3. ლაშა შავაძე (ბათ.)

66კგ. 1. თემურ რუხვაძე (ქუთ.), 2. არტურ მიქაელიანი (სომხ.), 3. ნიკა ფირცხალავა (წყალტ.), 3. იონა ფირცხალავა (წყალტ.).

73კგ: 1. ბექა ფანჩულიძე (ქუთ.), 2. გია მექვაბიშვილი (ოზურგ.), 3. გიორგი მდინარაძე (ოზურგ.), 3. ირაკლი კოვზირიძე (წყალტ.)

85 კგ: 1. თამაზ უკლება (ქუთ.), 2. თემურ კაპანაძე (ქუთ.), 3. დათო საბრთხობელაშვილი (ოზურგ.), 3. მირიან კომახიძე (ბათ.)

100 კგ: 1. გიორგი გულბიანი (ქუთ.). 2. აკაკი რობაქიძე (თერჯ.). 3. თორნიკე ბაბუნაშვილი (წყალტ.), 3. გურგენ სააკიანი (სომხ.)

თეიმურაზ აფხაზავას სახელობის ფულადი პრიზი გადაეცა 85 კგ-ში გამარჯვებულ ფალავანს თამაზ უკლებას. ყველაზე უმცროსი მონაწილის პრიზი კი 20 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ **გივი ლოლაძეს** ხვდა წილად.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე ქუთაისი გავიდა, მეორე და მესამე ადგილები კი შესაბამისად სომხეთმა და აჭარამ გადაინაწილეს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური



# მარსელში გეორ-გია მეხუთეა

მარსელში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, ქალთა შორის პლაჟბურთის ქართული წყვილი **საქართველო** შეჯიბრებას მეორე რაუნდიდან გამოეთხოვა.

ჩვენი ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე 26-ე ნომრად იყვნენ განთესილი, ერთობ უშელვათო ბრძოლა გაუმართეს მე-7 ნომრად განთესილ ბრაზილიელ დებს **მარია კლარა** და **კაროლინა სალგადოებს.** შეხვედრა, რომელმაც უჩვეულოდ დიდხანს, საათსა და თოთხმეტ წუთს გასტანა, ბრაზილიელების გამარჯვებით დასრულდა სამ სეტში - 18:21, 22:20, 24:22.

საბოლოოდ საქა-რთველო ტურნირზე 160 სარეიტინგო ქულას დასჯერდა.

ბევრად უკეთესად იასპარეზა კიდევ ერთმა ქართულმა წყვილმა. **გეორ-გიამ,** რომელიც შეჯიბრებაზე 24-ე ნომრადაა განთესილი, მეორე რაუნდში მასპინძელთა დუეტი, მე-9 ნომრად განთესილი ძმები **კესები** დაამარცხეს ორ სეტში - 21:18, 26:24.

მესამე რაუნდში გეორ-გიას მეტოქედ კიდევ უფრო ძლიერი ერგო. შესაბამისად ბრძოლაც ბევრად რთული გადახდა. ჩვენმა ფრენბურთელებმა მე-8 ნომრად განთესილ ამერიკელებთან **ჯენინგსი-ფორბრინგერი** პირველი სეტი ფაქტობრივად უბრძოლველად დათმეს-10:21. თუმცა მერე ძალები მოიკრიბეს და გაყოყოჩებულ მეტოქეს ზედიზედ ორი სეტი მოუგეს - 21:16, 18:16. შედეგად გეორ-გიამ მეოთხედფინალში გააღწია.

აქ კი, ჩვენი ფრენბურთელები ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, პირველ ნომრად განთესილ გერმანულ დუეტს **ბრინკი-რეკერმანი** დაუპირისპირდნენ და საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ სამ სეტში დამარცხდნენ - 21:13, 16:21, 20:18.

შედეგად გეორ-გიამ ტურნირზე მეხუთე ადგილს და 480 სარეიტინგო ქულას გამოჰკრა ხელი.

მომდევნო ეტაპი, სადაც ჩვენი ორივე დუეტი იასპარეზებს, სტარტს 27 ივლისს ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში აიღებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ველოსპორტი



დავით ასკურავა

# ასკურავა ევროპის ჩემპიონატზე

მინსკში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ქართველმა ველომრბოლელმა **დავით ასკურავამ** ძალები სამ დისციპლინაში სცადა. აქედან ორში მას საკმაოდ კარგი შედეგები ჰქონდა. კეირინშიც და კილომეტრიან დისტანციაზეც ასკურავამ ფინალში გასვლა შეძლო. საბოლოოდ, კეირინში მან მე-10 ადგილი დაიკავა, კილომეტრზე კი მე-13.

დათოსთვის წარუმატებელი გამოდგა მხოლოდ 200-მეტრიანი სპრინტი, სადაც მან ფინალში გასვლა ვერ შეძლო.

ასკურავა ვარჯიშს თბილისში გააგრძელებს და ევროპის თასისთვის მოემზადება, რომელსაც სექტემბერში ბარსელონა უმასპინძლებს. შემდეგ წინ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კალათბურთი

# ზაზა ფაჩულია: ატლანტაში პრეზიდენტივით ვარ

## ახლა მთავარი ნაკრებია



გასულ კვირას თითქმის ყოველდღე **ზაზა ფაჩულიას** შესახებ ვწერდით. იგი სატრანსფერო საქმეში იყო ჩაფლული და მომავალი კლუბის ვინაობას არკვევდა. საბოლოოდ გაარკვია კიდეც – "ატლანტა ჰოქსში" დარჩა. ყოფილ კლუბთან მან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ამ ამბავთან დაკავშირებით მან თავის საიტზე ვრცელი მონოლოგი გამოაქვეყნა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

*"ბევრი ფიქრის შემდეგ "ატლანტაში" დარჩენა გადავწყვიტე. მაისის შემდეგ თავისუფალი აგენტი გავხდი. ეს ჩემს კარიერაში მეორედ მოხდა და წინასგან განსხვავებულ სიტუაციაში აღმოვჩნდი.*

*პირველად, როცა თავისუფალი აგენტი გავხდი, შედარებით ახალგაზრდა ვიყავი, არ მყავდა ცოლ-შვილი, ამიტომ გაცილებით იოლი იყო გადაწყვეტილების მიღება, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. ახლა მომავალ კლუბზე ფიქრისას არაერთი ფაქტორის გათვალისწინება მომიხდა. ბევრიც ვინერვიულე. 30 ივლისის ღამეს, როცა თავისუფალ აგენტთა ბაზარი იხსნებოდა, მხოლოდ 2 საათი მეძინა, ბევრს ვფიქრობდი. ვღელავდი, არ ვიცოდი, ვინ რა წინადადებას შემომთავაზებდა და როგორ მოვქცეულიყავი.*

*მართალია, ვნერვიულობდი, მაგრამ ამავე დროს ვიცოდი, რომ სწორ გზას ავირჩევდი, რადგან მთელი კარიერის განმავლობაში საკუთარ ინსტინქტებს ვენდობოდი და ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს ვიღებდი.*

*ჩემმა აგენტმა არაერთი გუნდის ვარიანტი დამისახელა, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა, თუმცა საბოლოოდ "ატლანტამ" მისაღები კონტრაქტი შემომთავაზა და გადაწყვეტილების მიღებაც გამიადვილდა. ადრეც ვამბობდი, რომ ატლანტაში დარჩენა ძალიან მსურდა...*

*"ჰოქსთან" ხელშეკრულება 13 ივლისს გავაფორმე. პრესკონფერენციაზეც აღვნიშნე, რომ გუნდში დარჩენა, პირველ რიგში, ფანებმა გადამაწყვეტინეს, რომელთა მხარდაჭერასა და სიყვარულს ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი. მაგრამ კალათბურთი ბიზნესია და საქმემ შეიძლება ქვეყნის ერთი მხრიდან მეორეში მოულოდნელად გადაგიყვანოს. თუმცა, საბედნიეროდ, მოვლენები ისე განვითარდა, როგორც მე, ჩემს ოჯახს, გულშემატკივრებსა და გუნდის ხელმძღვანელობას გვსურდა. მოკლედ, პრეზიდენტივით ვარ: ოთხი წელი "ჰოქსში" გავატარე და ვადა რომ ამომეწურა, ისევ ოთხწლიანი ვადით ამირჩიეს...*

*ატლანტა ჩემი სახლია. აქ ხომ ოთხი წელი გავატარე და კიდევ ამდენი წელი მომიწევს დარჩენა. აქ იმიტომაც დავრჩი, რომ ფანებს ჩემი სიყვარულისთვის სამაგიერო გადავუხადო: საკუთარი თამაშით გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო.*

*მინდა, მომავალი ოთხი წელი ისეთივე იყოს, როგორიც განვლილი ოთხი. მას შემდეგ, რაც "ატლანტაში" გადმოვედი, გუნდი წლიდან წლამდე პროგრესირებს. პირველ სეზონში მხოლოდ 13 მოგება გვქონდა, მეორეში პლეი ოფს მივუახლოვდით, მესამეში პლეი ოფში ვითამაშეთ, ხოლო მეოთხეში – პირველი რაუნდი გავიარეთ. ვიმედოვნებ, მომდევნო ოთხ წელიწადში პროგრესი კიდევ გაგრძელდება.*

*მანამდე სერიოზული საქმე მაქვს: საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა ვითამაშო. ახლა აქტიურად ვვარჯიშობ, მინდა ნაკრებს სათანადოდ მომზადებული შევუერთდე. საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში ყოველთვის დიდებული რამ იყო და ახლაც მაქსიმალურად ვემზადები. ასევე მიხარია საქართველოში ჩემი ახლობლების ნახვა..."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

სატრანსფერო სიახლენი

# მანუ და კანტუ: არის კონტრაქტი



**ზაზა ფაჩულიას, ვლადიმერ ბოისას და ტაირონ ელისის კვალად მანუჩარ მარკოიშვილიც** დაბინავდა. მან იტალიურ "კანტუსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ოთხშაბათს მოკლე ინფორმაცია მოგაწოდეთ – მარკოიშვილით "კანტუ" დაინტერესდაო; ხუთშაბათს კანტუელთა მწვრთნელის ნათქვამი გამცნეთ – მანუ თანხმობას რამდენიმე საათში გვეტყვისო. დღეს კი მანუჩარზე, როგორც კანტუელზე გესაუბრებით.

ქართველ უკანახაზელს უკრაინაში წარმატებული სეზონის შემდეგ არაერთმა კლუბმა დაადგა თვალი. მათ შორის იყო რუსული "როსტოვი", უკრაინული "დონეცკი", ბერძნული "არისი", იტალიური "ბენეტონი" და, რა თქმა უნდა, "კანტუ".

რუსეთ-უკრაინაში ჩვენს კალათბურთელებს არაერთი პრობლემა შეექმნათ: მარკოიშვილს "კიევი" თვალსა და ხელს შუა დაემალა, ვოვა ბოისას რუსულ "სპარტაკ-პრიმორიეში" ხელფასს არ უხდიდნენ. ამიტომ მანუჩარმა რუსეთსა და უკრაინაში თამაშს იტალიაში წასვლა არჩია. შეიძლება, უკეთესი ვარიანტი "ბენეტონი" ყოფილიყო, მაგრამ რადგან მანუმ "კანტუ" არჩია, ესე იგი. ამ ეტაპზე ასე ერჩივნა.

გუნდის მწვრთნელი **ანდრეა ტრინჩიერი** ამბობს, მარკოიშვილი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა უნდა იყოსო. თუ ჩვეული თამაშის დემონსტრირების საშუალება მიეცემა, მანუჩარი წამყვან ევროპულ კლუბებსაც დააინტერესებს. იტალიის ჩემპიონატი ხომ ესპანეთის შემდეგ ევროპაში საუკეთესოა.

ერთადერთი, რაზეც შეიძლება გული დაგვწყდეს, ისაა, რომ "კანტუ" ევროტურნირებზე არ ითამაშებს, თუმცა, როგორც შევთანხმდით, ყურადღების მისაქცევად სერია A-ში წარმატებით თამაშიც საკმარისია. მანუჩარმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა: "ევროპის საუკეთესო კლუბებში გადასვლა ჯერ ადრეა, ამისთვის საჭიროა რომელიმე წამყვან ჩემპიონატში ორი-სამი წელი დამაჯერებლად თამაში"...

კანტუ მილანთან მდებარე პატარა ქალაქია, სადაც მშვიდად შეიძლება ვარჯიში და პროგრესირება. "კანტუ" სერია A-ში 1997 წლიდან თამაშობს და წარმატებებითაც დაიკვეხნის: 2003 წელს იტალიის სუპერთასი მოიგო, ხოლო 2002-03 წლების სეზონში ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშა. გასულ სეზონში კანტუელები პლეი ოფისთვის იბრძოდნენ, თუმცა ერთი ნაბიჯით ჩამორჩნენ მერვეადგილოსან "სკავოლინის". მეოთხედფინალში სწორედ საუკეთესო რვა გუნდი გადიოდა.

სხვათა შორის, წერილს დართული მარკოიშვილის ფოტო 2003 წლის გაზაფხულზე "კანტუს" წინააღმდეგ თამაშისასაა გადაღებული. მაშინ მანუ "ბენეტონის" ღირსებას იცავდა და მომავალ კლუბს კუდით ქვა ასროლინა: 21 წუთში 19 ქულა ჩაუგდო (თამაშიდან 7-დან 6 ტყორცნა გამოიყენა, რასაც 4-დან 4 საჯარიმო მიაყოლა). არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ იმ შეხვედრაში მარკოიშვილს ევროვარსკვლავი **თრონტონი** მეურვეობდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

მეტოქე

# შვედეთმა ჩვენზე ადრე დაიწყო და რა დაიწყო!

საქართველოს ნაკრები ავსტრიაშია და სადღეისოდ 7 კალათბურთელით ვარჯიშობს. გუნდი ნელ-ნელა შეივსება, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად მოესწრება 15 აგვისტომდე სათანადოდ შეთამაშება.

ამასობაში ჩვენი მთავარი მეტოქე, შვედეთი უკვე ამხანაგურ მატჩებს ატარებს. თანაც ვისთან – იტალიასთან და ჩეხეთთან...

ვიდრე იტალიის ქალაქ ბორმიოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მოგახსენებდეთ, ორიოდე სიტყვით შვედთა შემადგენლობას შევეხებით. გუნდში ერთადერთი დანაკლისია, ამერიკიდან ჯერ არ ჩამოსულა **იონას ჟერებკო.** იგი NBA-ს დრაფტის 39-ე ნომრად "დეტროიტ პისტონსმა" აირჩია. იონასი პირველი შვედია, რომელიც დრაფტზე აიყვანეს. იგი შვედეთის ნაკრებს აგვისტოს მატჩებში **დაეხმარება** თუ არა, ჯერ უცნობია.

ახლა იტალიის საკურორტო ქალაქ ბორმიოში გადავინაცვლოთ, სადაც ოთხგუნდიანი ტურნირი გაიმართა. პირველ ტურში ჩვენი მომავალი მეტოქეები იტალიელებს დაუპირისპირდნენ და 49:85 წააგეს. შვედების მხრიდან ათქულიანი ბარიერი მხოლოდ **ჯონათან სკოილდებრანდმა** გადალახა – 14 ქულა ჩააგდო. მატჩის ბომბარდირი იტალიელი **ანდრეა ბარნიანი** გახდა.

მეორე ტურში შვედეთმა ჩეხეთთან ბოლო წუთებზე წააგო – 65:70.

ბოლო მატჩში სკანდინავიელებმა გული სენეგალთან მოიოხეს – 60:46 იმარჯვეს.

ბორმიოს ტურნირის დასრულების შემდეგ შვედეთის ნაკრებმა იმავე სენეგალთან კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გამართა და მეორედაც იმარჯვა - 78:58.

როგორც ხედავთ, ჩვენი მომავალი მეტოქე ოფიციალური მატჩებისთვის სერიოზულად ემზადება. იგი დღეიდან უნგრეთის საერთაშორისო შეჯიბრებაში ჩაერთვება, მასპინძლებს, ჰოლანდიელებსა და ფინელებს დაეჭიდება.

გგონიათ, სულ ეს არის? არა ბატონო, შვედები გენერალურ რეპეტიციას ლატვიაში გაივლიან, სადაც ადგილობრივ ნაკრებს ორჯერ ეთამაშებიან (7 და 8 აგვისტოს).

შეგახსენებთ, რომ შარშან შვედეთში 59:61 წავაგეთ და ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად საჭიროა მეტოქის სამი ქულის სხვაობით ძლევა (სლოვაკეთ-ირლანდია-ლუქსემბურგის დამარცხებაზე ალარაფერს ვამბობთ). საქართველო შვედეთს 26 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში უმასპინძლებს. მატჩი 19 საათზე დაიწყება.

შეთამაშების მხრივ სკანდინავიელებს ნამდვილად ვერ ვაჯობებთ, ამიტომ იმედი დავიტოვოთ, რომ მათ ინდივიდუალიზმისა და გულშემატკივართა მხარდაჭერის წყალობით დავამარცხებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კარატე

# მაქაბიადაზე ქართული ჰიმნიც აჟღერდა

საქართველოში "მაქაბის" საზოგადოება ორი ათეული წლის წინათ დაფუძნდა (დამფუძნებელი და პრეზიდენტი — აკადემიკოსი **გურამ პაატაშვილი**). ამას წინათ ისრაელში მე-18 მსოფლიო მაქაბიადაზე იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა და ხუთი მედალი მოიპოვეს.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" შეჯიბრებიდან დაბრუნებულმა დელეგაციის წევრებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომლის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გულისხმიერი პიროვნებისა და ქველმოქმედის, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის **მიხეილ მირილაშვილის** ნათელ ხსოვნას.

ისრაელში გამართული "მაქაბიადის" შედეგებზე ვრცლად ილაპარაკა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ცნობილმა რადიო და ტელეკომენტატორმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა:**

— მსოფლიო "მაქაბიადები" ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა და მასში პლანეტის ყველა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობენ. წლეულს ჯილდოებისთვის 65 ქვეყნის 7 ათასამდე სპორტსმენი იბრძოდა. საქართველო 1993 წლიდან მეხუთედ ასპარეზობდა. ამჯერად ხუთი სპორტსმენით ხუთი მედალი მოიპოვა. ყველა ჯილდო კარატისტებზე მოდის. განსაკუთრებით საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის პრეზიდენტ **კახა ბასილიაზე** მინდა ვთქვა: გუნდურ პირველობაში კაცნაკლული ნაკრებით რომ არ გვეასპარეზა, ბატონმა კახამ კიმონო ჩაიცვა და რიგით მებრძოლად გავიდა ტატამზე, რითაც ფესტივალის ორგანიზატორთა და გულშემატკივართა პატივისცემა დაიმსახურა. ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. პირად პირველობაში ასევე, ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს **მამუკა თეთრაშვილმა, დავით აბრამაშვილმა** და **ალეკო ჟამერაშვილმა.** შეუდარებელი იყო **ლევან გორელაშვილი** — სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი და პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი, ხუთგზის ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი, რომელმაც წინა მსოფლიოს და ევროპის "მაქაბიადებზე" მეორე ადგილები დაიკავა. ამჯერად ლევანმა ორი დღის განმავლობაში 12 ორთაბრძოლა ჩაატარა (ინდივიდუალურსა და გუნდურში), პირად პირველობაში ყველა მეტოქე დაამარცხა და ისრაელში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა. ეს წარმატება იმ გამარჯვების გაგრძელებაა, რომელსაც 1993 წელს **გოჩა ციციაშვილმა** დაუდო სათავე. მაშინ გოჩამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოქროს მედალი მოიპოვა. რომ არა **იაშა ელიგულაშვილის** მატერიალური თანადგომა, "მაქაბიადაზე", ალბათ, ვერც წავიდოდით.

— ისრაელში ისეთი დაძაბული მომენტები იყო, რომ, შესაძლოა, საერთოდ, უმედლოდაც დავრჩენილიყავით, — ჩაერთო საუბარში კახა ბასილია. — გუნდურ პირველობაზე მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კანადის ნაკრებს ვაჯობეთ, მაგრამ გააპროტესტეს და მეორედ მოგვიწია ტატამზე გასვლა. მაინც დავუმტკიცეთ, რომ მათზე ძლიერები ვიყავით. თითოეული ჯილდოსთვის მიდიოდა არა მხოლოდ სპორტული ბრძოლა. მაგალითად, ლევან გორელაშვილს მეტოქეებთან ერთად ორგანიზატორებთან, არბიტრებთან და ექიმებთანაც მოუწია ჭიდილმა. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულებმა თბილისელი ორჯერ მოხსნეს შეჯიბრებიდან — ფეხი გაქვსო გასიებული. ჩემი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ დაუშვეს და ლევანმაც გვასახელა.

მადლობა ყველას, ვინც ხელი გაგვიმართა და გვიქომაგა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



მარცხნიდან: ლევან გორელაშვილი, ჯამლეტ ხუხაშვილი, კახა ბასილია, დავით აბრამაშვილი და ალეკო ჟამერაშვილი.

დებიუტანტი

## გიორგი ჭალაბეგაშვილი

ძიუდო

დაიბადა 1998 წელს

სიმაღლე: 151 სმ. წონა: 48 კგ



161-ე სკოლის მოსწავლეა. ძიუდოს ეუფლება 2006 წლიდან. პირველი და ამჟამინდელი მწვრთნელი ვაჟა ბალხამიშვილია. წლეულს გახდა ჯერ თბილისის, შემდეგ საქართველოს ჩემპიონი. მონაწილეობდა თანატოლთა სხვადასხვა ტურნირებში. 2008 წელს ჰოლანდიაში, ქალაქ ამსტერდამში ევროპის ღია ტურნირზე მესამე პრიზიორი გახდა. სპეციალისტები გიორგის კარგ სპორტულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

**ლიკა ჩხარტიშვილი**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ჭიდაობა

უამნისტიოდ დასჯილის ნატვრა

# დავით მოძმანაშვილი: მაჭიდავეთ!


დავით მოძმანაშვილი

ბედმა ისე ინება, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავე **დავით მოძმანაშვილისთვის** პირველი წარმატება ყველაზე დიდ ტკივილს გადაეჯაჭვა. შარშან ფინურ ტამპერეში ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა, თამამად შეიძლება ითქვას, გადათელა მეტოქეები. მისი არათუ შეჩერება, ოდნავი შეფერხებაც კი ვერავინ შეძლო. ის მხოლოდ ფინალში ფრთხილობდა სახელოვან მეტოქესთან, ქართული წარმოშობის რუს **დავით მუსულბესთან**. მიზეზიც ჰქონდა, რადგან მუსულბესი ოლიმპიური, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი და წონის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია, ასეთ ფალავანთან კი ხუმრობა არ შეიძლება. მით უფრო, როცა საქმე პირველ ტიტულს ეხება. მართალია, ფინეთში მუსულბესი ორწლიანი უქმობის მერე ჭიდაობდა - ერთი ხანობა სპორტს თავი დაანება, მერე კი სლოვაკეთის სახელით დაბრუნდა, მაგრამ ამხელა გაცდენისა არაფერი ეტყობოდა. მოძმანაშვილის არ იყოს, მანაც ძლიერად იასპარეზა და ტიტულოვანი მეტოქეებიც დასცა - უნგრელი მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი **ოტო აუბელი**, თურქი ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **აიდინ პოლაჩი**, ახალგაზრდა რუსი, მომავალი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ბახტიარ ახმედოვი**. გასაკვირი არაა, ასეთ მეტოქესთან სიფრთხილეს თუ იჩენდა და არ რისკავდა, მაგრამ მოძმანაშვილმა მაინც გვარიანი უპირატესობით გაიმარჯვა. ევროპამ ახალი ტალანტის დაბადება ირწმუნა, ჩვენ კი მოახლოებული ოლიმპიადის წინ ლამის ეიფორიას მივეცით - პეკინში გამარჯვება იმთავითვე დავიბევეთ, რაც, მისი ჭიდაობის ხარისხიდან გამომდინარე, სულაც არ იყო გადაჭარბებული. ცხადია, გახარებული გახლდათ თვითონ სპორტსმენიც, მწვრთნელთა გუნდიც, ფედერაციაც და „სპორტის მამანიც", მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა - დოპინგკონტროლმა დადებითი შედეგი აჩვენა! შედეგად, ჩვენებური უმკაცრესად დასაჯეს - ჩამოართვეს ევროპის ჩემპიონის ტიტული, ოლიმპიური ლიცენზია და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

მოწმენდილ ცაზე მეხი არ ჰქვია იმას, რაც ამ ამბავს საქართველოში მოჰყვა... კარგად მახსოვს ნაკრების თავკაც **ზაზა თურმანიძის** სახე, როცა ეს ამბავი გაიგო - დანა პირს არ უხსნიდა. ლაპარაკის თავი კი არა, ასე მეგონა, ამხელა კაცი ატირდებოდა... იმ დღეს ჭიდაობის ფედერაციაში შავი ძაძები არ გამოუფენიათ, თორემ სხვა მხრივ განწყობილება აბსოლუტურად სამგლოვიარო იყო... სხვა საქმეა გულშემატკივართა იმედგაცრუება, რომელთაც კერპი თვალწინ დაემსხვრათ. თან ისე სწრაფად და მოულოდნელად, მისი გათავისებაც ვერ მოასწრეს. თუმცა, ცხადია, ყველაზე დათრგუნული თვითონ მოძმანაშვილი იყო, რომელსაც იმ დღეების გახსენებაც არ სურს. *„ძალიან ძნელია, როცა ამხელა წარმატების მერე ყველაფერი ერთბაშად გაქრება, უცებ ყველაფერს ჩამოგართმევენ და შენ უკან არაფერია. იმ დღეების გახსენებაც არ მინდა, როცა სულ ჩაფიქრებული, განერვიულებული ვიყავი. თავში მუდამ ის მიტრიალებდა, ეს რა დამემართა, რა მომივიდა-მეთქი. ცხადია, პასუხისმგებლობას მწვრთნელის - დავით ხურციას წინაშეც ვგრძნობდი. იმ კონდიციებამდე მისვლა მისი დიდი ძალისხმევით მოვახერხეთ, ოლიმპიადაზეც დიდ შედეგს ველოდით და უცებ ყველაფერს ხაზი გადაესვა! ბუნებრივია, ეს ყველაფერი ძალზე ცუდი მოსაგონარია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მეორე დღესვე ვარჯიშზე მივედი და მას შემდეგ დღე არ გამიცდენია. სულ იმას ვცდილობ, მეტოქეებს არ ჩამოვრჩე. თუმცა, ისე არ გამიგოთ, დისკვალიფიკაციას იოლად შევეგუე... ძნელი იყო იმის გათავისება, რომ ორი წელიწადი ვერსად გამოვიდოდი"* - ამბობს მოძმანაშვილი.

მაშინ ჩვენმა ფედერაციამ გაბრძოლება კი სცადა, მაგრამ ეს ხავსზე ჩაბღაუჭებას ჰგავდა. საერთაშორისო ფედერაცია გადაწყვეტილებას რომ არ შეცვლიდა, ყველამ იცოდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ჩვენებმა დისკვალიფიკაციის არა მოხსნა, არამედ განახევრება მოითხოვეს, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

სამაგიეროდ, მოძმანაშვილის დასჯის ამბავს სიხარულით შეხვდნენ მისი მეტოქეები, რომლებსაც ზედ ოლიმპიადის წინ უმთავრესი კონკურენტი გამოაკლდათ. განსაკუთრებით აზერბაიჯანელებს უხაროდათ, რადგან ამ დისკვალიფიკაციით ორმაგად იხეირეს - მათი ფალავანი, მოძმანაშვილისგან 11:5 განადგურებული **ალი ისაევი** ბრინჯაოდან ვერცხლის მედლამდე ამაღლდა, თან მოძმანაშვილისთვის ჩამორთმეული ოლიმპიური ლიცენზიაც მასვე გადაეცა, რაკილა სამეულში მოხვედრილი ქვეყნებიდან უსაგზურო მხოლოდ აზერბაიჯანი იყო. *„ისეთი გრძნობა დამრჩა, რომ ჩემი დისკვალიფიკაცია ბევრს გაუხარდა - მათ ხომ კონკურენტი მოაკლდათ. ისე მოხდა, რომ გამოსვლისთანავე ევროპის ჩემპიონი გავხდი და ყველამ მიიჩნია, ვილაც ახალი მოდისო. ცხადია, როცა ეს ახალი ჩამორჩება, ყველას უხარია"* - თქვა მოძმანაშვილმა.

კონკურენტთა რეაქცია გასაგებია და იქნებ, ამაში არც არაფერია გასაკვირი - ყველას თავისი დარდი აწუხებს, მაგრამ იყო ერთი მძიმეწონოსანი, რომელმაც პირადად ვერა, მაგრამ შორიდან კი გაამხნევა. ეს დავით მუსულბესი გახლდათ, ჩრდილო ოსეთში დაბადებულ-გაზრდილი, მაგრამ გულით ქართველი და ჩვენებურთა დიდი მეგობარი. ის ყოველთვის ქომაგობდა ქართველებს, მათ შორის, მძიმეწონოსნებსაც. გამოცდილი მუსულბესი კარგად იცნობდა ყველა მეტოქეს და კონკრეტული შეხვედრის წინ ჩვენს მოჭიდავეს დაწვრილებით უხსნიდა მეტოქის ძლიერსა თუ სუსტ მხარეებს, ამ დროს კი კონკურენციაზე არც ფიქრობდა! ტამპერეს შემდეგ ის მოძმანაშვილს პირადად არ შეხვედრია, რაკი დავითი უცხოეთში ტურნირებზე ველარ დადიოდა, მაგრამ საზღვარგარეთიდან გაამხნევა, ვარჯიშებს არ შეეშვა და მომავალზე იფიქრე, შენ დიდ წარმატებებს უნდა მიაღწიოო. მოძმანაშვილს მომხდარის გადატანაში ეს სიტყვებიც დაეხმარა.

ბუნებრივია, ყოველი სერიოზული ტურნირი ჩვენებურისთვის წამებაა. ეს ხომ იგივეა, მშიერ კაცს ნუგბარით განყობილ ტაბლას შორიდან რომ აყურებინებ, მაგრამ იძულებითი უქმობა კიდევ უფრო მტანჯველი იმის დანახვაზე ხდება, თუ ვინ იმარჯვებს ამ ტურნირებში. მათ რომ ხედავს, გული კიდევ უფრო სწყდება, რადგან მათთან წარმატებით ჭიდაობაში დარწმუნებულია. *„არ მინდა, ტრაბახში ჩამომერთვას, მაგრამ წლეულს ევროპის პირველობა აზერბაიჯანელმა ალი ისაევმა მოიგო, რომელიც შარშან დიდი ანგარიშით დავამარცხე. ვერაფერს ვამტკიცებ, მაგრამ მგონია, ამ ტურნირის მოგება არ გამიჭირდებოდა. სამეულში ისეთი ხალხი შევიდა, ადვილად უნდა ვძლიო"* - ამბობს დასჯილი ფალავანი.

მძიმე წონაში მოძმანაშვილის ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ მსურველები დისკვალიფიკაციისთანავე გამოუჩნდნენ - სპარინგპარტნიორად ჩინეთის ნაკრებმა მიიწვია. მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში სამი თვე გაატარა და აზიის ვიცე-ჩემპიონ **ლეი ლიანგს** ოლიმპიადისთვის მომზადებაში დაეხმარა, მერე კი თბილისში დაბრუნდა. დისკვალიფიკაცია აპრილში უმთავრდება და აქედანვე ემზადება დიდი გამარჯვებებისთვის. წარმატებები ლამის ესიზმრება და ახალი გამოწვევებისთვის გულმოდგინედ ემზადება. მან ბევრი რამ უნდა დაამტკიცოს და საამისოდ ყოველ დღე თავდაუზოგავად ვარჯიშობს, ჯერ კი, ვიდრე ძალაუნებურად უქმობს, უახლოეს პერიოდში დაოჯახებას აპირებს. *„კვლავაც ჩვეულ რეჟიმში, სრული დატვირთვით ვემზადები და დისკვალიფიკაციის დამთავრებას ველოდები. ამ დროს ევროპის პირველობა უკვე ჩავლილი იქნება და იქ ველარ გამოვალ, მაგრამ ძალიან მინდა, იმ პერიოდს კარგ ფორმაში შევხვდე. მსურს, გასვლისთანავე გავიმარჯვო და დავამტკიცო, რომ ის ევროპის ჩემპიონატი დოპინგით არ მომიგია. რა უნდა მოხდეს, რომ ვარჯიში გავაცდინო - ამისი შანსი არაა. ეგ კი არა, ინტენსიურად ვმუშაობ დახვეწაზე, სიახლეებზე, პროგრესზე...*

*ცხადია, ასეთ პირობებში ვარჯიში ძნელია. ასე მგონია, თითქოს ტყუილად ვვარჯიშობ, რადგან ვერსად გამოვალ, ვერსად ვიასპარეზებ, მაგრამ განწყობა ოპტიმისტურია და არ ვეშვები. მინდა, ბოლომდე დავიხარჯო და უფრო და უფრო ვუმატებ კიდეც. დღეში ორჯერაც კი ვვარჯიშობ."* - ესეც მისი სიტყვებია.

მომხდარის მიუხედავად, დავით მოძმანაშვილი ნაკრებისთვის მაინც შეუცვლელ კაცად რჩება. მას სპორტის დეპარტამენტმაც შეუნარჩუნა ხელფასი და ნაკრების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძველებურადაა ჩართული - არც ერთი შეკრება არ გამოუტოვებია. ეს კარგია მისთვისაც და კონკურენტებისთვისაც, რადგან მასზე უკეთეს სპარინგპარტნიორს ძნელად იპოვიან. მოძმანაშვილი მადლობელია ყველასი და გვპირდება, ამ სიკეთისთვის მადლობას წარმატებებით გადაიხდის.

**ირაკლი თავაძე**

სუმოს სამყარო



# დიდმა ჩემპიონმა ოცნება აისრულა

**ტოჩინოშინი** უახლოეს ხანებში კომუსუბი ვერ გახდება, **კოკაი** მომდევნო ბაშოზე ელიტაში დასარჩენად იბრძოლებს, იმპერატორის თასისთვის კონკურენციაში **ჰაკუჰო** ფავორიტია - ნაგოიას ბაშოს დასრულებამადე ორი დღით ადრე რაც გამოიკვეთა, ესაა...

ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** გუშინ მე-15 მაეგაშირა **ჰომაშოს** შეხვდა და იორიკირით დამარცხდა. ჩვენებური დაჯახებისთანავე მიაწვა ჰომაშოს, ყელშიც წვდა, მაგრამ იაპონელმა დოჰიოს კიდიდან კონტრშეტევა განახორციელა. ლევანს 8-5 ბალანსი აქვს, ორი დარჩენილი ბრძოლაც რომ მოიგოს, ის ვერაფრით დაიკავებს კომუსუბის გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილს, რომელსაც ალბათ ესტონელი **ბარუტო** და **ამინიშიკი** შეავსებენ. დასანანია, ლევანს გაცილებით მეტის მიღწევის შანსი გაუჩნდა და ეს შანსი ასე უგერგილოდ გაანიავა. თუმცა ნაგოიას ბაშო მის კარიერაში მაინც წარმატებული ტურნირია, ტოჩინოშინი რეიტინგში წინ წაიწევს, თან ისე მაღლა, აქამდე რომ არასოდეს ყოფილა სუმოს იერარქიაში.

კოკაის (**ლევან ცაგურია**) შესახებ რა ვთქვათ? დაველოდოთ ბაშოს დასრულებას და იქნებ მისგან მაინც შევიტყოთ, რა ხდებოდა ტურნირის მე-4 დღიდან მოყოლებული. ფაქტია, მან ბოლო 10 ორთაბრძოლიდან 9 დათმო. გუშინ კოკაიმ ელიტის დებიუტანტ და ყველაზე დაბალი რანგის რიკიშ **ვაკაკოიუსთან** წააგო, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე სუსტი სუმოისტიც არის და დამსახურებულად უბრუნდება ძურიოს დივიზიონს. ქართველი მიაწვა მეტოქეს, თითქოს გააგდო კიდეც დოჰიოდან, მაგრამ ვერ გათვალა და მანამდე თავად დაენარცხა თიხნარზე. კოკაის 4-9 ბალანსი აქვს.

ნაგოიას ბაშოს დაწყებიდან პირველად ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - მონღოლმა დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** მისთვის საფირმოდ ქცეული უვატენაგეს ილეთით 2-მეტრიანი ბულგარელი გოლიათი **კოტოოშუ** წააქცია და 13 ორთაბრძოლიდან 12 მოგებით დაწინაურდა. კოტოოშუს 11 მოგება, ხოლო დიდ ჩემპიონ **ასაშორიუს**, ჩემპიონ **კოტომიცუკის** და ამინიშიკის 10-10 მოგება დაუგროვდათ.

| XII დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო) | უვატენაგე |
| ასაშორიუ (ი)-ჰარუმაფუჯი (ო) | იაგურანაგე |
| კაიო (ო)-ივაკიამა (მ3) | იორიკირი |
| ამინიშიკი (მ5)-კოტომიცუკი (ო) | ოკურიდაში |
| ჩიოტაიკაი (ო)-გოეიდო (მ1) | ოშიდაში |
| კისენოსატო (ს)-კაკურიუ (ს) | ოშიდაში |
| კოტოშოგიკუ (კ)-კიოკუტენჰო (კ) | შიტატენაგე |
| არანი (მ1)-ტოჩიოძანი (მ2) | იორიკირი |
| მიაბიამა (მ4)-ტოიოჰიბიკი (მ2) | ჰიკიოტოში |
| ბარუტო (მ3)-შოტენრო (მ10) | ცურიდაში |
| ტოკიტენკუ (მ10)-ტაკამისაკარი (მ4) | იორიკირი |
| ჰომაშო (მ15)-ტოჩინოშინი (მ5) | იორიკირი |
| ასასეკირიუ (მ12)-ბუშუიამა (მ6) | ჰიკიოტოში |
| კასუგაო (მ15)-ტამანოშიმა (მ6) | ჰატაკიკომი |
| ტოიონოშიმა (მ7)-ტოჩინონადა (მ9) | უვატედაშინაგე |
| შიმოტორი (მ14)-მოკონამი (მ7) | იორიკირი |
| ვაკაკოიუ (მ16)-კოკაი (მ8) | ჰიკიოტოში |
| იოშიკაძე (მ12)-კაკიძოე (მ8) | ჰიკიოტოში |
| ტოსაიუტაკა (მ14)-ტაკეკაძე (მ9) | ცუკიოტოში |
| ტამავაში (მ11)-მასაცუკასა (ძ3) | ოშიდაში |
| ჰოკუტორიკი (ძ4)-ფუტენო (მ13) | ოშიდაში |

შენიშვნა: *მარცხნივ გამარჯვებული რიკიში*

| XIII დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (12-1) | ჰარუმაფუჯი (9-4) |
| კოტოოშუ (11-2) | ასაშორიუ (10-3) |
| კოტომიცუკი (10-3) | კაკურიუ (5-8) |
| ამინიშიკი (10-3) | ტოჩინოშინი (8-5) |
| ბარუტო (9-4) | კისენოსატო (8-5) |
| შოტენრო (9-4) | შიმოტორი (8-5) |
| ტოკიტენკუ (9-4) | ასასეკირიუ (7-6) |
| ტამანოშიმა (8-5) | მოკონამი (6-7) |
| ჰომაშო (8-5) | ტოიონოშიმა (7-6) |
| კასუგაო (8-5) | ჩიოჰაკუჰო (ძურიო) |
| ჩიოტაიკაი (7-6) | კაიო (7-6) |
| კოტოშოგიკუ (7-6) | მიაბიამა (7-6) |
| ტოსაიუტაკა (7-6) | მასაცუკასა (ძურიო) |
| ტაკამისაკარი (6-7) | კაკიძოე (5-8) |
| ტაკეკაძე (6-7) | ბუშუიამა (5-8) |
| იოშიკაძე (6-7) | კოკაი (4-9) |
| კიოკუტენჰო (5-8) | ტოიოჰიბიკი (2-11) |
| ტოჩინონადა (5-8) | ვაკაკოიუ (4-9) |
| ფუტენო (5-8) | ტამავაში (4-9) |
| გოეიდო (4-9) | ტოჩიოძანი (0-13) |
| ივაკიამა (4-9) | არანი (3-10) |

## ქართველთა დღევანდელი მეტოქეები

ტოჩინოშინი ამინაშიკის წინააღმდეგ: 1:0

**ამინაშიკი**



მე-5 მაეგაშირა. 30 წლის, 185 სმ, 144 კგ, ყოფილი სეკივაკე.

კოკაი იოშიკაძეს წინააღმდეგ: 3:5

**იოშიკაძე**



მე-12 მაეგაშირა. 27 წლის, 178 სმ, 139 კგ, ყოფილი მე-2 მაეგაშირა.

**დღის ილეთი**

**იაგურანგე** (მუხლით ამოსმა)



მართალია, დიდ ჩემპიონ **ასაშორიუს** იმპერატორის თასის მოპოვების მცირე შანსი აქვს, მაგრამ ის მაინც უნიკალური სუმოისტია. გუშინ მან თასის მფლობელი ოძეკი **ჰარუმაფუჯი** უიშვიათესი ილეთით, იაგურანაგეთი დაამარცხა. შემტევი მეტოქეს მთელი ძალით ტანზე მოიზიდავს, თან მუხლს წინ გასწევს. შემდეგ შემტევი სხარტი მოძრაობით მუხლით ქვემოდან აწევს მეტოქეს და თავს ზემოთ მოისვრის. მოკლედ, მხოლოდ რჩეულთა ილეთია. ბრძოლის შემდეგ ასაშორიუმ თქვა, რომ დიდი ხნის ოცნება აისრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# გაგუნაშვილი ლიდერს დაუზავდა

კანადაში, კვებეკის ღია ჩემპიონატში დიდოსტატთა ორთაბრძოლაში ქართველი **მერაბ გაგუნაშვილი** (2574) ბულგარელ **ვლადიმირ გეორგიევს** (2530) დაუზავდა. ტურნირს, რომელშიც 20 მოჭადრაკე მონაწილეობს, 5-5 ქულით **ბატორ სამბუევი** და ვლადიმირ გეორგიევი უდგანან სათავეში. მერაბს 4,5 ქულა აქვს, ისევე, როგორც **ვადიმ მალახატკოს** და **სერგეი კასპაროვს**. მე-8 ტურში მერაბის მეტოქე **ვლადიმირ მალანიუკია** (2563), რომელსაც 4 ქულა აქვს. ქართველი დიდოსტატი თეთრი ფიგურებით ითამაშებს.

ანდორაში ტრადიციული, 27-ე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი გრძელდება. სამწუხაროდ, ჩვენებურები ჯუჯა სახელმწიფოში წარუმატებლად თამაშობენ. მე-6 რაუნდში **ანა მათნაძემ** თეთრებით წააგო ინდოელ **პი პრიასთან**, ხოლო **სოფიკო გურამიშვილმა** შავი ფიგურებით დათმო დიდოსტატ **არტურ კოგანთან**. გურამიშვილის შემდეგი მეტოქე **რიჩარდ მოროშია**, ხოლო მათნაძის - **იმარ ტალო**. სოფიკოს 3,5 ქულა აქვს, ანას - 3.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა

# ზილბერშტეინს ბევრი არ დაჰკლებია

სერბეთის ქალაქ ნოვი სადში ევროპის მე-20 ახალგაზრდული ჩემპიონატი მიმდინარეობს. კონტინენტის 50 ქვეყნის ათლეტთა შორის სამი ჩვენებურია: მორბენალი **ენდრიკ ზილბერშტეინი**, ბირთვის მკვრელი **გიორგი ბედოშვილი** და ბადროს მტყორცნელი **სალომე რიგიშვილი**. ჩვენს გუნდს თან მწვრთნელი **გივი ბედოშვილი** ახლავს. 400 მეტრზე სირბილში 29 ათლეტი ჩაერთო, მათ შორის 19 წლის ენდრიკ ზილბერშტეინი. ენდრიკს მე-3 ჰითში მოუწია ასპარეზობამ, სადაც 48,25 წამი შედეგით მე-5 ადგილი დაიკავა. ჰითში გამარჯვებულ ბრიტანელ **ლუის პერსენტს** იგი ლამის ერთი წამით ჩამორჩა. საერთო ჩათვლაში ზილბერშტეინმა მე-18 ადგილი დაიკავა, შემდეგ ეტაპზე კი პირველი 16 - ეული გავიდა. ზილბერშტეინს რომ თავისი საუკეთესო დრო - 47,92 წამი - ეჩვენებინა, ნახევარფინალში მე-14 შედეგით შევიდოდა, საბოლოოდ კი ათეულისთვის იბრძოლებდა.

ვაჟთა შორის 6-კილოგრამიანი ბირთვის კვრა დღეს გაიმართება, ამ დისციპლინაში 19 წლის გიორგი ბედოშვილი გამოდის. ბედოშვილის საუკეთესო შედეგი, 16,69 მეტრი წარმატების იმედს ნაკლებად გვიტოვებს - 13 მონაწილეს შორის ეს ყველაზე დაბალი შედეგია. კვირას კი საასპარეზოდ სალომე რიგიშვილი (ბადრო) გავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფორმულა 1. უნგრეთის გრან-პრის წინ

# თითქმის მონაკოში






**ჰუნგარორინგი**
**წრის სიგრძე: 4381 მ. წრეების რაოდენობა: 70. დისტანცია: 306.458 კმ**

**ყველა გამარჯვებული**

| | |
|---|---|
| 2008 | კოვალაინენი (მაკლარენი) |
| 2007 | ჰემილტონი (მაკლარენი) |
| 2006 | ბატონი (ჰონდა) |
| 2005 | რაიკონენი (მაკლარენი) |
| 2004 | მ. შუმახერი (ფერარი) |
| 2003 | ალონსო (რენო) |
| 2002 | ბარიკელო (ფერარი) |
| 2001 | მ. შუმახერი (ფერარი) |
| 2000 | ჰაკინენი (მაკლარენი) |
| 1999 | ჰაკინენი (მაკლარენი) |
| 1998 | მ. შუმახერი (ფერარი) |
| 1997 | ვილნევი (უილიამსი) |
| 1996 | ვილნევი (უილიამსი) |
| 1995 | დ. ჰილი (უილიამსი) |
| 1994 | მ. შუმახერი (ბენეტონი) |
| 1993 | დ. ჰილი (უილიამსი) |
| 1992 | სენა (მაკლარენი) |
| 1991 | სენა (მაკლარენი) |
| 1990 | ბუტსენი (უილიამსი) |
| 1989 | მენსელი (ფერარი) |
| 1988 | სენა (მაკლარენი) |
| 1987 | პიკე (უილიამსი) |
| 1986 | პიკე (უილიამსი) |

**მოქმედი პილოტები უნგრეთის გრანპრიზე**

| | გ-პ | ქ | პლ | ს-წ | პოდ | მ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარიკელო | 16 | 35 | 1 | - | 3 | 1 |
| ტრული | 12 | 9 | - | - | - | - |
| ფიზიკელა | 12 | 2 | - | - | - | - |
| ბატონი | 9 | 18 | - | - | 1 | 1 |
| ჰაიდფელდი | 9 | 16 | - | - | 2 | - |
| რაიკონენი | 8 | 35 | 1 | 3 | 4 | 1 |
| ალონსო | 7 | 26 | 1 | - | 2 | 1 |
| უებერი | 7 | 5 | - | - | - | - |
| მასა | 6 | 2 | - | 1 | - | - |
| კუბიცა | 3 | 5 | - | - | - | - |
| როსბერგი | 3 | 2 | - | - | - | - |
| ჰემილტონი | 2 | 14 | 2 | - | 2 | 2 |
| კოვალაინენი | 2 | 11 | - | - | 1 | 1 |
| სუტილი | 2 | - | - | - | - | - |
| ფეტელი | 2 | - | - | - | - | - |
| გლოკი | 1 | 8 | 70 | - | 1 | - |
| პიკე | 1 | 3 | - | - | - | - |
| ნაკაჯიმა | 1 | - | - | - | - | - |

*შენიშვნა: გ-პ - გრან-პრი; ქ - ქულა; პლ - პოული; ს-წ - სწრაფი წრე; პოდ - პოდიუმი; მ - მოგება*

უნგრეთის გრან-პრი პირველად 1986 წელს გაიმართა. თავისუფლად შეიძლებოდა ამ ეტაპისთვის საბჭოთა კავშირს ემასპინძლა, ამ ქვეყნის ჩინოვნიკები უფრო მოხერხებულები რომ ყოფილიყვნენ. **ბერნი ექლსტოუნს** არ ასვენებდა იდეა, რომელიც „რკინის ფარდის" მეორე მხარეს ფორმულა 1-ის რბოლის ჩატარებას ითვალისწინებდა. მაშინ კანდიდატებად საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და იუგოსლავია განიხილებოდნენ, მაგრამ ბერნიმ საბოლოოდ არჩევანი უნგრეთზე შეაჩერა. ჩემპიონატის შეფი მოკლე ვიზიტით ბუდაპეშტს ეწვია, ეტაპის ჩატარებას „მწვანე შუქი" მისცა და სარეკორდო დროში - რვა თვეში ავტოდრომი მზად იყო.

კონტრაქტს 1985 წლის სექტემბერში მოეწერა ხელი, მშენებლობა 1 ოქტომბერს დაიწყო, საცდელი რბოლა კი 1986 წლის 24 მარტს ჩაატარეს. 1986 წლის 10 აგვისტოს „ჰუნგარორინგზე" ფორმულა 1-ის სადებიუტო ეტაპი გაიმართა.

წლების განმავლობაში, უნგრეთის ტრასის მისამართით ყველაზე ხშირად გაისმოდა პრეტენზიები, ის ბევრჯერ გადააკეთეს, 2003 წელს კი ახალი მოდიფიკაცია წარმოადგინეს, რომელმაც კვლავ ვერ დააკმაყოფილა ყველას მოთხოვნა. უნგრეთში გასწრება გმირობის ტოლფასია, თუმცა გაზრდილი უსაფრთხოების ზონები პილოტებს რისკის საშუალებას აძლევს.

წრეზე საშუალო სიჩქარით „ჰუნგარორინგი" მხოლოდ მონაკოს უსწრებს. ეს არის ძალიან ნელი ტრასა, რომელზეც რთულია მანქანისთვის ოპტიმალური მახასიათებლების მონახვა. კვალიფიკაციაზე სწრაფი წრისთვის საჭიროა ერთი სახის რეჟიმი, რბოლაში სტაბილურობისთვის - მეორე. ამას ისიც დაუმატეთ, რომ გასწრება თითქმის შეუძლებელია და ადვილად შეიძლება წარმოიდგინოთ, რა თავსატეხის ამოხსნა უწევთ ინჟინრებს მთელი სარბოლო უიქენდის განმავლობაში.

კვალიფიკაციაში კენტ ადგილებზე გასულ პილოტებს ტრასის ბინძური ნახევრიდან უწევთ სტარტის აღება, რომელიც ტრაექტორიის მიღმაა განლაგებული. ჩვეულებრივ, გუნდები ორი პიტ-სტოპის სტრატეგიას იყენებენ, მაგრამ სხვა ვარიანტებიც შესაძლებელია...

**ტიმო გლოკი:** *„უნგრული ტრასა საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ უიქ ენდის დროს ასფალტის თვისებები სერიოზულად იცვლება და პილოტებს ცხოვრებას ურთულებს. პირველი პრობლემაა - მტვერი, ავტოდრომი თითქმის არ გამოიყენება სხვა ტურნირების ჩატარებისთვის და პარასკევის პრაქტიკების დროს საფარზე მოცურების დიდი რისკია. ამის შემდეგ, ტრასას საბურავების რეზინი ეკრობა და სიტუაცია ნორმალური ხდება, მაგრამ ახალი პრობლემა წარმოიშობა - ტემპერატურა. უნგრეთში ტრადიციულად ცხელი ამინდია, ასფალტი 50 გრადუსამდე ხურდება, რაც სერიოზულად მოქმედებს მანქანის ბალანსზე.*

*სიცხე მრბოლელებზეც მოქმედებს - უნგრეთში ეტაპი ორი საათი გრძელდება, რომელიც დიდ ენერგიას აცლის პილოტებს. აქ ისეთი აუტანელი მდგომარეობა არ არის, როგორც მალაიზიაში, სადაც სიცხეს მაღალი ტენიანობაც ემატება, მაგრამ ფინიშის შემდეგ, მანქანიდან ამოსვლისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ორი საათი საუნაში გაატარეთ.*

*თუ გასწრებებზე ვილაპარაკებთ, „ჰუნგარორინგზე" შეუძლებელია პოზიციისთვის ბრძოლა. ერთადერთი შანსია - შეტევა პირველ მოსახვევში, მაგრამ ის წარმატებული იმ შემთხვევაში იქნება, თუ მეტოქე ბოლო მოსახვევიდან გამოსვლისას შეცდომას დაუშვებს და სწორ მონაკვეთზე სიჩქარის აკრეფას ვერ მოასწრებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, „ჰუნგარორინგზე" გასწრებისთვის წვიმაა საჭირო, ეს კი ნაკლებად სავარაუდოა".*

# ნიკომ მაკლარენი და BMW დაადასტურა



საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ჟურნალისტებს „უილიამსის" გერმანელმა პილოტმა **ნიკო როსბერგმა**. კერძოდ, ამ ავტომრბოლმა დაადასტურა მოლაპარაკებები „მაკლარენისა" და „BMW-ზაუბერის" ხელმძღვანელობასთან...

*„ძალიან მომგებიან სიტუაციაში ვიმყოფები, რადგან რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება მივიღე. განვიხილავ „მაკლარენ-მერსედესთან" კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობას, პარალელურად, მოლაპარაკებებს ვაწარმოებ ჩემს ამჟამინდელ გუნდთან „უილიამსთან", რომელმაც ბოლო წლებში ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთა. მე ვენდობი ამ ადამიანებს.*

*ვეძებ ისეთ გუნდს, რომელიც კონკურენტუნარიან მანქანას შემომთავაზებს და ყოველ რბოლაში პოდიუმზე ასვლის შანსს მომცემს. კარიერაში მორიგი ნაბიჯი უნდა გადავდგა და ამიტომაც, ზედმიწევნით ვსწავლობ არსებულ სიტუაციას. პრესამ არ უნდა გაამახვილოს განსაკუთრებული ყურადღება „მაკლარენთან" მოლაპარაკებებზე, რადგან არსებობს „უილიამსი", „BMW-ზაუბერი"... არ მინდა წვრილმანი დეტალები გავამხილო, მაგრამ ერთ-ერთი სავარაუდო ფაქტორია იმ გუნდში გამოსვლა, რომელიც გერმანულ ავტომწარმოებელს წარმოადგენს.*

*მინდა ეს საკითხი რაც შეიძლება სწრაფად გაირკვეს, მაგრამ „უილიამსის" ხელმძღვანელობას ვთხოვე, რომ ჯერ შემინახოს ადგილი. „ფერარი"? ეს დიადი გუნდია და მოვა დრო, მე სერიოზულად დამაინტერესებს ასეთი იდეა",* - ამბობს ნიკო როსბერგი.

ველოსპორტი

# ლენსი ახალი გუნდით მოვა

ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონმა **ლენს არმსტრონგმა** ყაზახური გუნდის „ასტანას" დატოვება განიზრახა. ამასთან, ვეტერანი ამერიკელი არ აპირებს დიდი სპორტის დატოვებას და გაისად, ფრანგულ ველომარათონზე საკუთარი გუნდით წარდგება.

როგორც გაზეთი Guardian-ი იტყობინება, ლენსმა იპოვა სპონსორი, რომელიც მის მომავალ გუნდს 20 მილიონი დოლარით დააფინანსებს. სწორედ ეს იყო არმსტრონგის დიდ სპორტში დაბრუნების მთავარი მიზეზი.

ლენსის საჯინიბოს სახელში შევა სიტყვა - LiveStrong. სწორედ ასე ჰქვია არმსტრონგის ორგანიზაციას, რომელიც უკვე მრავალი წელია კიბოს დაავადებას ებრძვის. სავარაუდოდ, ამ პროექტში ჩაერთვებიან სპორტსმენის პირადი სპონსორები - Nike, Trek bikes-ი და SRAM-ი. ლენსმა უკვე გამოაცხადა, რომ მომავალ წელს აუცილებლად გამოვა ტურ დე ფრანსზე, ხოლო მისი გუნდის მენეჯერი **იოჰან ბრიუნელი** იქნება, რომელიც ამჟამად „ასტანას" ერთ-ერთი შეფი გახლავთ, მანამდე კი, ლენსთან ველოსაჯინიბო „დისქავერი ჩენელში" თანამშრომლობდა.

ასევე სახელდება არმსტრონგის გუნდის რამდენიმე სავარაუდო წევრი. ერთ-ერთია ბრიტანელი სპრინტერი **მარკ კევენდიში**, რომელმაც წლევანდელ ტურზე ოთხი ეტაპი მოიგო. ლენსი თავისთან ეპატიჟება კიდევ ერთ ბრიტანელს, ტრეკზე პეკინის თამაშების ჩემპიონ **ბრედლი უიგინსს**. ამ უკანასკნელმა მიმდინარე ტურ დე ფრანსზე კარგი გამოსვლით მოხიბლა ლეგენდარული ამერიკელი. საერთოდ, ლენსი თავის გუნდს ახალგაზრდა და პერსპექტიული მრბოლელებით დააკომპლექტებს.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალეიდოსკოპი

## სპურსმა რატლიფი დაიმაგრა

„სან ანტონიო სპურსმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა 36 წლის ცენტრ ტეო რატლიფთან. მომავალ სეზონში ვეტერანი კალათბურთელი 1.3 მილიონ დოლარს მიიღებს.

2008 -09 წლების სეზონში რატლიფი „ფილადელფია სიქსერზში" თამაშობდა. რეგულარულში მან 46 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 1.9 ქულა, 2.8 მოხსნა და 1.0 დაფარება დააგროვა. ეს კალათბურთელი დაცვაში კარგი თამაშით არის ცნობილი. 2000-01 წლების სეზონში ტეომ საშუალოდ 3.7 დაფარება მოიხვეჭა.

## რობინსონი ნიქსში დარჩება

„ნიუ იორკ ნიქსის" გამთამაშებელ **ნეით რობინსონის** აგენტის განცხადებით, დიდია ალბათობა იმისა, რომ მისი კლიენტი ახალ კონტრაქტს გააფორმებს თავის ამჟამინდელ კლუბთან. დღეისთვის ნეითი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

*„კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის, მაგრამ „ნიქსთან" ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ნეიტს „ნიუ იორკში" დარჩენა სურს",* - ამბობს **აარონ გუდვინი**.

როგორც ამერიკული პრესა ვარაუდობს, რობინსონი „ნიქსთან" ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და დაახლოებით 4-5 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ამ მცველით საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი" იყო დაინტერესებული, მაგრამ ამერიკელმა ევროპაში გადასვლა არ ისურვა.

## ილიასოვა მილუოკის უბრუნდება

„მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტის დეტალები შეათანხმა ფორვარდ **ერსან ილიასოვასთან**, რომელიც ორწლიანი შესვენების შემდეგ ბრუნდება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ბოლო ორი სეზონი ეს კალათბურთელი „ბარსელონას" შემადგენლობაში თამაშობდა.

თურქი ფორვარდი „ბაქსმა" 2005 წლის დრაფტზე აირჩია. 2006-07 წლების სეზონში, ილიასოვამ „მილუოკის" შემადგენლობაში 66 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.1 ქულითა და 2.0 მოხსნით დაეხმარა თავის გუნდს, რის შემდეგაც ესპანეთში გაემგზავრა. შარშან, ევროლიგის 22 მატჩში ილიასოვამ „ბარსელონას" საშუალოდ 10.5 ქულა და 7.0 მოხსნა შესძინა.

## ლეიკერსი უილიამსით გაძლიერდება

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ თითქმის მოაგვარა ფორვარდ **შელდენ უილიამსის** ტრანსფერის საკითხი. კალიფორნიულ კლუბს ეს კალათბურთელი წინა ხაზის გაძლიერებისთვის სჭირდება.

უილიამსი 2006 წლის დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩია „ატლანტა ჰოქსმა", მაგრამ იქ წელიწად-ნახევარი თამაშის შემდეგ, შელდენი „საკრამენტოში" გაუშვეს, იქედან კი „მინესოტაში" აღმოჩნდა. შარშან ამ კალათბურთელის საშუალო მონაგარი 4.1 ქულასა და 3.4 მოხსნას უდრიდა.

აღსანიშნავია, რომ უილიამსის მეუღლე გახლავთ ქალთა NBA-ის გუნდ „ლოს ანჯელესის" ვარსკვლავი **კენდის პარკერი**.

## მარბერი ისევ ბოსტონში?

ვეტერანი გამთამაშებელი **სტეფონ მარბერი**, შესაძლოა, „ბოსტონ სელტიქსში" დაბრუნდეს, სადაც გასული სეზონის მეორე ნახევარი და პლეი ოფი ითამაშა. ცოტა ხნით ადრე 32 წლის კალათბურთელმა უარყო „ბოსტონის" წინადადება, რომელმაც მარბერის ერთწლიანი და 1.3-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა.

გარდა ამისა, მარბერი ევროპაში გადასვლის პერსპექტივასაც განიხილავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ვის უნდა მილიონი?

ამერიკელები უკვე ხუთი წელია ატარებენ ტურნირების სერიას, რომლის სახელწოდებაა - US Open Series. ის ექვსი კვირა გრძელდება და "დიდი სლემის" მეოთხე ტურნირის - ამერიკის ღია პირველობის წინ სრულდება. 2004 წლიდან მოყოლებული, ამერიკული სერიის ტელეაუდიტორია გაორმაგდა, მოიმატა ტრიბუნებზე ტელემაყურებელთა რიცხვმაც.

რა თქმა უნდა, ორგანიზატორებს უფრო მეტად ტელევიზია აღელვებთ, როგორც მასშტაბური ღონისძიების ერთ-ერთი ძირითადი სპონსორი. მთელი ზაფხულის განმავლობაში, US Open Series-ას ეროვნული ტელევიზიის საეთერო დროის 200 საათი ეძლვნება. ტელეარხები - ESPN2, CBS და Tennis Channel კვირაობით, პრაიმტაიმში მონაცვლეობდით აჩვენებენ მამაკაცთა და ქალთა ფინალებს.

წელს ორასზე მეტი მამაკაცი და ქალი ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას ამ სერიის ტურნირებში - მათ საკმაოდ დიდი თანხა უნდა გაიყონ ერთმანეთში. ამ სეზონში საპრიზო ფონდი 30 მილიონ დოლარს აჭარბებს.

ტურნირების სერია "ცისფერი ამერიკული ოცნების" სტილშია მოფიქრებული - "გახვიდე ხალხში და გახდე მილიონერი". იმ ექვსი კვირის განმავლობაში, რაც ეს სერია გრძელდება, ნებისმიერ მონაწილეს აქვს შანსი, მულტიმილიონერი გახდეს, რადგან ტურნირებზე ჩვეულებრივი საპრიზო ფონდის გარდა, ტრადიციულად ორგანიზატორები დამატებით პრიზად 2.6 მილიონ დოლარს აწესებენ, რომლის მიღების შანსი ეძლევათ სერიის შედეგების მიხედვით საპრიზო სამეულში მოხვედრილ მამაკაც და ქალ ჩოგბურთელებს. ბონუსის ოდენობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გამოვლენ პრიზიორები აშშ-ის ღია პირველობაზე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ US Open Series-ის გამართვის ხუთწლიან ისტორიაში, სერიის გამარჯვებულმა თითო ქალმა და მამაკაცმა ჩოგბურთელმა მოახერხა შემდეგ ამერიკის ღია პირველობის მოგება. 2005 წელს მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა**, რომელმაც ერთ ჯერზე 2.2 მილიონი დოლარი მიიღო, რადგან ჯერ სერია და შემდეგ აშშ-ის ღია პირველობა მოიგო. 2007 წელს ეს რეკორდი შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** გააუმჯობესა - 2.4 მილიონი. წელს ბონუსები არ შეცვლილა, სამაგიეროდ, გაიზარდა ამერიკის ღიას საპრიზო ფონდი, რომელმაც 1.6 მილიონს მიაღწია.

სერიის სატიტულო სპონსორი კვლავინდებურად კომპანია Olympus-ია, რომელიც აგრძელებს USTA-სთან (ამერიკის ჩოგბურთის ასოციაცია) წარმატებით თანამშრომლობას. მან ამ პროგრამაში რამდენიმე მილიონი ჩადო, განაახლა ვებგვერდი და გააფართოვა სერიის პროპაგანდა როგორც ეროვნული, ასევე მსოფლიო მასშტაბებით.

*"მოუთმენლად ველი ჩოგბურთში დაბრუნებას და მოხარული ვარ, რომ ის US Open Series-ის ტურნირებს დაემთხვა,* - განაცხადა კიმ კლაისტერსმა, რომელსაც ცინცინატისა და ტორონტოს ტურნირებზე ვიხილავთ. - *თავის დროზე, ჩემი საუკეთესო თამაშები სწორედ ამ სერიის ტურნირებზე ჩავატარე. ეს არის ბრწყინვალე საშუალება ამერიკის ღია პირველობისთვის მოსამზადებლად - როგორც მოთამაშეებისთვის, ასევე გულშემატკივრებისთვის".*

*"მეც მოხარული ვარ ტურნირებზე დაბრუნებით და ვფიქრობ, რომ US Open Series ამისთვის შესაფერისი მომენტია. ეს სერია ძალიან მნიშვნელოვანია საჩოგბურთო კალენდარში, ამავდროულად, შესანიშნავ შესაძლებლობას გაძლევს, შეხვიდე სათამაშო რიტმში და მოემზადო "დიდი სლემის" ბოლო ტურნირისთვის,* - განაცხადა ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, რომელმაც შარშან, კარიერაში პირველად მოიგო US Open Series, რის შემდეგაც აშშ-ის ღიაზე თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა. - *პირადად ჩემთვის აქ გამოსვლა რთული იქნება, რადგან გარკვეული ხანი არ ვმონაწილეობდი ტურნირებზე. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და შევეცდები ვაჩვენო ყველაფერი, რაც ამ მომენტისთვის შემიძლია".*

*"ამ სერიის შექმნა ბრწყინვალე იდეად მიმაჩნია, რადგან ამან ფაქტობრივად გააერთიანა საზაფხულო სეზონი და მთელი რიგი ტურნირების პრესტიჟი ასწია,* - ამბობს ამერიკელი **ენდი როდიკი**, რომელიც ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელსაც US Open Series ორჯერ აქვს მოგებული. - *ადრე მე კარგად ვთამაშობდი ამ ტურნირებზე და წელსაც ბევრის მიღწევის იმედი მაქვს".*

*"US Open Series ჩრდილოეთ ამერიკაში ჩოგბურთის განვითარებისთვის შევქმენით,* - აღნიშნა USTA-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჯიმ კერლიმ**. - *ქალთა და მამაკაცთა პროფესიულ ტურებთან, ჩვენს სატელევიზიო პარტნიორებთან, სპონსორებთან, ტურნირების ორგანიზატორებთან და მოთამაშეებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩოგბურთისთვის შესანიშნავი ვიტრინა შევქმენით და ეს ბრწყინვალე შედეგებს გვაძლევს ყველა მიმართულებით".*

**US Open Series-ის პრიზიორები**

**კაცები**

**2004**
1. ლეიტონ ჰიუიტი
2. ენდი როდიკი
3. ანდრე აგასი

**2005**
1. ენდი როდიკი
2. ანდრე აგასი
3. რაფაელ ნადალი

**2006**
1. ენდი როდიკი
2. ფერნანდო გონსალესი
3. ენდი მიურეი

**2007**
1. როჯერ ფედერერი
2. ჯეიმს ბლეიკი
3. ენდი როდიკი

**2008**
1. რაფაელ ნადალი
2 ენდი მიურეი
3. ხუან-მარტინ დელ პოტრო

**ქალები**

**2004**
1. ლინდსი დავენპორტი
2. ამელი მორესმო
3. ელენა ლიხოვცევა

**2005**
1. კიმ კლაისტერსი
2. მერი პირსი
3. ამელი მორესმო

**2006**
1. ანა ივანოვიჩი
2. მარია შარაპოვა
3. კიმ კლაისტერსი

**2007**
1. მარია შარაპოვა
2. ელენა იანკოვიჩი
3. პატი შნიდერი

**2008**
1. დინარა საფინა
2. მარიონ ბარტოლი
3. დომინიკა ციბულკოვა

**US Open Series-ის განრიგი**

**1-ლი კვირა: 20-26 ივლისი**
ATP: ინდიანაპოლისი

**მე-2 კვირა: 27 ივლ-2 აგვ**
ATP: ლოს ანჯელესი
WTA: სტენფორდი

**მე-3 კვირა: 3-9 აგვისტო**
ATP: ვაშინგტონი
WTA: ლოს ანჯელესი

**მე-4 კვირა: 10-16 აგვისტო**
ATP: მონრეალი
WTA: ცინცინატი

**მე-5 კვირა: 17-23 აგვისტო**
ATP: ცინცინატი
WTA: ტორონტო

**მე-6 კვირა: 23-29 აგვისტო**
ATP: ნიუ ჰევენი
WTA: ნიუ ჰევენი

**ფინალი: 31 აგვ-13 სექტ**
აშშ-ის ღია, ნიუ იორკი

# რვა ჩემპიონით

ამერიკის ღია პირველობა 31 აგვისტოს დაიწყება და უკვე ცნობილია, რომ მასში "დიდი სლემის" ტურნირების რვა ჩემპიონი მიიღებს მონაწილეობას. მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნების - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** და ესპანელი **რაფაელ ნადალის** გარდა, ესენი არიან: ამერიკელი **ენდი როდიკი**, რუსი **მარატ საფინი**, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ესპანელები - **კარლოს მოია და ხუან-კარლოს ფერერო.**

ძირითად ბადეში პირდაპირ მოხვდება რეიტინგის პირველი 104 ჩოგბურთელი. რვა სპორტსმენი სპეციალური მიწვევით - უაილდქარდით ითამაშებს ამერიკის ღიაზე, კიდევ 16 საგზური კი საკვალიფიკაციო ტურნირში გათამაშდება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღიას მოქმედი ჩემპიონი როჯერ ფედერერი შეიძლება პირველი ჩოგბურთელი გახდეს **ბილ ტილდენის** (20-იანი წლები) შემდეგ, რომელიც ამ ტურნირს ზედიზედ ექვსჯერ მოიგებს.

■ ■ ■

ამერიკის ღია პირველობის ქალთა ბადეს უკვე გამოაკლდა ერთი პოტენციური განთესილი ჩოგბურთელი. ჩინეთის პირველ ნომერს **ნა ლის** მუხლის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის ვერ ითამაშებს ნიუ იორკში. როგორც ჩოგბურთელის მეუღლე და მწვრთნელი **ციან შანი** ამბობს, ლი, სავარაუდოდ, გერმანიაში გაემგზავრება სამკურნალოდ.

მუხლთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ჩინელმა ჩოგბურთელმა წლის დასაწყისში ბრისბენის, სიდნეისა და მელბურნის ტურნირები გამოტოვა, მაისში სტრასბურში სათამაშოდ არ ჩავიდა, ისტბურნში კი პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკასთან** მატჩის მსვლელობისას შეწყვიტა ბრძოლა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სეული-მანჩესტერ იუნ. | 2:3 |
| აეკ-ანკარაგიუჯუ | 2:2 |
| სელტიკი-ალ აჰლი | 5:0 |
| ანტვერპენი-როსენდალი | 1:2 |
| დუისბურგი-ბრიუგე | 3:0 |
| ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 1:2 |
| მაინცი-ხეტაფე | 1:1 |
| სანდერლენდი-ბენფიკა | 0:2 |
| ანდერლეხტი-ჯენოა | 1:1 |
| კიდერმინსტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2:2 |
| კიოლნი-ბაიერნი | 0:2 |
| როვერსი-კრ. პალასი | 0:3 |
| ტრანმერი-ლივერპული | 2:2 |
| იორკი-ჰარტლპული | 2:0 |
| ტოტენჰემი-ბარსელონა | 1:1 |
| აიაქსი-ატლეტიკო | 3:3 |
| ლიგადე კიტო-ალ იტიჰადი | 3:1 |
| სევილია-იუვენტუსი | 1:2 |

**ევრო 2009**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| სლოვენია-შვეიცარია | 1:2 |
| უკრაინა-ინგლისი | 2:2 |
| საფრანგეთი-თურქეთი | 1:1 |
| სერბეთი-ესპანეთი | 2:1 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კლუბი 04-პოპა | 0:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ლინცერი-აუსტრია (3) | 4:5 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-აუსტრია II | 3:1 |
| ლუშტენაუ-დორნბირნი | 1:1 |
| ტიროლი-აუსტრია (ლ) | 5:0 |
| გრატკორნი-ჰარტბურგი | 0:0 |
| სტ. პოლტენი-ზალცბურგი II | 2:2 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლოკარნო-ლე მონი | 1:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-გალვეი | 1:2 |
| დანდალკი-დროგედა | 4:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უნივერსიტი-მერვუ | 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტეპლიცე-სპარტა | 0:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ხიმკი-ამკარი | 2:0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-არსენალი | 1:3 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ინკერი-ვარტექსი | 1:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ნირედიაზა-ვაშაში | 5:1 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ატ. მინეირო-ფლუმინენსე | 2:1 |
| კორინთიანსი-ვიტორია | 2:1 |
| კურიტიბა-სპორტი | 1:1 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-ევერტონი | 0:1 |

**წყალბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ავსტრალია | 8:8 |
| ესპანეთი-ყაზახეთი | 11:5 |
| აშშ-რუმინეთი | 7:5 |
| უნგრეთი-ს. აფრიკა | 15:5 |
| გერმანია-კანადა | 4:5 |
| ჩერნოგორია-ბრაზილია | 19:5 |
| ხორვატია-ჩინეთი | 15:5 |
| იტალია-მაკედონია | 12:5 |

**ფრენბურთი**

**მსოფლიოს ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-არგენტინა | 3:0 |
| სერბეთი-რუსეთი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ჰამბურგი**

| | |
|---|---|
| ალმაგრო-კუევასი | 2:6, 4:6 |
| მატიო-ტროიცკი | 6:0, 6:0 |
| დავიდენკო-ჰანესკუ | 6:3, 4:6, 6:3 |
| ფერერი-გრეული | 6:2, 6:3 |

**ATP. ინდიანაპოლისი**

| | |
|---|---|
| ტურსუნოვი-დანჩევიჩი | 6:3, 6:7, 2:6 |
| ჯინეპრი-ბოგომოლოვი | 7:5, 6:1 |
| კუერი-ჟიკელი | 6:4, 7:5 |

**WTA. ბად გაშტეინი**

| | |
|---|---|
| გრონეფელდი-პეტკოვიჩი | 7:6, 3:6, 1:6 |
| შვედოვა-მოისბურგერი | 6:2, 6:3 |
| ოლარუ-რიბარიკოვა | 6:4, 6:4 |
| კორნე-სტრიჩოვა | 6:4, 2:6, 6:2 |

**WTA. პორტოროჟი**

| | |
|---|---|
| ბრიანტი-პინი | 6:3, 6:2 |
| ფოგელი-დე ლოს რიოსი | 6:1, 6:1 |
| საფინა-კამერინი | 6:3, 6:0 |
| ერანი-მარტიჩი | 6:1, 6:1 |

TV პროგრამა

**25 ივლისი. შაბათი**

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 საფეხბურთო კლუბი.
08:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
08:55 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პანათინაიკოსი-ვილიარეალი.
10:55 საფეხბურთო კლუბი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:10 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
14:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი.
17:00 რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-დინამო (LIVE).
19:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
21:35 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
23:15 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვოლფსბურგი.
01:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ლიონი.
03:00 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ტულუზა.
04:45 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.

**EUROSPORT**

11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIX ეტაპი. ბურგუან ჟალიო-ობენა.
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. უკრაინა.
13:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
14:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIX ეტაპი. ბურგუან ჟალიო-ობენა.
15:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ეტაპი. მონტელიმარი-მონ ვენტუ (LIVE).
18:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ფინალი. ბელარუსი (LIVE).
21:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა (სინქრონული). კაცები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია.
22:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
22:15 პროფესიული კრივი. საშუალო წონითი კატეგორია. ჯონ დადლი (ბრიტანეთი)-ბილი ლილი (აშშ). აშშ.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ეტაპი. მონტელიმარი-მონ ვენტუ.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ეტაპი. მონტელიმარი-მონ ვენტუ.

**26 ივლისი. კვირა**

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

12:15 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. იუვენტუსი-ჩელსი.
08:20 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-კრუზეირო (ბრაზილია).
10:10 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. კრუზეირო (ბრაზილია)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვოლფსბურგი.
18:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ლიონი.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-ტერეკი (LIVE).
23:05 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
01:00 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ინტერი.
03:10 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
05:05 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი.

**EUROSPORT**

10:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა (სინქრონული). კაცები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია.
11:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. I დღე. რომი. იტალია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ჩეხეთი (LIVE).
15:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ეტაპი. მონტელიმარი-მონ ვენტუ.
15:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XXI ეტაპი. მონტერო ფო-იონი-პარიზი (LIVE).
20:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. I დღე. რომი. იტალია (LIVE).
22:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
22:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ჩეხეთი.
23:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩეხეთი.
23:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XXI ეტაპი. მონტერო ფო-იონი-პარიზი.
00:30 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
01:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ინდიანაპოლი. აშშ.
02:15 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. I დღე. რომი. იტალია.
03:00 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.

მძლეოსნობა

# სენსაცია!!!

## ბოლტის დოპინგს იღებს ?

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია (AIPS) იტყობინება, რომ ხუთი წამყვანი იამაიკელი სპრინტერის დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. ეს ის მძლეოსნები არიან, რომლებიც ბერლინში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

*„ადგილობრივი მასმედიის საშუალებით ვიგებთ, რომ ხუთი წამყვანი იამაიკელი სპრინტერი დოპინგზე ჩავარდა,* - წერს AIPS. - *პირველად ეს ინფორმაცია „რადიო იამაიკაზე" გააჟღერეს. რადიომ გადმოსცა, რომ ქვეყნის მინიმუმ ორი წამყვანი სპრინტერის დოპინგ-ტესტმა მათ ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოაჩინა. როგორც იტყობინებიან, ტესტირება ერთ-ერთი ადგილობრივი ტურნირის დროს ჩატარდა, ეს სპრინტერები კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელ ნაკრებში არიან შეყვანილნი".*

ამის შემდეგ, ეს სენსაციური ამბავი საინფორმაციო სამსახურმა - TrackAlerts.com-მა გაავრცელა. მან თავის ვებგვერდზე დაწერა, რომ დოპინგ-ტესტი ოთხმა მამაკაცმა და ერთმა ქალმა ჩააგდო. ხუთივე იამაიკის ეროვნული ნაკრების წევრებია. ამასთან, TrackAlerts.com-ს მოჰყავს იამაიკის ანტისადოპინგო სააგენტოს წევრის, დოქტორ **ჰერბ ელიოტის** სიტყვები. მან დაადასტურა, რომ დადებითი შედეგის სინჯებზე ინფორმაცია არსებობს, მაგრამ იქვე დაამატა: *„ჩვენ ყველანი კონკრეტულ ფაქტებს ველოდებით".* სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა **პატრის ჩარლზ-ფრიმანმაც** უარი თქვა ინფორმაციის დადასტურებაზე. სავარაუდოდ, იამაიკის ანტისადოპინგო სამსახური მალე გაავრცელებს ოფიციალურ განცხადებას.

იმის გამო, რომ კონკრეტული გვარები არ სახელდება, სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. ბუნებრივია, ეჭვის ქვეშ მოექცა პლანეტის საუკეთესო სპრინტერი **უსაინ ბოლტი**. ამიტომაც, ყველა მოუთმენლად ელოდება მოვლენათა განვითარებას.

გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა



ჩოგბურთი



# როჯერის ტყუპი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** მამა გახდა. გუშინ შვეიცარიელი ჩოგბურთელის მეუღლემ **მირკა ვავრინეცმა** ტყუპი გოგონა გააჩინა.

ფედერერის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტყუპს - **შარლენ რივა** და **მილა როუზი** დაარქვეს.

*„თქვენთვის რამდენიმე საინტერესო ახალი ამბავი მაქვს,* - წერია ფედერერის გვერდზე. - *გასულ ღამეს მე და მირკა ტყუპის მშობლები გავხდით. ჩვენ მათ შარლენ რივა და მილა როუზი დავარქვით. ორივენი ჯანმრთელები არიან, დედაც თავს შესანიშნავად გრძნობს. ეს საუკეთესო დღეა ჩემს ცხოვრებაში".*

27 წლის ფედერერმა თავისი მეუღლე, წარმოშობით სლოვაკი მირკა ვავრინეცი 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადის დროს გაიცნო. 31 წლის მირკა, რომელიც ბავშვობაში ოჯახთან ერთად გადავიდა შვეიცარიაში საცხოვრებლად, პროფესიული ჩოგბურთით იყო დაკავებული, მაგრამ კარიერა ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა. ახლა ის ფედერერის ერთ-ერთ მენეჯერად მიიჩნევა.

კალათბურთი

# ლებრონი და მარიხუანა



გასული სეზონის საუკეთესო კალათბურთელმა **ლებრონ ჯეიმსმა** მწერლობას მიჰყო ხელი. „კლივლენდ კავალიერზის" ლიდერმა თავის თავზე სრული სიმართლის მოყოლა გადაწყვიტა. მაგალითად, იმის შესახებ, რომ ადრეულ ასაკში ხშირად ეწეოდა მარიხუანას.

*„მე და ჩემი მეგობრები თვითკმაყოფილი იდიოტები ვიყავით. პირველ რიგში, ეს ჩემზე ითქმის. რა თქმა უნდა, დამნაშავეები ვიყავით, მაგრამ ასევე დამნაშავეებად უნდა ჩაითვალონ უფროსებიც, რომლებიც არ გვიშლიდნენ ხელს მარიხუანას მოწევაში და ამით, ჩვენი პიროვნების დაღუპვას უწყობდნენ ხელს.*

*ქედმაღალი ვიყავი, თავი რჩეული მეგონა. ადრეულ ასაკში მეჩვენებოდა, რომ ნებისმიერი ჟურნალისტი მხოლოდ მე დამდევდა და ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვიყავი",* - წერია ლებრონის წიგნში.

ლებრონ ჯეიმსმა აღნიშნა, რომ ამ ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, რომელიც მის წიგნშია („ტყორცნების მეფე") აღწერილი, მას და მის მეგობრებს უფრო მეტად დაახლოების საშუალება მისცა. NBA-ის უპირველესი ვარსკვლავი მიიჩნევს, რომ იმ პერიოდმა ბევრი რამ ასწავლა და კარგი გამოცდილება დაუგროვა.

ლებრონის წიგნი ოქტომბერში გამოვა სავაჭრო ქსელში.




## გამოვიდა ივლისის ნომერი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge